ლიბერალი
№ 67 / 14-20 მარტი / 2011

საქართველო და რუსეთის გაწევრიანება WTO-ში გვ. 06
კომანდანტეს შემოდგომა გვ. 11
გამოიყენებს თუ არა საქართველო ბოლივიის მოდელს? გვ. 14
მთავარი თემა: როგორ ავარჩიოთ სკოლა? გვ. 23-29
ხუთი წლისა სკოლაში გვ. 31
საკაბელოების ჩახლართული ძსელი გვ. 33
სექსი სიამოვნების გარეშე გვ. 42
ინტერვიუ: განათლების ეკონომიკა გვ. 46
მუსიკა: პროტესტის ანთოლოგია გვ. 50

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008



ქართული ღვინის მომავალი

გვ. 29


UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
LENINGRADAS
KIJEVAS
MASKVA
VARŠUVA
LAHTI
OSLO
BERLYNAS
ALMA
TAŠKENTAS
MASKVA
LENINGRADAS
BELGRADAS
BRIUSELIS
JEREVANAS
KIJEVAS
ROSTOVAS
FRUNZĖ
TBILISI
BRNO
BUKAREŠTAS
STOKHOLMAS
VILNIUS
VIENA
LVOVAS
ROMA
HILVERSUMAS
MURMANSKAS
RYGA
BRIUSELIS
SOFIJA
ČELIABINSKAS
SIMFEROPOLIS
HELSINKIS
LONDONAS
VARŠUVA
ATĖNAI
PRAHA
MASKVA
TEHERANAS
MASKVA II
STALINO
VIGRA
BUDAPEŠTAS
IB
VB
TBII
TBI
UTB

ლიბერალი

№ 67 / 14-20 მარტი / 2011

ფოტო: KYODO / REUTERS

სტიქია იაპონიაში, 11 მარტი 2011

ნომერში:

02 ლიბერალის ვებგვერდიდან
04 მოკლედ
06 **ორი აზრი**
უნდა დათანხმდეს თუ არა საქართველო რუსეთის უპირობო გაწევრიანებას *WTO*-ში?
ალექსანდრე რონდელი VS დავით ნარმანია
მსოფლიო
08 ჯო ბაიდენის რუსული ვოიაჟი
09 „ჟასმინების“ პროტესტი ჩინეთში
11 კომანდანტეს შემოდგომა
პოლიტიკა
14 გამოიყენებს თუ არა საქართველო ბოლივიის მოდელს
დავით უსუფაშვილი
ეკონომიკა
16 ერთი ბრენდი და ბევრი პრობლემა
მთავარი თემა
22 როგორ ავირჩიოთ სკოლა?
განათლება
30 5 წლისა სკოლაში
მედია
33 საკაბელოების ჩახლართული ქსელი
ადამიანის უფლებები
40 უპასუხო კითხვები
42 სექსი სიამოვნების გარეშე
ინტერვიუ
46 განათლების ეკონომიკა
თვალსაზრისი
48 პოლიციელები ტაქსიში
მარკ მალენი
რევიუ
49 „სავარძლის ეკონომისტი: ეკონომიკა და ყოველდღიური ცხოვრება“
50 პროტესტის ანთოლოგია
52 **ტექნოლოგიები**
კულტურა
54 მშვიდობიანი „ომობანა“ მოსკოვში
სპორტი
55 კაცი და ბუ
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
56 წერილი ვის?

გარეკანზე:
ქართული ღვინის მომავალი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

„ბოგონები სად არიან, მითხარი"

ამერიკაში ვცხოვრობ და ჩემი შვილებიც აქ დადიან სკოლაში. ჩემი აზრით, აღნიშნული საკითხი აქ უმტკივნეულოდ არის გადაწყვეტილი. ცალკე საგანი, როგორც ასეთი არ არსებობს, შესაბამისად, არც პედაგოგი სჭირდება.

არსებობენ სპეციალური ორგანიზაციები, სპეციალისტებით დაკომპლექტებული, რომლებიც განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობენ და წელიწადში ერთხელ ბავშვებს, მათი ასაკის შესაბამისი ენით ინფორმაციას აწვდიან. ტარდება ლექცია, თვალსაჩინოების თანხლებით.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ მშობლის ნებართვაა საჭირო, რომ ბავშვი ასეთ ლექციას დაესწროს. მოდის დოკუმენტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერო და ეს ხდება ყოველ წელს, სადაც გვაცნობენ თუ რა ინფორმაციის მიწოდებას აპირებენ – პუნქტებადაა ჩამოთვლილი და გაშიფრული. დოკუმენტში პირდაპირ წერია, რომ თუ სურვილი გაქვს, რომ იგივე ინფორმაცია არა სკოლამ, არამედ ოჯახის ექიმმა ან ეკლესიამ მიაწოდოს ბავშვს, უფლება გაქვს ხელი არ მოაწერო. აქ არა მარტო ეგრეთ წოდებული სექსუალური განათლება შედის. პირველ კლასელებს უბრალოდ კარგ და ცუდ შეხებას შორის სხვაობას და უცხო ადამიანებთან ურთიერთობას უხსნიან მათთვის გასაგებ ენაზე. მეოთხე კლასში გოგონები ცალკე გაყავთ და ქალის ფიზიოლოგიის თავისებურებებს უხსნიან და მოსალოდნელი ცვლილებებისთვის ამზადებენ, ერთ-ორ სიტყვას ჰიგიენაზე ეტყვიან და ეგაა. შემდეგ კლასებში უფრო მეტ ინფორმაციას აწვდიან. შემდეგ მოდის ისეთი თემები, როგორიცაა ნარკომანია, ლოთობა და მათი შედეგები. რიგ საგრაფოებში, ექსკურსიების სახით მეხუთეკლასელები ციხეებში, ან პოლიციის განყოფილებებში მიყავთ, საკნებს აჩვენებენ და ა.შ. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ბავშვებს ლექციების სახით მიეწოდებათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, ვთქვათ, ხანძრის, ტორნადოს, ბუნებრივი კატაკლიზმების დროს, „911" როდის და როგორ გამოიძახონ.

ყველაფერი ეს ხდება ერთჯერადად, ინფორმაციის სახით, არავინ არავის „ურეცხავს ტვინს" , არც მიუთითებს რა ქნას. ინფორმაცია გადაეცემა და მერე უკვე ოჯახის საქმეა რას და როგორ განავრცობს. ნურავინ იტყვის, რომ საქართველოში ამის მოგვარება შეუძლებელია ან ყოველივე ამის (ცხადია ტორნადოს არ ვგულისხმობ) მცოდნე ხალხი არ არსებობს. გინეკოლოგის ასისტენტი, ექთნები, ნარკოლოგები სრულიად საკმარისია ამ საქმისთვის. ბუზის სპილოდ გადაქცევა გვჩვევია ქართველებს. ისე ძალიან მაინტერესებს, ჩემ დროს, სკოლა 1989 წელს დავამთავრე, ადამიანის ანატომიას, თავისი ელემენტარული ფიზიოლოგიით საგნად ვსწავლობდით, ნუთუ ესეც აკრძალეს?

ნინო ძიძიგური

კრიტიკული ანალიზი და პატრიოტიზმი

ვეთანხმები სტატიის ავტორს იმაში, რომ პატრიოტიზმი და კრიტიკული აზროვნება ვერ არიან უნისონში. ჩემი აზრით, საქართველოში პატრიოტიზმი თაობების პათოსი უფროა, ვიდრე ერის იდენტობაში გარკვევა და შუქ-ჩრდილების დანახვა. უკეთესი იქნება ჩვენი პატრიოტული გრძნობები ქვეყნის ისტორიის შესწავლისკენ, იდენტობაში გარკვევისა და საუკეთესოს განვითარებისკენ იყოს მიმართული.

თამარ

წითელი ორგანზას აუტანელი სიმსუბუქე

ბლოგის ავტორის პოზიციას ვიზიარებ – არ შეიძლება ქვეყნის პირველი ქალბატონი ასე იცვამდეს. თმა, მაკიაჟი, აქსესუარები – ეს ყველაფერი საერთო შთაბეჭდილების მოხდენისას ძალიან დიდ როლს თამაშობს.

დალილა

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნანა სავჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**

ჟურნალისტები: მაია წიკლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი

კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარეული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე

რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**

გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**

გამომცემელი: შპს „ლიბერალი". მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი", „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა", „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები".

„ლიბერალის" საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა: სტამბა „სეზანი". მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

www.liberali.ge

ISSN 1987-7528

ჯელტეხელი მემკვიდრეობის ხელყოფის პროცესი

ნინო ბექიშვილის ბლოგი

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ვინც ყოფილხართ, შესასვლელში, ალბათ, ყველას გინახავთ პერმანენტული ლოცვითი აქცია – ხატების რეპროდუქციები გამოუფენიათ და ლოცულობენ. ერთი-ორი ადამიანი ყოველთვისაა, მაგრამ ხშირად ბევრნიც იკრიბებიან და ლოცვით აქციებს აწყობენ. როგორც წესი, ამ აქცია-პარაკლისებს სასულიერო პირები ატარებენ.

ერთხელაც, მუზეუმიდან ვბრუნდებოდი და იქ მყოფ შუახნის ქალს გავესაუბრე. მითხრა, ამ მუზეუმში ჩვენი სიწმინდეებია დაცული. სახელმწიფო ეკლესიას ხატებს არ უბრუნებს, ამიტომ, ჩვენ განუწყვეტლივ, დღისითა და ღამით ვლოცულობთ იმისთვის, რომ ხატები თავად დაბრუნდნენ ეკლესიაში – ესენი სასწაულმოქმედი ხატებია და თუ მოუნდებათ, ამის გაკეთება არ გაუჭირდებათ – აიდგამენ ფეხს და სიონში მივლენ, აქაურობას იმიტომაც არ ვტოვებთ, რომ ეს მომენტი არ გამოგვეპაროსო – სრული სერიოზულობით მითხრა და მირჩია, მეც მელოცა ხატების დაბრუნებისთვის. აღარაფერი მითქვამს, გავუღიმე, გამოვბრუნდი და წამოვედი.

საბრალო ქალი იქ საკუთარი ინიციატივით არ დამდგარა – ვიღაცამ დააჯერა, რომ ხატებს თავისით სიარული შეუძლიათ. ის „ვიღაც“ ნამდვილად სასულიერო პირია, თორემ ასეთები მღვდლის კურთხევის გარეშე წყალს არ სვამენ და აქციის მოწყობას როგორ გაბედავენ.

როგორც ჩანს, საპატრიარქოში ამ სიბნელეს, სისულელეს, აბსურდს (რაც გინდათ, ის უწოდეთ) არავინ აკრიტიკებს. ცხადია, იქ არ სჯერათ, რომ ხატები თავად დაიარებიან აქეთ-იქით, მაგრამ ამგვარი აქცია ნამდვილად სჭირდებათ – მუდმივად ახსენებენ სახელმწიფოს, ვინაა ეროვნული განძის ჭეშმარიტი პატრონი. წლებია, ეს აქცია სწორედ ამიტომ გრძელდება.

ორი დღის წინ გავიგეთ, რომ დავით გარეჯის კომპლექსის დოდოს რქის მეექვსე საუკუნის მონასტერი ბერებმა ისე დაანგრიეს, რომ მისი აღდგენა აღარ მოხერხდება – ჩამოყარეს ფრესკები და ბარელიეფები. პირველად მოხდა, რომ სახელმწიფო მოხელემ ღიად თქვა, კანონი ვინც დაარღვია, ვუჩივლებთ და პასუხს ვაგებინებთო, ნიკა ვაჩეიშვილი არ მალავდა ბრაზს, ბარბაროსებიც კი

უწოდა კანონდამრღვევ ბერებს.

ცხადია, საპატრიარქოში ეს ფაქტი იცოდნენ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საპატრიარქოსთვის ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მოუთხოვია უკანონო მშენებლობის შეჩერება. საპატრიარქოში ამტკიცებენ – ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის საბჭოში არაფერი იცოდნენ ამ მშენებლობის შესახებო, რაც ნამდვილად დაუჯერებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ საბჭოს მართალია, ერისკოპოსი დავით მახარაძე ხელმძღვანელობს, მაგრამ იქ ხელოვნებათმცოდნეები მუშაობენ და ნიკა ვაჩეიშვილის უწყებაც, ბუნებრივია, უპირველესად სწორედ კოლეგებს მიმართავდა.

ეს სასულიერო პირების მიერ კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფის პირველი ფაქტი არ გახლავთ – პროცესი უკვე კარგა ხნის დაწყებულია. შემიძლია გავიხსენო ორი შემთხვევა, რომელიც არ გახმაურებულა – კაზრეთის მონასტერში რამდენიმე წლის წინ ადგილობრივმა მღვდელმა მე-12 საუკუნის საკურთხევლის კარგად შემონახული ფრესკა ჩამოყარა, კედლები შელესა და ტაძარი მოსახატად გაამზადა. მღვდელი არ დაუსჯიათ, საპატრიარქოში დაიბარეს და შენიშვნა მისცეს, უთხრეს, არ ღირდა იმ ფრესკების ჩამოყარო და დღესაც კაზრეთში სწირავს. უფრო ადრე ბრეთის მეექვსე საუკუნის ბაზილიკა შელესეს და მოხატეს კიდეც – არც აქ დაუსჯიათ ვინმე. ორივე შემთხვევა ცნობილი იყო როგორც საპატრიარქოს საბჭოსთვის, ასევე კულტურის სამინისტროსთვისაც, მაგრამ მაშინ ყველა გაჩუმდა.

დღეს უკვე გარეჯის კომპლექსს მისდგნენ და ანადგურებენ. როგორც ვიცი, დაახლოებით იგივე რამ ხდება ვარძიაშიც – ბერები იქაც მუდმივად აშენებენ და აკეთებენ რაღაცას და არც ეს სამუშაოებია შეთანხმებული სააგენტოსთან.

შარშან კათოლიკოს-პატრიარქმა მთელ საქართველოს მოუწოდა, შენდობით მოეკიდეთ მღვდლებს, მათაც შეიძლება დაუშვან შეცდომა, ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც თქვენო. ჩვენ შენდობისკენ მოგვიწოდა, სასულიერო პირებს კი, შეიძლება, ძალაუნებურადაც, უფლება მისცა, რაც უნდოდათ, ის ეკეთებინათ. ჰოდა, ისინიც აკეთებენ და არც არაფრის ეშნიათ.

ფოტო: (ინფორმაციის) / REUTERS

სტიქია იაპონიაში, 11 მარტი 2011

გამანადგურებელი მიწისძვრა და ცუნამის ტალღა

8.9 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა პარასკევს დილით იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ეპიცენტრი ტოკიოდან 373 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

მიწისძვრას დამანგრეველი ცუნამი მოჰყვა. მიწისძვრის შედეგად წარმოქმნილმა 7-მეტრიანმა ტალღამ არაერთი სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტი ჩაიტანა. ტალღამ სანაპიროსთან ახლოს მდებარე ქალაქები გაანადგურა. დღის ბოლოსთვის დაღუპულთა რაოდენობამ სამ ასეულს მიაღწია, ვარაუდობენ, რომ დაღუპულთა და დაშავებულთა რიცხვი გაიზრდება.

იაპონიაში ეს უკვე მესამე, ამჯერად ყველაზე ძლიერი მიწისძვრაა მიმდინარე კვირაში. სამშაბათს დილით ჰონშუს სანაპიროზე 6.3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა, რასაც გუშინ იმავე ადგილზე 7.2 მაგნიტუდის სიმძლავრის ბიძგები მოჰყვა. როგორც ექსპერტები აცხადებენ, 11 მარტის მიწისძვრა ყველაზე ძლიერი იყო იაპონიაში ბოლო 140 წლის მანძილზე.

იაპონიის შემდეგ, ცუნამმა ჰავაის ნაპირებსაც შეუტია. ცუნამის საფრთხე წყნარი ოკეანის აუზის ათეულობით ქვეყანას დაემუქრა, მათ უმრავლესობაში მოსახლეობის ევაკუაცია მოხდა. „როგორც ჩანს, ჰავაისკენ მაღალი დინებები მოდის. შესაძლოა, ამ დინებებმა მანქანები და საწვავის რეზერვუარები წაიღოს... ეს კი უფრო ზრდის დანგრევის საშიშროებას“, – განუცხადა წყნარი ოკეანის ცუნამის გამაფრთხილებელი ცენტრის დირექტორმა, ჩიპ მაკკრეერიმ Wall Street Journal-ს.

National Weather Service-ის მონაცემებით, ცუნამი დედამიწის კიდევ 50-მდე წერტილს ემუქრება, მათ შორის, ახალ ზელანდიას, ინდონეზიას, ფილიპინებს და წყნარი ოკეანის აუზის სხვა ქვეყნებს.

ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მან ქვეყნის სანაპიროებსა და კუნძულებზე მცხოვრებ მოსახლეობას ქვეყნის უფრო მაღალ წერტილებზე გადანაცვლებისკენ მოუწოდა.

ცუნამმა, ჯერჯერობით, ყველაზე მეტად იაპონია დააზიანა. CNN-ისა და სააგენტო „როიტერის“ მონაცემებით, იაპონიაში უკვე რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა.

ელექტროენერგიის ვაუჩერებიდან სასურსათო ვაუჩერებამდე

მთავრობამ სასურსათო ვაუჩერების დარიგება დაიწყო. 30-ლარიან ვაუჩერს ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით, 1 მილიონი ოჯახი მიიღებს. მთავრობის განმარტებით. ვაუჩერი მოსახლეობისთვის ინფლაციის ზემოქმედების შემსუბუქებას ისახავს მიზნად.

„სასურსათო ვაუჩერებს“ ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო არიგებს და მოქალაქეები მათ განაღდებას 1 ივლისამდე „ლიბერთი ბანკში“ შეძლებენ.

„სასურსათო ვაუჩერებს“ წინ უძღოდა ელექტროენერგიის 20-ლარიანი ვაუჩერების გაცემა, რომლისთვისაც მთავრობამ თებერვალში 20 მილიონი ლარი დახარჯა.

„ახალი მიდგომა“ და ახალი მმართველი შემოსავლების სამსახურში

შემოსავლების სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს. ყოფილი უფროსის – გიორგი ცხაკაიას ნაცვლად, რომელიც ამავე დროს ფინანსთა მინისტრის მოადგილეც იყო, შემოსავლების სამსახურს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ჯაბა ებანოიძე უხელმძღვანელებს. გიორგი ცხაკაია კი თბილისის მერის მოადგილედ ინიშნება.

პრეზიდენტის შეფასებით, საკადრო ცვლილება მთავრობის „ახალ მიდგომას უკავშირდება“, რომელიც გადასახადის გადამხდელების მიმართ „მაქსიმალურად სამართლიან“ მიდგომას ითვალისწინებს.

სახალხო კრების „შეფიცულები“

წარმომადგენლობითი სახალხო კრების სათათბირო დარბაზმა, რომლის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ნინო ბურჯანაძეა, „შეფიცულთა რაზმი“ დაიფუძნა.
წესდების მიხედვით, უიარაღო „შეფიცულები“ დაიცავენ და გადაუდებელ დახმარებას აღმოუჩენენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დაზარალებულ პირებს.
„მე, გია ბურჯანაძე, ვხდები შეფიცულთა ერთობის წევრი და უფლისა და ხალხის წინაშე ვფიცავ, დავიცვა ჩვენი სამშობლოს, საქართველოს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები...“ – შეფიცულების ფიცის ტექსტი დარბაზის ხელმძღვანელმა, მსახიობმა გია ბურჯანაძემ გაახმოვანა.
სახალხო კრების სათათბირო დარბაზის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ შეფიცულები 24 საათის განმავლობაში ხალხის სამსახურში იქნებიან.

„ტრამპ თაუერი“ საქართველოში

ამერიკელმა ბიზნესმენმა დონალდ ტრამპმა ნიუ-იორკში, ხიზილალითა და ღვინის თანხლებით გამართული ცერემონიის დროს, რომელშიც პრეზიდენტი სააკაშვილიც მონაწილეობდა, ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც საქართველოში 300 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ორი კომპლექსის, „ტრამპ თაუერის“, მშენებლობას ითვალისწინებს.
„კარიერის ამ ეტაპზე ტრამპი სახელის ლიცენზირებით უფროა დაინტერესებული, ვიდრე ქონების დეველოპმენტით, ამის მიუხედავად, ის დროდადრო მაინც წამოჭიმავს ხოლმე ნიუ-იორკის მსოფლიო ცათამბჯენის მსგავს შენობებს“, – წერს New York Times.
დაგეგმილი პროექტი ითვალისწინებს Trump Tower Tbilisi-ის მშენებლობას ვარდების რევოლუციის მოედანზე; და ასევე Trump Riviera-ს მშენებლობას ბათუმში.
მშენებლობის დაწყება, რომელიც Silk Road Group-ის ზედამხედველობით განხორციელდება, 2013 წლიდან იგეგმება.

პენსიები 100 ლარამდე გაიზრდება

„1 სექტემბრიდან მინიმალური პენსია 100 ლარამდე გაიზრდება მთელი ქვეყნის მასშტაბით“. ამის შესახებ პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსთავში პენსიონერებთან შეხვედრისას განაცხადა.
ამჟამად მინიმალური პენსია 80 ლარს შეადგენს, რასაც 2-დან 10 ლარამდე თანხა ემატება სტაჟის მიხედვით. 2010 წლის მარტიდან, ადგილობრივი არჩევნების წინ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 10 ლარით მეტს იღებენ დედაქალაქის მცხოვრებნი. პენსიების მინიმალურ 100 დოლარამდე გაზრდას, პრეზიდენტი სააკაშვილი პენსიონერებს 2008 წელსაც დაჰპირდა. ამ პირობის შეუსრულებლობის გამო ის პოლიტიკურმა ოპონენტებმა ბევრჯერ გააკრიტიკეს.

ციფრები

13.7%-მდე
გაიზარდა წლიური ინფლაციის დონე თებერვალში.

300 მლნ
აშშ დოლარის ღირებულების ორი კომპლექსი, „ტრამპ თაუერი“ აშენდება საქართველოში.

15%-ით
გაძვირდა წელს აჭარაში უძრავი ქონება.

10 მლნ
იაფფასიანი ბინა აშენდება წელს ჩინეთში.

ციტატები

„საქართველო მართლაც დიდებული ქვეყანაა, რომელსაც შესაფერისი ლიდერი ჰყავს“.
დონალდ ტრამპი პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ

„რუსეთს და აშშ-ს საქართველოს გამო უთანხმოება აქვთ“.
აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსვლისას

„საქართველოს მინისტრთა კაბინეტი უნდა გადაიქცეს აგრარულ მთავრობად“.
პრეზიდენტი სააკაშვილი სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე

„უსამართლობის წინააღმდეგ ცარიელი ხელებით, მაგრამ სამართლიანობით იბრძოლებენ გულანთებული ადამიანები, რომლებიც ნამდვილად დიდი ძალაა!“
ნინო ბურჯანაძე „შეფიცულთა რაზმის“ დაფუძნებაზე

მომხრე
ალექსანდრე რონდელი
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

უნდა დათანხმდეს თ
ხესეთის უპირობო გან

რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა ხელსაყრელია საქართველოსთვისაც. ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ რუსეთი ვაჭრობაშიც და პოლიტიკურ საკითხებშიც უფრო ცივილიზებულად მოიქცევა. იგი ვალდებული იქნება, ორგანიზაციის ნორმებს დაემორჩილოს. გაწევრიანების შემდეგ მას გარკვეულ დროს მისცემენ, რომ ეკონომიკურ სფეროში არსებული პრობლემები მოაგვაროს.

ცნობილია, რომ დასავლეთს, დიდი ხანია, სურს რუსეთის მსო-ში გაწევრიანება. ამ ფონზე კი, პატარა ქვეყანა – საქართველო რუსეთს მსო-სკენ გზას უღობავს.

სწორედ ამიტომ საქართველომ ხისტ პოლიტიკას თავი უნდა აარიდოს. თუკი ზედმეტად კატეგორიულები ვიქნებით ან უარს ვიტყვით რუსეთის გაწევრიანებაზე, დასავლეთს გავაღიზიანებთ, რადგან რუსეთის „შეთრევა“ მსო-ში მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა ხელსაყრელია საქართველოსთვისაც. ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ რუსეთი ვაჭრობაშიც და პოლიტიკურ საკითხებშიც უფრო ცივილიზებულად მოიქცევა. იგი ვალდებული იქნება, ორგანიზაციის ნორმებს დაემორჩილოს. გაწევრიანების შემდეგ მას გარკვეულ დროს მისცემენ, რომ ეკონომიკურ სფეროში არსებული პრობლემები მოაგვაროს. მაგალითად, ენერგომატარებლებზე მოახდინოს ფასების ლიბერალიზაცია. მართალია, რუსეთი ერთბაშად ამ პრობლემების მოგვარებას ვერ შეძლებს, თუმცა საბოლოოდ იძულებული იქნება, იზოლაციონისტური პოლიტიკა შეცვალოს.

საქართველოსთვის რუსეთის გაწევრიანება მსო-ში იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მოიხსნება ემბარგო და ქართულ პროდუქციას გასავალი ექნება რუსეთის უზარმაზარ ბაზარზეც. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ მეზობელ ქვეყანასთან გართულებული მდგომარეობა გვაქვს და ჩვენი ხმა, ფაქტობრივად, იარაღია, რომელიც ჭკვიანურად უნდა გამოვიყენოთ. ცოტა ხანში ეს იარაღი თავის ძალას დაკარგავს.

ემბარგო საქართველოს წინაპირობის გარეშეც მოიხსნება, თუკი რუსეთს მსო-ში მიიღებენ, რაც შეეხება ფსოუსა და როკის გვირაბთან გამშვებ პუნქტებზე ქართული საბაჟო სამსახურების დაშვების უზრუნველყოფას, საეჭვოა, რომ რუსეთი ამ დათმობაზე წავიდეს. რუსეთმა უკვე აღიარა დე ფაქტო სახელმწიფოების დამოუკიდებლობა, ამიტომ სიტყვას უკან არ წაიღებს. რუსეთი კი დარწმუნებულია, რომ დასავლეთის ზეწოლით საქართველო საბოლოოდ უპირობოდაც კი დაუჭერს მხარს რუსეთის გაწევრიანებას.

მიუხედავად იმისა, შეასრულებს თუ არა ამ პირობას რუსეთი, საქართველო ეკონომიკური კუთხით მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდება.

...ე ახა საქართველო ...ევიანებას WTO-ში?

თუ საქართველოს მთავრობა დათმობაზე წავა და შედარებით ლიბერალური მიდგომა ექნება რუსეთის წევრობასთან დაკავშირებით, შესაძლოა რუსეთმა გაწევრიანების შემდგომ გააგრძელოს საქართველოსთან ჩვეული ფორმით ურთიერთობა. მით უმეტეს, რომ გაწევრიანების შემდგომ მსო შესაძლოა, მოერიდოს რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებას.

მოწინააღმდეგე
დავით ნარმანია
ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი

რუსეთმა, წლების განმავლობაში არსებული პოზიცია, რომ მას არ სურდა მსო-ში გაწევრიანება, რადიკალურად შეცვალა: ქვეყნის ეკონომიკური გუნდი მიხვდა, რომ ცივილური ფორმით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ვაჭრობა უფრო მომგებიანია მისი ეკონომიკისთვის, ვიდრე ულტიმატუმები და არაფორმალური შეთანხმებები.

რუსეთის ფედერაციის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს ხისტი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს, ვინაიდან აქვს საკმაოდ მაღალი შანსი, დაათმობინოს რუსეთს ისეთი საკითხები, როგორიცაა საბაჟო საზღვრის ერთობლივი მართვა და ემბარგოს მოხსნა საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე. ამასთან, ორივე პრინციპი მსო-ს პრინციპებთან შესაბამისობაშია – ეს ორგანიზაცია ითვალისწინებს სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობას და საგარეო ვაჭრობას დისკრიმინაციის გარეშე.

თუ საქართველოს მთავრობა დათმობაზე წავა და შედარებით ლიბერალური მიდგომა ექნება რუსეთის წევრობასთან დაკავშირებით, შესაძლოა რუსეთმა გაწევრიანების შემდგომ კვლავ გააგრძელოს საქართველოსთან ჩვეული ფორმით ურთიერთობა. მით უმეტეს, რომ გაწევრიანების შემდგომ მსო შესაძლოა, მოერიდოს რუსეთის, როგორც წესების დამრღვევი ქვეყნის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებას. იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი წლების განმავლობაში არღვევდა იმ პრინციპებს, რის დაცვაც მას სურს მსო-ში გაწევრიანების შემდგომ, საქართველოს მთავრობამ ყველა დონეზე მოურიდებლად უნდა წაუყენოს რუსეთს მკაცრი პირობები და მსო-ს წევრ ქვეყნებს კიდევ ერთხელ მკაფიოდ აუხსნას ამის შესახებ.

საქართველო რუსეთის გაწევრიანების წინააღმდეგ არ უნდა წავიდეს, ვინაიდან რუსეთის გაწევრიანება მომგებიანი იქნება საქართველოსთვისაც. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოთხოვნები კატეგორიული არ უნდა იყოს, საქართველო ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ წაყენებული ორი მოთხოვნა რუსეთს გაწევრიანებამდე შეასრულებინოს. თუკი, პირველ ეტაპზე რუსეთი ამ პირობების შესრულებას არ დათანხმდა, მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს.

აშშ და რუსეთი

ჯო ბაიდენის ჩუსული ვოიაჟი

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მოსკოვში დიმიტრი მედვედევთან ჩავიდა.

ვასო კუჭუხიძე

ობამას ადმინისტრაციაში თანამდებობის დაკავების შემდეგ ბაიდენისთვის მოსკოვში ვიზიტი პირველია და გარკვეულწილად, მოულოდნელიც. 2009 წლის მიუნხენის სამიტზე სწორედ ბაიდენი იყო ის, ვინც უმწვავესი კრიტიკით გამოვიდა რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და გავლენის სფეროების შექმნის მცდელობების მიმართ. შესაბამისად, მოსკოვში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი არცთუ დიდი სიმპათიით სარგებლობს.

საერთაშორისო მედია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთში ვიზიტი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ევროტურის ნაწილი იყო. როგორც ჩანს, ამით ვაშინგტონი განზრახ ეცადა ვიზიტის მნიშვნელობის დაკნინებას. რამდენიმე პოლიტიკური მიმომხილველის აზრით კი, ჯო ბაიდენის მოსკოვში ვიზიტს ძალიან კონკრეტული საიდუმლო მიზეზი ჰქონდა – მას პრეზიდენტი მედვედევი იმაში უნდა დაერწმუნებინა, რომ მომავალ, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აუცილებლად უნდა იყაროს კენჭი.

პირველი სამუშაო დღე ბაიდენმა უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გვირგვინის მიტანით დაიწყო. ამას მოჰყვა ვიზიტი მოსკოვთან მდებარე სკოლკოვოში, რომელიც სილიკონის ველის რუსულ ანალოგად და მოდერნიზაციის ცენტრად ითვლება. სკოლკოვოში, ბიზნესმენებთან საუბარში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი საკმაოდ კრიტიკული იყო რუსეთში შექმნილი ბიზნეს გარემოს მიმართ. მან ახსენა ქვეყანაში არსებული „ენდემური კორუფცია“ და რუს მაღალჩინოსნებს კანონმდებლობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისკენ მოუწოდა.

კრიტიკული ტონი ბაიდენმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსვლისას ამერიკა-რუსეთის თანამშრომლობისა და რუსეთის საერთაშორისო როლის შესახებ საუბრით „დააბალანსა“. მან ხაზი გაუსვა რუსეთის დახმარებას ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლაში და უშიშროების საბჭოში ირანზე დაწესებული სანქციებისთვის მხარდაჭერას.

ბაიდენმა რუს მაღალჩინოსნებს კანონმდებლობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისკენ მოუწოდა.

ფოტო: ალექსანდრ ნაბერუსკინი / REUTERS

დიმიტრი მედვედევის და ჯო ბაიდენის შეხვედრა გორკის რეზიდენციაში მოსკოვთან, 9 მარტი 2011

შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტთან განსახილველ საკითხთა შორის უდიდესი ყურადღება დაეთმო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების მცდელობას. ბაიდენმა განაცხადა, რომ მოსკოვის მცდელობა პროგრესული ნაბიჯია და ვაშინგტონი ყველა ძალას იხმარს მის მხარდასაჭერად. საინტერესოა, რომ WTO-ში გაწევრიანება პრეზიდენტ მედვედევის ინიციატივაა და ვლადიმირ პუტინი მას ეწინააღმდეგება.

მედვედევთან შეხვედრაზე ბაიდენი ასევე შეეხო ამერიკა-რუსეთს შორის არსებულ სუსტ სავაჭრო ურთიერთობებს და მისი გაღრმავების შესახებ ფინანსურ ჯგუფებს შორის სამომავლო შეხვედრების ინიციატივა წამოაყენა. ასევე მიესალმა სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ შეთანხმების წარმატებით განხორციელებას. განსახილველ თემათა შორის მნიშვნელოვანი იყო არაბულ სამყაროში მიმდინარე სახალხო მღელვარება და მასთან დაკავშირებით საერთო სტრატეგიის შემუშავება.

ვიზიტის ფარგლებში შედგა 2-მილიარდიანი შეთანხმება რუსულ ავიაკომპანია Aeroflot-სა და „ბოინგს“ შორის, რომლის შედეგადაც რუსული კომპანია 8 „ბოინგ 777“-ს შეიძენს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის დროს ტურისტთა ჩამოსაყვანად.

9 მარტის საღამოს მედვედევის აგარაკზე გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტებთან ჯო ბაიდენმა აღნიშნა, რომ დიმიტრი მედვედევს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკოსად მიიჩნევს. ვლადიმირ პუტინს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი მხოლოდ ვიზიტის მეორე დღეს, 10 მარტს შეხვდა.

ჩინეთი

„ვასმინების“ პროტესტი ჩინეთში

ჩინეთში ანტისამთავრობო გამოსვლები დაიწყო.

ლექსო ჩქარეული

ფოტო: სარა ჩუ / REUTERS

„ვასმინის რევოლუცია“ ჩინეთში, 20 თებერვალი 2011

19 თებერვალს ჩრდილოეთ კაროლინაში დაფუძნებულ ვებგვერდზე Boxun.com დაიდო ანონიმური განცხადება, რომელიც ჩინეთის 13 დიდ ქალაქში მცხოვრებთ საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდებდა. პეკინის წინააღმდეგობის მიუხედავად, დემონსტრაციები მაინც გაიმართა ჩინეთის თითქმის ყველა რეგიონულ ცენტრში.

პირველი აქცია არ იყო ხალხმრავალი. მხოლოდ რამდენიმე ქალაქში შეგროვდა 10 000-მდე დემონსტრანტი, სხვაგან – რამდენიმე ასეული. თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტის გამო, ამ პატარა დემონსტრაციებმა მაინც მიიქცია საერთაშორისო მედიის ყურადღება.

ერთმანეთის გვერდით დადგნენ დისიდენტები, რომლებიც, ძირითადად, ინტელექტუალურ ელიტას წარმოადგენენ და ლიბერალურ ღირებულებებს იზიარებენ; სოციალური უთანასწორობითა და ფასების ზრდით უკმაყოფილო მუშები და სტუდენტობა.

2011 წლის საპროტესტო გამოსვლები, 1989 წელს ტიანმენის მოედანზე მომხდარი მოვლენების შემდეგ, პირველი მასშტაბური აქციაა. ამიტომაც ის

ხელისუფლებამ ძალიან სერიოზულად მიიღო და დიდ ქალაქებში სამხედრო ძალების მობილიზაცია გამოაცხადა, პეკინში კი პოლიციელთა დამატებითი კონტინგენტი რეგიონებიდან ჩამოიყვანა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩინეთის ყველა დიდი ქალაქის უნივერსიტეტებში სწავლა გაურკვეველი ვადით შეწყდა და საერთო საცხოვრებლებიდან სტუდენტების უმიზეზოდ ან ჯგუფურად გამოსვლა აიკრძალა.

გარდა ამისა, „ჟასმინების“ გამოსვლა, როგორც ამ აქციებს უკვე უწოდეს, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მან გააერთიანა რამდენიმე განსხვავებული ჯგუფი, რომელთა კონსოლიდაცია აქამდე ვერ ხერხდებოდა. ერთმანეთის გვერდით დადგნენ დისიდენტები, რომლებიც, ძირითადად, ინტელექტუალურ ელიტას წარმოადგენენ და ლიბერალურ ღირებულებებს იზიარებენ; სოციალური უთანასწორობითა და ფასების ზრდით უკმაყოფილო მუშები და სტუდენტობა, რომელიც წინა ორი ძალის გამაერთიანებლად ითვლება და მთავარ მოქმედ ბირთვსაც წარმოადგენს. თუმცა ასეთ ეკლექტურ გაერთიანებას უარყოფითი მხარეც აქვს – დღეს ვერავინ გეტყვით, რა ძირითადი მოთხოვნები აქვთ „ჟასმინების“ გამომსვლელებს ჩინეთში.

ჩინეთის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურმა დემონსტრაციის დღესვე დააკავა 100-ზე მეტი ადამიანი, რომელთაც ინტერნეტით საპროტესტო გამოსვლებისკენ მოწოდება ბრალდებათ. მათი უმრავლესობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაშია მიცემული სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით.

ჩინეთში მშვიდობიან პერიოდშიც დაბლოკილია ყველა საერთაშორისო სოციალური ქსელი, ბოლო 2 თვის განმავლობაში კი Google-ითა და სხვა საძიებო სისტემების საშუალებით ვერ ხერხდებოდა სიტყვებზე „ეგვიპტე“, „ტუნისი“, „ლიბია“ და ა.შ. ვერანაირი ინფორმაციის მოძიება.

თუმცა, ჩინური სპეცსამსახურები მაინც ვერ ახერხებენ ვითარების სრულად გაკონტროლებას. მეთვალყურეობის სისტემამ ვერ უზრუნველყო ინფორმაციის დროულად დაბლოკვა, შესაბამისად, 20 თებერვალს რეჟიმს გამოსვლებზე პოსტ ფაქტუმ რეაგირება მოუწია.

Boxun.com უცხოეთში მოქმედი ყველაზე პოპულარული ჩინურენოვანი საიტია. ის იმით არის გამორჩეული, რომ პეკინის კონტროლს არ ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩინეთში დაბლოკილია, დაინტერესებული პირები მაინც ახერხებენ შუამავალი საიტების საშუალებით მასზე წვდომას და შემდეგ შიდა სოციალური ქსელის Sina Weibo-ს (Twitter-ის ჩინური ანალოგი) საშუალებით ინფორმაციის მთელ ქვეყანაში გავრცელებას. თუმცა სპეცსამსახურების შიშით, დისიდენტები ხშირად ინფორმაციის გავრცელების ძველ მეთოდს ამჯობინებენ – ცნობების ზეპირად გადაცემას. ამის გამოა, რომ გამომსვლელების დიდი რაოდენობით მობილიზება ვერ ხერხდება.

დღემდე უცნობია, ვინ არის 19 თებერვლის ანონიმური განცხადების ავტორი. Boxun.com-ის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ შეტყობინება Twitter-ით მიიღეს იუზერისგან, რომელიც მოწოდების გავრცელებიდან 4 დღის შემდეგ გაქრა. ჩინეთის მთავრობა „არაკეთილისმსურველს“ ქვეყნის საზღვრებს გარეთ ეძებს.

მიუხედავად დარბევებისა, „ჟასმინების“ პროტესტი არ შეწყვეტილა. 6 მარტს გამოსვლების მესამე ტალღა შედგა და წინა ორისგან განსხვავებით, მრავალრიცხოვნობითაც გამოირჩეოდა, თუმცა ხელისუფლებამ მისი განეიტრალებაც მოახერხა. მთავრობის მიერ კონტროლირებადი მასმედიის გამო, ვერ ხერხდება გამოსვლების სრული მასშტაბებისა და რეპრესიებით დაზარალებულთა რაოდენობის დადგენა, ასევე უცნობია დემონსტრანტთა სამომავლო გეგმები. ჩინეთში გამოსვლების დიდი ტალღის აგორებას ელიან, მაგრამ კარგად იციან, რომ ჯერჯერობით მათ სამშობლოში „არაბული სცენარის“ განმეორების ალბათობა ძალიან მცირეა.



ფიდელ კასტრო

ფოტო: ალეჯანდრო დიუბერ / REUTERS

კუბა

კომანდანტეს შემოდგომა

აპრილში ფიდელ კასტრო კიდევ ერთხელ დატოვებს კუბის ლიდერის პოსტს.

სოფო ბუკია

წელს დიქტატორებს ძალიან არ უმართლებთ. გასულ კვირას გავრცელდა ცნობა, რომ აპრილში კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობას ოფიციალურად დატოვებს 84 წლის, ლეგენდარული კომანდანტე ფიდელ კასტრო, რომელიც 50 წელია, ამ კუნძულს, როგორც საკუთარ ციხე-სიმაგრეს, ისე განაგებს.

ეს ისტორიული მოვლენა, სავარაუდოდ, 15-16 აპრილს კომუნისტური პარტიის ყრილობაზე მოხდება. კუბელი კომუნისტები ამ მასშტაბის ყრილობაზე 1997 წლის შემდეგ არ შეკრებილან, ამიტომ ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადებიან.

რეალურად, ფიდელ კასტრო 2006 წლიდან აღარ არის ქვეყნის ლიდერი და საინფორმაციო საშუალებებში მის შესახებ მხოლოდ ჯანმრთელობის ცნობებიღა ჩნდება. 5 წლის წინ მან კუჭ-ნაწლავის რთული ოპერაცია გაიკეთა და გარკვეული უფლებამოსილებები თავის უმცროს ძმას რაულს „დროებით“ გადააბარა. ეს ფიდელის კარიერაში პირველი შემთხვევა იყო, როცა მან ძალაუფლების თუნდაც მცირე ნაწილი ვინმეს გაუზიარა. 2008 წელს კი კასტრო უკვე ოფიციალურად გადადგა კუბის ლიდერის თანამდებობიდან.

„ეს იქნებოდა საკუთარი თავის მოტყუება, თუ კვლავ ავიღებდი იმ პაუხისმგებლობას, რომელიც ჩემს ფიზიკურ ძალებს აღემატება. მე არ მივდივარ, ვრჩები რევოლუციის ჯარისკაცად,“ – მიუხედავად შემართებისა, მისი გამოსამშვიდობებელი სიტყვა ნოსტალგიური იყო.

მას შემდეგ კასტრო, რომელსაც საათობით საუბარი სჩვეოდა, მხოლოდ რამდენჯერმე გამოჩნდა ტელევიზიით. იგი რეგულარულად წერს სტატიებს, სადაც გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს როგორც საშინაო საკითხებზე, ისე საგარეო პოლიტიკაზე. ცოტა ხნის წინ კომანდანტე სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ დარეგისტრირდა. მას უკვე ასი ათასი მკითხველი ჰყავს, თუმცა მათი უმრავლესობა უცხოელია – კუბაზე ინტერნეტით სარგებლობა, კასტროსვე განკარგულებით,

რესპუბლიკა კუბა

კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში. მანძილი კუბიდან აშშ-მდე ფლორიდის სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილას – 180 კმ, კუნძულ ჰაიტიმდე – 77 კმ, მექსიკამდე იუკატანის სრუტით – 210 კმ.

მოსახლეობა: 11,2 მლნ.

დედაქალაქი: ჰავანა

ფართობი: 110 860 კვ.კმ

ენა: ესპანური

ძირითადი რელიგია: ქრისტიანობა

ფულის ერთეული: კუბური პესო

"ფიდელის ძიებაში"

2003 წელს ამერიკელმა რეჟისორმა ოლივერ სტოუნმა ფიდელ კასტროზე დოკუმენტური ფილმი „კომანდანტე" გადაიღო. ფილმი სტოუნისა და კასტროს 30 საათიანი დიალოგის მონტაჟია.

კომპანია NBO-მ, რომელმაც სტოუნს ფილმი შეუკვეთა, ჩათვალა, რომ მისი ნამუშევარი პროპაგანდისტული იყო და კუბასა და მის ბელადს ადიდებდა. ფილმის ჩვენება აშშ-ში აიკრძალა. მომდევნო წელს სტოუნი ისევ გაემგზავრა კუბაზე და ფილმის მეორე ნაწილი („ფიდელის ძიებაში") გადაიღო, სადაც უფრო მეტადაა გამახვილებული ყურადღება კასტროს რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

მგზნებარე ორატორი

- **ფიდელ კასტრო გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე მგზნებარე ორატორი – 1960 წელს გაეროს სხდომაზე მისი გამოსვლა 4 საათსა და 29 წუთს გაგრძელდა. სააგენტო Reuters-ის ცნობით, კასტრომ ყველაზე ხანგრძლივი სიტყვა კუბის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე 1986 წელს წარმოთქვა. იგი 7 საათსა და 10 წუთს გაგრძელდა. Cuba-vision-ის ცნობით კი, იგივე გამოსვლა 27 საათს გრძელდებოდა**
- **2010 წელს ფიდელ კასტრომ ბოდიში მოუხადა ჰომოსექსუალებს იმის გამო, რომ დევნიდა მათ.**
- **ფიდელ კასტროს მოკვლა 637-ჯერ სცადეს.**

შეზღუდულია. ინტერნეტი კუბელთა მხოლოდ 2 პროცენტს აქვს.

საინფორმაციო ვაკუუმის გამო, რომელსაც უკვე 52 წელია კასტროს რეჟიმი უზრუნველყოფს, კუბელებმა ზოგჯერ თვეების განმავლობაში ისიც კი არ იციან, მათი ლიდერი ცოცხალია თუ არა. ცნობები ფიდელის გარდაცვალების შესახებ, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ აუცილებლად ვრცელდება.

თუმცა კუბის რევოლუცია გაცილებით უფრო გამძლე აღმოჩნდა, ვიდრე ეს მის მტრებს წარმოედგინათ.

კუბის სათავეში 33 წლის ფიდელ ალეხანდრო კასტრო რუსი 1959 წელს მოვიდა, როდესაც ფულხენსიო ბატისტას რეჟიმი რევოლუციით დაამხო.

მსოფლიო ისტორიას, ალბათ, არ ახსოვს უფრო „ფოტოგენური" რევოლუცია, ვიდრე 1959 წელს კუბაზე მომხდარი აჯანყება იყო. მრისხანე ჩეს ლეგენდარული პორტრეტი, რომელიც 1960 წელს ალბერტო კორდამ კონტრრევოლუციონერების მიერ აფეთქებული ფრანგული გემის ეკიპაჟის დაკრძალვაზე გადაიღო, სიგარის კვამლში გახვეული მომღიმარი ფიდელი – ამ ფოტოებმა 60-იან წლებში მთელი მსოფლიო მოიარა და კუბელი რევოლუციონერები დასავლელი მემარცხენეების კერპებად აქცია.

1959 წლის 1 იანვარს, როცა ფულხენსიო ბატისტას კორუფციული და სისხლიანი რეჟიმი საბოლოოდ გადავარდა, ჰავანაში შეკრებილი მილიონობით ადამიანი ერთხმად სკანდირებდა: „ფიდელი! ფიდელი!" კასტრო მაშინ საკუთარ ხალხს შეჰპირდა, რომ მისი პოლიტიკური ფილოსოფია დაეფუძნებოდა „დემოკრატიას, სოციალურ სამართლიანობას და კარგად დაგეგმილ ეკონომიკას".

52 წლის შემდეგ კუბა ავტორიტარული, შიმშილისა და სიღატაკის ზღვარზე მყოფი ქვეყანაა, სადაც შაქარს, საპონს და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტებს მოსახლეობა ნორმირებულად იღებს. ელექტროენერგია აქ ფუფუნებაა, ხოლო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები, რითაც პირველ რიგში ამაყობს სოციალისტური კუბა, მხოლოდ მითია. მითები კუბაზე ისევე ბევრია, როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირში იყო.

დისიდენტების და კრიტიკულად განწყობილი ადამიანების მიმართ რეპრესიები აღარაა ისეთი მასშტაბის, როგორც რევოლუციის შემდეგ პირველ ათწლეულში იყო, როცა ადამიანებს ლოთობის, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის, ზედმეტი რელიგიურობისა და როკ-ენ-როლის სიყვარულის გამოც კი შრომაგასწორებით ბანაკებში აგზავნიდნენ. თუმცა, „ამნესტი ინტერნეიშნალის" მონაცემებით, კუბა დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა სინდისის პატიმრების რაოდენობით. ცხოვრება კუნძულზე იმდენად რთულია, რომ ხშირად ახალგაზრდა კუბელებს ძმები კასტროების რეჟიმის ქვეშ ცხოვრებას ურჩევნიათ გარისკონ და ზვიგე-

ნებით სავსე წყალში გაცურონ, რომ კუბის საზღვარი ფარულად გადაკვეთონ.

სამაგიეროდ, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს აქ უკვე აღარ დევნიან და კუბის ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს სქესის შეცვლის ოპერაცია სრულიად უფასოდ გაიკეთოს. მაგრამ ღმერთი იყოს მისი მფარველი, თუ ამ დროს ლეიკოპლასტირი დასჭირდა. ის კუბაზე დეფიციტია ისევე, როგორც ბევრი სხვა მედიკამენტი.

კუბის ეკონომიკა დღეს თითქმის ბანკროტია. 1962 წელს, მას შემდეგ, რაც კასტრომ კუბაში მცხოვრებ ამერიკელ მოქალაქეებსა და ამერიკულ კორპორაციებს მთელი ქონება ჩამოართვა და ოპოზიციის წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები დაიწყო, ვაშინგტონმა ჰავანას ეკონომიკური ემბარგო დაუწესა, რომელიც ამ დრომდე მოქმედებს. 90-იან წლებამდე კუნძული 4-5 მილიარდდოლარიანი ყოველწლიური საბჭოთა დახმარების წყალობით არსებობდა.

კასტროს რეჟიმი უკვე კარგა ხანია, ფულს ველარ უხდის უცხოელ ინვესტორებს. გაუქმდა მანამდე მოქმედი ტალონები სურსათზე და უფასო სასადილოები მუშამოსამსახურეებისთვის. დღეს კუბა ვენესუელადან გამოგზავნილ წელიწადში 100 ათას ბარელ ნავთობზე, საზღვარგარეთ (ძირითადად, მაიამიზე) მცხოვრები კუბელების ფულად გზავნილებზე და მომსახურების სფეროს ექსპორტზე დგას. კუბიდან ყოველ წელს სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში, უმეტესად ვენესუელაში, საუკეთესო სამედიცინო კადრები გადიან, რომლებიც საზღვარგარეთ "ინტერნაციონალისტებად" მუშაობენ. კუბა ამ ექიმებს არა უსასყიდლოდ, არამედ მაღალ ფასად – ძირითადად, დოლარებისა და ნავთობის სანაცვლოდ აგზავნის. თავად ექიმებს კი საკუთარი ხელფასებიდან ძალიან ცოტა რჩებათ.

მრავალი წლის განმავლობაში, კუბაზე შესაძლო ცვლილებებს ყველა ექსპერტი და დამკვირვებელი ერთ გარდამტეხ მოვლენას უკავშირებდა - ფიდელ კასტროს სიკვდილს. მთავარი ინტრიგა იმაში იყო, შეძლებდა თუ არა კასტრო ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემას. დღესდღეობით, მოვლენები ისე ვითარდება, როგორც ფიდელი ალბათ ვერც კი იოცნებებდა. მან საკუთარ სიცოცხლეშივე მოახერხა ხელისუფლების ძალიან საიმედო ხელში გადაცემა.

ბევრი ამბობს, რომ რაულ კასტრო – ფიდელის უმცროსი, 79 წლის ძმა და მემკვიდრე უფრო პრაგმატულია, ვიდრე ლეგენდარული კომანდანტე. როცა 90-იანი წლების დასაწყისში, კუბას გულუხვი საბჭოთა სუბსიდიები შეუწყდა, სწორედ რაულის იდეა იყო, რეჟიმის შესანარჩუნებლად აუცილებელი ეკონომიკური რეფორმების გატარება და სოფლის მეურნეობის ბაზრის გახსნა.

თუმცა, ამავე დროს, რაულ კასტრო იყო ის ადამიანი, რომელიც კუბის უშიშროების აპარატის ხელმძღვანელის რანგში ყველაზე შავ საქმეს ასრულებდა. მის კისერზეა ათასობით დისიდენტის დაპატიმრება და წამება.

უმცროს კასტროს, ძმისგან განსხვავებით, ჩრდილში ყოფნა ურჩევნია. რევოლუციის შემდეგ ფიდელი მუდმივად ეუბნებოდა ძმას, რომ იგი ცუდი ორატორია და მასწავლებელიც კი უქირავა, თუმცა ამას დიდი შედეგი არ მოუტანია.

რაულს, პრაქტიკულად, არ აქვს ქარიზმა, ამიტომ სიტუაციის შემდგომ გაკონტროლებას იგი მხოლოდ ცვლილებების წყალობით და კუბელთა ცხოვრების ოდნავ მაინც გაუმჯობესებით თუ შეძლებს.

კომუნისტური პარტიის ყრილობაზე, რომელიც ჰავანაში აპრილში გაიმართება, რაულ კასტრო 291 პუნქტისგან შემდგარ ახალ სამოქმედო პროგრამას წარადგენს. მთავარი ამოცანა, რომელიც კუბის ხელმძღვანელობის წინაშე დგას, ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაციაა. ეს პროგრამა საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულთა მკვეთრ შემცირებას, სუბსიდიებისა და სახელმწიფო დოტაციების შეკვეცას და ასევე ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებას ითვალისწინებს. როგორც რაულ კასტრომ განაცხადა, მოდერნიზებული კუბის აშენებას 5 წელი დასჭირდება. სავარაუდოდ, ეს ცვლილებები მხოლოდ ეკონომიკის მეტ-ნაკლებად ლიბერალიზაციისკენ იქნება მიმართული და ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას არ შეეხება. ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც რაულ კასტრო მიიღებს, მიმართული იქნება მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებისკენ. კასტროების რეჟიმმა მოახერხა რამდენიმე ახალგაზრდა კომუნისტური ლიდერის აღზრდა, რომლებიც, ასაკის მიუხედავად, ძველი იდეოლოგიის ერთგულებად რჩებიან. რაულის ამოცანაა, ახლა მათ შორის საუკეთესო მემკვიდრე შეარჩიოს.

თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდა, პატარა კუნძული კუბა, რომელმაც თავის დროზე მგზნებარე რევოლუციით გაითქვა სახელი, კიდევ მრავალ წელიწადს გაატარებს ბიოლოგიური ცვლილებების მოლოდინში. ერთი გაუთვალისწინებელი ფაქტორი შეიძლება ის იყოს, რომ ამ ბოლო დროს დიქტატორებს უჩვეულოდ ხშირად არ უმართლებთ.

„მოძძე კომანდანტე“

საბჭოთა კავშირში კასტრო ნამდვილი გმირი იყო. 1963 წელს სსრკ-ში მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი 40 დღეს გაგრძელდა. მან აქ პირველად ნახა თოვლი, გასინჯა რუსული არაყი, შემოიარა მთელი ქვეყანა ციმბირიდან სამარყანდამდე და ნიკიტა ხრუშჩოვთან ჩახუტებულმა ბევრი ფოტო გადაიღო. კასტრო პირველი უცხოელი გახდა, რომელსაც ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნასთან სიტყვით გამოსვლის უფლება მისცეს. უშიშარ კომანდანტეზე იწერებოდა ლექსები და სიმღერები. „თავისუფლების კუნძული“ კი კუბის ოფიციალური სინონიმი გახდა.

გამოიყენებს თუ არა საქართველო ბოლივიის მოდელს

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ოპოზიციისა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკება გრძელდება. „ოპოზიციური რვიანის“ ძირითადი მოთხოვნა არჩევნების ბიომეტრიული პირადობის მოწმობების საშუალებით ჩატარებაა. იდეას ღიად ვერც ხელისუფლება უპირისპირდება, თუმცა შეთანხმების მიღწევა მაინც ვერ ხერხდება.

ინტერვიუ რესპუბლიკური პარტიის ლიდერთან **დავით უსუფაშვილთან**

ფოტო: ლევან ხერგიანი

თქვენი ინიციატივა – საარჩევნო სიების ბიომეტრიული პირადობის მოწმობების საფუძველზე შედგენას – ხელისუფლება ძვირ ფუფუნებად – 188 მილიონ ლარად აფასებს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს თანხა და გაქვთ თუ არა ალტერნატიული გამოთვლის შედეგები?

დიახ, ხელისუფლებამ ეს ხარჯები მართლაც 188 მილიონ ლარად შეაფასა, რაც რეალურზე ოთხჯერ მეტია. მართალია, არც ჩვენი გამოთვლილი ციფრია დაბალი და რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს შეადგენს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი პრობლემებიდან გამომდინარე, სამართლიანი და სანდო არჩევნების ჩატარება სახელმწიფოს მთავარი ამოცანა უნდა იყოს.

ხელისუფლება არჩევნებზე ბიომეტრული მონაცემების გამოყენებას საფრთხის შემცველად მიიჩნევს – დასახელდა ტექნიკური პრობლემები, მონაცემთა ბაზის გაუმართაობა...

გაუგებარია, საერთოდ, რა საფრთხეებზეა საუბარი. თუკი საზღვრებზე და საელჩოებში ხდება ბიომეტრიული მონაცემებით ადამიანის იდენტობის დადგენა, რატომ არ შეიძლება, ეს მოხდეს არჩევნების დროსაც?!

სხვა რა ცვლილებებზეა საუბარი ხელისუფლებისთვის თქვენ მიერ წარდგენილ პროექტში?

გვაქვს კონკრეტული წინადადებები ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან, კენჭისყრის პროცედურებთან, საარჩევნო კომისიების ფორმირებასა და არჩევნებში მედიის როლის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ეს პროექტი ჩვენ გასული წლის ოქტომბრის ბოლოს გამოვაქვეყნეთ, საკმაოდ სქელტანიანი დოკუმენტია და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, ყველა პარტიის ვებგვერდზე ნახონ.

რა გაძლევთ იმის იმედს, რომ მთავრობა რაიმე დათმობაზე წავა?

იმედს მაძლევს ის, რომ გუშინდელ შეხვედრაზე ისინი უკვე დათანხმდნენ ბიომეტრიული მონაცემებით საარჩევნო სიების შედგენას, თუმცა მხოლოდ თბილისში. მეორე მხრივ, ხელისუ-

ფლებაც ამბობს, რომ იმავეს გაკეთებას თავადაც აპირებს, უბრალოდ, პროცესი 7 წელზე აქვს გათვლილი. ჩვენ კი ამ საკითხის დასრულებას ერთ წელიწადში მოვითხოვთ და ეს სავსებით რეალური ვადაა. მათ არ აქვთ არგუმენტი იმის საწინააღმდეგოდ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ჩვენც ავუწყოთ მსოფლიოს ფეხი. გარდა ამისა, ხელისუფლებას კარგად მოეხსენება, რომ ამ 8 პოლიტიკურ პარტიასთან შეთანხმებული საარჩევნო პროცედურების გარეშე ის ქვეყანაში არჩევნების ჩატარებას ვერ შეძლებს, ხოლო თუ ჩაატარებს, ამას არჩევნები არ დაერქმევა.

გაერთიანების 8 პოლიტიკურ პარტიაში მე ვერ ვხედავ უამბიციო ძალას, რომელსაც ის აკმაყოფილებდეს, რაც დღეს გააჩნია. ამბიციურ პარტიებს კი სურთ მეტი პოლიტიკური გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე. მათ პრაგმატული ინტერესი უბიძგებს დაიკავონ პრინციპული პოზიცია.

გაერთიანების შიგნით თუ არსებობს ერთიანი სტრატეგია, რომელსაც 8 ოპოზიციური პარტიისაგან შემდგარი ჯგუფი მიმართავს იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება დათმობებზე არ წავა?

ჩვენი სტრატეგია სწორედ ის არის, რომ ჩვენ ერთად ჩავებით ამ პროცესში, ერთად ვმუშაობთ საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ყველა დეტალი და ნიუანსი განიხილება ერთობლივ შეხვედრებზე და არის გარკვეული შეთანხმება, რომ ვიმოქმედებთ შეთანხმებულად და რა იქნება ის კონკრეტული ქმედებები, ამაზე ახლა ვერაფერს გეტყვით.

ვისი ინიციატივა იყო საარჩევნო საკითხებზე ხელისუფლებასთან საუბროდ ოპოზიციის ერთიანი ძალით გამოსვლა?

გასული წლის აპრილ-მაისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სამზადისის დროს, „ეროვნული ფორუმი“, რომელიც თავად არ მონაწილეობდა არჩევნებში, აცხადებდა, რომ მუშაობდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე. არჩევნებში ჩართულ პარტიებს ნაკლები დრო გვქონდა მასში მონაწილეობის მისაღებად, ამიტომაც ძირითადი საკითხები მომზადდა „ეროვნული ფორუმის“ მიერ. ივნისში კი მათი შემოთავაზებისა და პარტიებს შორის მოლაპარაკებების შემდეგ შეიქმნა ოპოზიციური რვიანი, რომელმაც 3-თვიანი მუშაობის შემდეგ, ოქტომბრის დასაწყისში უკვე შეიმუშავა პროექტი და სამოქმედო გეგმა. თავისთავად რვიანი არის შედეგი და არა გეგმა. თავიდან განსაზღვრული არ ყოფილა, თუ რამდენი პარტია იქნებოდა გაერთიანებაში.

როგორც ცნობილია, გაერთიანებაში საპარლამენტო ოპოზიციაც შედის, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება, ეს განხილული იქნას, როგორც ხელისუფლების მიერ წინასწარ ჩადებული ნაღმი?

გაერთიანების 8 პოლიტიკურ პარტიაში მე ვერ ვხედავ უამბიციო ძალას. ამბიციურ პარტიებს კი სურთ მეტი პოლიტიკური გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე. ასე რომ, მათ პრაგმატული ინტერესი უბიძგებს იქითკენ, რომ დაიცვან ის პრინციპული პოზიცია, რაც ახლა აქვს ჯგუფს.

ესაუბრა ვასო კუჭუხიძე.

ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი **ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!**

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: **(899) 48 62 41**
ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: **subscribe@liberali.ge**

ეითი ბჰენდი და ბევჰი პჰობლემა

საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინო ერთიანი ბრენდის – Wine of Georgia-ს სახელით უნდა გავიდეს. მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების გზას მთავრობა და ქართველ მეღვინეთა გილდია, მესამე წელია, ბევჯითი მონდომებით ტკეპნის.

მანანა ვარდიაშვილი

ღვინის კომპანია „ხოხბის ცრემლების“ ვენახი კახეთში, ისტორიული ქიზიყის ტერიტორიაზე, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანთან არის გაშენებული. კომპანიის დამფუძნებლებმა, ამერიკელმა მხატვარმა ჯონ ვურდემანმა და მისმა ქართველმა პარტნიორმა გელა ფათალიშვილმა ვენახისთვის ადგილი საგანგებოდ შეარჩიეს. აქ განსაკუთრებული მიკროზონაა: ზაფხულში მზე 14 საათზე მეტ ხანს ანათებს, საღამოობით კი, ხეობიდან გრილი ნიავი უბერავს. აქაური კირქვა ნიადაგი ცარცს და მუქ თიხას შეიცავს. ერთი მეტრის სიღრმეზე კი ხირხათი ქვიშნარია, რაც ვაზის ფესვთა სისტემისთვის საუკეთესო საწრეტს ქმნის.

„ხოხბის ცრემლების“ მარანში ღვინო, ტრადიციული კახური წესით, ქვევრში ძველდება. კომპანია წელიწადში 7 დასახელების 35 000 ბოთლ ღვინოს უშვებს. აქედან ნახევარი ექსპორტზე შვედეთში, აშშ-ში, კანადაში, ნორვეგიასა და გერმანიაში გადის და წარმატებითაც იყიდება. კომპანია, რომელიც ქართული ღვინისთვის არატრადიციულ საექსპორტო ბაზრებზე წარმატებით გადის, რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის დაწესებული ეკონომიკური ემბარგოს შემდეგ შეიქმნა, მაშინ, როცა მთელი ქართული მეღვინეობა კრიზისში აღმოჩნდა.

მევენახეობა-მეღვინეობის სექტორული კრიზისი 2006 წლის იანვარში დაიწყო, როცა რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ ქართულ ღვინოში პესტიციდები „აღმოაჩინა“ და მასზე ემბარგო დააწესა. სანქციებმა ქართულ ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, რადგან ღვინოს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეულში პირველი ადგილი ეკავა და მისი 80 პროცენტი რუსეთში გადიოდა.

გასული წლის 17 სექტემბერს, თელავის რაიონის სოფელ კისისხევში სასტუმროს გახსნისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში ღვინის კრიზისი გადალახულია და ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისთვის რუსეთის პრემიერ-მინისტრს მადლობაც გადაუხადა: „დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ვლადიმირ პუტინს, რომ ჩვენი ღვინის ხარისხმა მაღლა აიწია. რუსეთს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ჩვენს ღვინოსთან მიმართებაში, რადგან ღვინის კრიზისი გადალახულია. ჩვენ დავიწყეთ მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება“.

პრეზიდენტს ნამდვილად აქვს თვითდამშვიდებისთვის მცირე საფუძველი: თუ 2004 წელს ქართული ღვინის 80 პროცენტი რუსეთში გადიოდა, ახლა ის 40-ზე მეტ ქვეყანაში გადის ექსპორტზე. გასულ წელს, ლონდონში, ჟურნალ „დეკანტერის“ ღვინის საერთაშორისო კონკურსზე კი ქართულმა ღვინომ წარმატებაც მოიპოვა. ამ კონკურსზე კომპანია „ბადაგონის“ ალავერდის მონასტრის მარანში ჩამოსხმულ „Alaverdi Tradition“-ს 10 ფუნტზე მეტი ღირებუ-



დღესასწაულებრივი რუსული ბერძენი

ლების წითელი მშრალი ღვინის ნომინაციაში დიდი ოქროს მედალი გადაეცა. ასეთი ჯილდო ქართულ ღვინოს აქამდე არასოდეს მიუღია. ამავე კონკურსზე „თბილღვინოს“ „მუკუზანი“ და „თელავის მარნის“ „ქინძმარაული“ ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.

ღვინის მსხვილ კომპანიებში აცხადებენ, რომ ყველაზე მძიმე პერიოდი უკვე გადალახულია. „თბილღვინო“ საქართველოს ბაზარზე ღვინის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მწარმოებელია. კომპანია 40 დასახელების ღვინოს უშვებს და მისი ნაწარმი ექსპორტზე 25 ქვეყანაში გადის. საექსპორტო ღვინის ფასი 4 დოლარიდან იწყება და 15 დოლარს აღწევს. „თბილღვინოს“ გენერალური დირექტორი გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ გასულ წელს კომპანიას 2009 წელთან შედარებით 40-პროცენტიანი ზრდა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს „თბილღვინო“ ახალ საექსპორტო ბაზრებზე – ჩინეთში, ირლანდიაში, შვედეთსა და ფინეთში შევიდა, მისი გაყიდვების 75 პროცენტი მაინც დსთ-ს 5 ქვეყანაზე: ყაზახეთზე, უკრაინაზე, ბელარუსზე, ლიტვასა და ლატვიაზე მოდის.

ოფიციალური ინფორმაციით, რუსული ემბარგოს შემდეგ ქართული ღვინის ექსპორტის 73 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე გადამისამართდა. ამჟამად ქართული ღვინის ყველაზე დიდი საექსპორტო ქვეყნები უკრაინა, ყაზახეთი და ბელარუსია. თუმცა, ღვინის საექსპორტო ორიენტაციის შეცვლამ რუსული ბაზრის დაკარგვით გამოწვეული ზარალის სრული კომპენსირება ვერ მოახდინა. 2006 წელს, საქართველოდან ექსპორტზე 41 მლნ დოლარის ღვინო გავიდა, გასულ წელს კი 39 მლნ 269 ათასი დოლარის. ანუ, ქართული ღვინის ექსპორტი ემბარგომდელ დონეს ჯერ კიდევ ვერ დაუბრუნდა. გარდა ამისა, ქართულმა ღვინომ ისეთ დიდ ბაზრებზე, როგორებიცაა აშშ, ევროპა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, საკუთარი ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ის ჯერ კიდევ საბჭოური ნოსტალგიის მქონე მომხმარებელსა და ქართველ ემიგრანტებზეა ორიენტირებული.

2008 წელს საქართველოს მთავრობამ, მეღვინეობის ეროვნული სტრატეგიის შექმნის მიზნით, ჟურნალ Economist-ში ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ქართული მეღვინეობის განვითარების გეგმა, დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი და ახალ ბაზრებზე მოქმედების სტრატეგია უნდა წარმოედგინა. ტენდერში ამერიკულმა კომპანია „I.O.S. Partners“-მა გაიმარჯვა. მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით ქართველი მეღვინეების ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება სწორედ „I.O.S. Partners“-ის რეკომენდაციაა. მსგავსი რეკომენდაცია მისცეს ხელისუფლებას და მეღვინეებს მსოფლიო ბანკის ექსპერტებმაც.

მსოფლიოში ღვინის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი ქვეყნები

საფრანგეთი (მსოფლიო წარმოების 18,2 პროცენტით) – ის წლიურად დაახლოებით 52 მილიონ ჰექტალიტრ ღვინოს აწარმოებს.

17,6 პროცენტითა და 50,5 მილიონი ჰექტალიტრით მეორე ადგილზე იტალიაა.

ესპანეთს 12,6 პროცენტითა და 34,8 მილიონი ჰექტალიტრით მესამე ადგილი უკავია.

ამ რეიტინგში აშშ 10,6 პროცენტით და 28,7 მილიონი ჰექტალიტრით მეოთხე ადგილზე მოდის.

საქართველო წელიწადში დაახლოებით 1 მილიონ ჰექტალიტრ ღვინოს აწარმოებს და მის წილად მსოფლიო ბაზრის 0,3 პროცენტი მოდის.

უცხოელ ექსპერტთა შეფასებით, ისეთ დიდ ბაზრებზე, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, ჩინეთი ან ამერიკა, ცალკე აღებული ვერც ერთი კომპანია საკუთარი თავის წარმოჩენას ვერ შეძლებს. ამ ბაზრებზე შესვლა დიდ სარეკლამო დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამას ემატება ქვეყნის, ღვინის და ვაზის ჯიშების დაბალი ცნობადობაც. თუ ღვინის ტრადიციული მომხმარებლისთვის კაბერნე სავინიონი ცნობილი სახელია, ქართული „საფერავისა“ და „წინანდლის“ შესახებ უცხოელმა მომხმარებელმა არაფერი იცის. მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის ბრენდით გასვლა ცნობილი და აპრობირებული მეთოდია. სამხრეთ აფრიკა, ჩილე და ავსტრალია საერთაშორისო ბაზარზე თავის დროზე სწორედ ამ გზით გავიდნენ.

უცხოეთის ბაზრებზე გასასვლელად ღვინის კომპანიები სავალდებულო ბრენდირებული ეტიკეტის – Wine of Georgia-ს ქოლგის ქვეშ უნდა გაერთიანდნენ. დანარჩენ ატრიბუტებს მწარმოებელი კომპანიები უცვლელად ინარჩუნებენ. ბრენდზე წინ საქართველოს, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყნის იმიჯის წამოწევას ღვინის კომპანიები მოწონებით შეხვდნენ. თუმცა,

მევენახეობა-მეღვინეობის სექტორული კრიზისი 2006 წლის იანვარში დაიწყო, როცა რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ ქართულ ღვინოში პესტიციდები „აღმოაჩინა“ და მასზე ემბარგო დააწესა. სანქციებმა ქართულ ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, რადგან ღვინოს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეულში პირველი ადგილი ეკავა.

ბოლო 2 წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის და საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით კომპანიებმა და სახელმწიფომ ბევრი ვერც ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებით გააკეთეს. „თბილღვინოს“ გენერალური დირექტორი გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ: „ღვინის კომპანიების ერთიანი ბრენდის ქვეშ გაერთიანების მცდელობა იყო, მაგრამ სერიოზული მსჯელობა ამ საკითხზე არ ყოფილა“. სახელმწიფოს თანადგომა კი, ძირითადად, საერთაშორისო გამოფენებში ქართული ღვინის კომპანიების წარდგენის ორგანიზებით შემოიფარგლა.

თუმცა ქვეყნის და ღვინის პოპულარიზაციისთვის საქართველო სათანადოდ ვერც საერთაშორისო გამოფენებს იყენებს. ამ გამოფენებზე წარდგენილი მწირი და არასრული ინფორმაცია მომხმარებელს თუ დამთვალიერებელს არსებითს არაფერს აძლევს. საქართველოს საინფორმაციო პოლიტიკის სუსტი მხარე უცხოელმა ჟურნალისტებმაც შეამჩნიეს. აი, რას წერს ჩინური საინფორმაციო ვებგვერდი news.xinhuanet.com: „საუკეთესო ქართული ღვინოების 2010 წლის გამოცემა უფრო რეკლამების ნაკრებს ჰგავს, და არა ისტორიების, უნიკალური ჯიშებისა და ტექნოლოგიების საფუძველზე შედგენილ ღვინის ბიბლიას. მაგალითად, სახელწოდება „რქაწითელი“ მკითხველისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. აქ არ წერია, რომ რქაწითელი ვაზის ერთ-ერთი უძველესი ჯიშია და არქეოლოგიური გათხრების დროს თიხის უძველეს ჭურჭელში ნახეს რქაწითელის წიპწები, რომლებიც ჩვენს ერამდე 3000 წლით თარიღდება. კარგი იქნებოდა იმის ახსნა, რომ საფერავი ქართულ ენაზე, ფერს, საღებავს ნიშნავს და ყურძნის მარცვლის ინტენსიური მუქი წითელი შეფერილობა წითელი ანტოციანინის დამსახურებაა, რომელსაც მარცვლის რბილობი და კანი შეიცავს და რომ მუქი წითელი საფერავი კარგი საშუალებაა სიბერის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

არის სხვა პრობლემებიც. ჟურნალი Economist-ი წერს, რომ „ქართული ღვი-

საქართველო და ალკოჰოლური სასმელები

საქართველოში ალკოჰოლური სასმელის ყველაზე პოპულარული სახეობებია: ღვინო, არაყი, ლიქიორი და ბრენდი. ღვინის ინდუსტრიის მთავარი სეგმენტი — 65 პროცენტი ნახევრად ტკბილ ღვინოებს უჭირავს. დანარჩენი 35 პროცენტი მშრალი ღვინოების წილად მოდის. ქართველი მეღვინეები, ძირითადად, მშრალ, ნახევრად მშრალ, ნახევრად ტკბილ, ტკბილ, შუშხუნა და არომატიზებულ ღვინოებს აწარმოებენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში ალკოჰოლური სასმელების 218 კომპანიაა დარეგისტრირებული. თუმცა, ამჟამად ბაზარზე დარეგისტრირებული კომპანიების 70 პროცენტზე ნაკლები ფუნქციონირებს. პროდუქციის ექსპორტს 35 კომპანია ეწევა და ქართული ღვინო ექსპორტზე 40-ზე მეტ ქვეყანაში გადის.

2010 წელს მსოფლიოს 46 ქვეყანაში 14,6 მლნ ბოთლი ქართული ღვინო გავიდა, რაც 2009 წლის მაჩვენებელს 34%-ით აღემატება. ექსპორტის ნახევარი კვლავ უკრაინაზე მოდის (7,4 მლნ ბოთლი).

საქართველოში ღვინის მწარმოებელი კომპანიები

ღვინის წარმოების სეგმენტში ყველაზე მსხვილი კომპანიები არიან: „თბილღვინო“, „თელიანი ველი“, „თბილისის ღვინის მარანი“, „თელავის ღვინის მარანი“, „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლის კომპანია“, „ტარო“, „ვაზიანი“, „შუმი“, „ხარება“, „ქინძმარაული“ და „თბილვაზი“. ამ კომპანიების უმეტესობა თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და, ძირითადად, ექსპორტზეა ორიენტირებული. საქართველოში წარმოებული ღვინის 90 პროცენტი ექსპორტზე გადის. ადგილობრივი მოთხოვნა მხოლოდ 10 პროცენტია.

ნო ძალიან ძვირია იმისთვის, რომ დასავლეთევროპის და აშშ-ს ბაზრების მნიშვნელოვანი წილი დაიკავოს“.

ქართულ ღვინოს ახალ საექსპორტო ბაზრებზე დამკვიდრება რომ უჭირს, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ საქართველოს ამ ეტაპზე იაფი და კონკურენტუნარიანი ღვინის წარმოება არ შეუძლია. დარგში პროფესიონალი კადრების — ტექნოლოგების, მევენახეობის და მარკეტინგის მენეჯერების და თანამედროვე ტექნოლოგიების დეფიციტია.

„ღვინის კლუბის“ პრეზიდენტი მალხაზ ხარბედია ამბობს, რომ ქართული ღვინის სექტორი ინერციით ვითარდება: „ის საინტერესო სიახლეები, რომლებიც 90-იანი წლებიდან დაიწყო ქართულ მეღვინეობაში, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ დღევანდელობა მეტ სიახლეს მოითხოვს. სიახლეში არ ვგულისხმობ ახალ ტექნოლოგიებს, პირიქით, შეიძლება ყველაზე ტრადიციული მეთოდები ჩანდეს დღეს ყველაზე მოწინავედ და, მაგალითად, ქვევრის ღვინომ, გაცილებით მეტი ცნობადობა შესძინოს საქართველოს და ქართულ ღვინოს, ვიდრე უცხოურ გემოზე მორგებულმა ქართულმა ღვინოებმა, რომლებსაც, როგორც ვხედავთ, ძალიან უჭირთ მსოფლიო ბაზარზე. უკრაინის, ყაზახეთისა და ბელარუსის ინერციული ბაზრების გარეშე, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდებოდა, არადა სწორედ ამ ბაზრების (ადრე ასეთი იყო რუსეთის ბაზარი) დამსახურებაა, რომ ქართული ღვინო ერთ ადგილს ტკეპნის. რა თქმა უნდა, ეს ბაზრები არ უნდა დავკარგოთ, პირიქით, კიდევ უფრო უნდა გავფართოვდეთ იქ, მაგრამ ქართული ღვინო ამ სამ ქვეყანას არ უნდა გადავაყოლოთ. დამიჯერეთ, ქართული ღვინის სახე ის არაა, რასაც უკრაინელი მომხმარებელი ასე ხარბად ეწაფება“.

საქართველოს მთავრობამ ქართულ ღვინოსთან მიმართებაში საკუთარ სტრატეგიას გასულ წელს კიდევ ერთხელ გადახედა და ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან ხანგრძლივი კონსულტაციის შემდეგ ღვინის ასოციაცია შექმნა. ასოციაციაში, სადაც 21 კომპანიაა გაერთიანებული, სახელმწიფომ 600 ათასი ლარი ჩადო. ეს თანხა ღვინის კომპანიების მიერ გადახდილ საწევროებთან ერთად მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციას უნდა მოხმარდეს. ასოციაციის ხელმძღვანელი თინა კეზელი მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ ქართული მეღვინეობის კონცეფცია და ღვინის ექსპორტის სტრატეგია თავიდან არის შესაქმნელი. გამოდის, გასული 2 წელი ფუჭად დაგვიკარგავს.

„თითოეული ბაზრისთვის მარკეტინგული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ცალკე უნდა დაიწეროს. ამ გეგმების განხორციელებას ფული სჭირდება. ეს თანხა სახელმწიფომ და მეღვინეობის სექტორმა ერთობლივად უნდა გაიღონ“, – ამბობს გიორგი მარგველაშვილი.

„რა თქმა უნდა, ქართული ღვინის კონცეფცია ახლიდანაა დასაწერი“, – ამბობს მალხაზ ხარბედია. „უცხოეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ძალიან ხშირად, არაეფექტურად. იმიტომ, რომ ჯერ ჩვენს თავში ვერ გავრკვეულვართ და, უბრალოდ, არ ვიცით, როგორ მი-

ვაწოდოთ ჩვენი ღვინო უცხოელ მომხმარებელს, როგორ შევფუთოთ. მთელი გუნდი უნდა შრომობდეს ქართული ღვინისთვის იმიჯის შექმნაზე, რადგან ერთხელ გაპარებული უხარისხო ღვინო ან კიდევ უარესი, არასწორი მესიჯი ძალიან ძვირად დაგვიჯდება. ასეთ გუნდში მეღვინეებისა და პოლიტიკოსების გარდა ჟურნალისტები, იურისტები, ეკონომისტები, საზოგადოების წარმომადგენლები, ხელოვანები და მეცნიერებიც უნდა მონაწილეობდნენ. ე.წ „ღვინის ელჩებს“ მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ“.

ბევრი ექსპერტის აზრით, ქართული ბრენდების გაერთიანება საექსპორტო პოტენციის გაზრდის მიზნით პანაცეა არ არის. მეღვინეობის დარგის სპეციალისტები არ კამათობენ იმაზე, რომ ქართულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე გასვლის პერსპექტივა ნამდვილად აქვს – მთავარი ნაკლებად ცნობილი პროდუქტის სწორი წარდგენაა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეღვინეებმა მყიდველის გემოვნება და პროდუქციის საფასო პოლიტიკა ერთმანეთს ჰარმონიულად უნდა შეუთანხმონ.

„ცოტა ღვინო და შესაბამისად, ცოტა პრობლემა მაქვს“, – ამბობს ჯონ ვურდემანი – „მთავარი, სწორი მიდგომაა. მე ბაზარს მისთვის ეგზოტიკური, უცხო და საინტერესო პროდუქცია შევთავაზე: ღვინოს ყურძნის ადგილობრივი და უნიკალური ჯიშებიდან და ტრადიციული კახური მეთოდით ვაყენებთ. ვენახი ორგანულია, რასაც უცხოელი მომხმარებლისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. „ხოხბის ცრემლების“ ღვინო არ არის „ღვინო ყველასთვის“. ეს არის ღვინო გურმანებისთვის, ღვინის გურმანებისთვის — მისთვის, ვინც იცის ღვინის ფასი, მისი დაყენების და მოხმარების წესები და უნდა, რომ თავისი ცოდნა და თვალსაწიერი ამ სფეროში კიდევ უფრო გაამდიდროს. ვფიქრობ, რომ ქართველმა მეღვინეებმა უცხო ბაზარს ორიგინალური პროდუქტი უნდა შესთავაზონ. მასობრივი და იაფი ღვინის წარმოებაში საქართველო ჩილეს და ავსტრალიას კონკურენციას ვერ გაუწევს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის სწორ წარდგენასაც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღვინო ღვინის ჟურნალისტებმა, კრიტიკოსებმა და ბლოგერებმა შეაფასონ“.

მალხაზ ხარბედია ამბობს, რომ ქართული ღვინის „ერთი ქოლგის ქვეშ“ გაერთიანება ერთადერთი გამოსავალია, თუმცა ამისთვის აუცილებელია, რომ ეს „ქოლგა“ კარგად მუშაობდეს და მის ქვეშ ყველასთვის იყოს ადგილი, ნოვატორებისთვისაც და ტრადიციონალისტებისთვისაც, მთავარია, ზერელობამ არ მოიპოვოს იქ ძლიერი თავშესაფარი.

ღვინის ასოციაციისთვის კი პირველი რიგის ამოცანა აშშ-ს ბაზრის ათვისებაა. ამერიკის ბაზარზე შესვლას ქართული მხარე 2011 წლიდან იწყებს.

ჯიპიაი
ვენის საფაზღვევო ჯგუფი

საჭესთან
ქალია

მხოლოდ ქალბატონებისთვის!!!
მხოლოდ მარტში!
ავტომობილის დაზღვევის
ექსკლუზიური პირობები!
სრული პაკეტი—3,5%-ად!
საჩუქრად მქსამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა

505 111
www.gpih.ge

„კავკასიის ფრანგული სკოლა“, თბილისი 11 მარტი 2011

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

კერძო სკოლები

როგორ ავარჩიოთ სკოლა?

15 მარტიდან კერძო და საჯარო სკოლებში პირველკლასელთა საყოველთაო რეგისტრაცია იწყება. მშობლების უმეტესობას სწორი არჩევნის გაკეთებისთვის საჭირო ინფორმაცია არ აქვს. როგორ განათლებასა და სერვისს სთავაზობენ კლიენტებს კერძო სკოლები?

ნათია ახალაშვილი, მაია წიკლაური

15 მარტიდან განათლების სამინისტრო სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის სკოლის შერჩევის სეზონს ხსნის. სამინისტროსგან საჩუქრად კომპიუტერებს მხოლოდ ის პირველკლასელები მიიღებენ, რომლებიც მათთვის სასურველ საჯარო სკოლაში დარეგისტრირებას 15 მაისამდე მოასწრებენ. ამიტომ მშობლების უმრავლესობას სწორედ ამ ორთვიან ვადაში მოუწევს მნიშვნელოვანი არჩევნის გაკეთება – რომელ სკოლაში მიიღებს განათლებას მათი შვილი.

იმ მშობლებისთვის, რომლებსაც მეტ-ნაკლებად აქვთ საშუალება, შვილის განათლებაში ფული პირველივე კლასიდან ჩადონ, მთავარი არჩევანი საჯარო სკოლასა და კერძო სასწავლებელს შორის კეთდება.

უმეტესად ძველი ყაიდის პედაგოგები, უღიმღამო სასწავლო გარემო, 35 და ზოგჯერ, უფრო მეტი მოსწავლე ერთ კლასში, მანდატურების მიერ დამყარებული მკაცრი სასკოლო რეჟიმი, ბავშვის რეპეტიტორებთან მომზადების პერსპექტივა, იმის შიში, რომ სკოლა ვერ გახდება ბავშვისთვის საყვარელი ადგილი, იქ მიღებული განათლებით კი ის თანამედროვე ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ვერ შეიძენს – ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ბევრი მშობელი თავიდანვე უარს ამბობს საჯარო სკოლაზე და კერძო სკოლაში ფულის გადახდას ირჩევს.

კერძო სკოლის შერჩევა სახლის ყიდვას ჰგავს, – ამბობენ ამერიკელები. როგორც სახლს აქვს თავისი უპირატესობები – ფართო საძინებელი, კეთილმოწყობილი აბაზანა, ნათელი სასადილო ოთახი, კარგი მდებარეობა და ლამაზი ხედი, ისე კერძო სკოლებსაც აქვთ თავიანთი მახასიათებლები.

ამერიკის კერძო სკოლათა ასოციაციის ვებგვერდზე ჩამოთვლილია გავრცელებული მიზეზები, რომელთაც მშობლები კერძო სკოლის შერჩევისას ითვალისწინებენ. მათ შორისაა ინდივიდუალური ყურადღება, რომელსაც თქვენი შვილი პედაგოგებისგან მიიღებს; მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და თანამედროვე, სიახლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა.

კერძო სკოლის არჩევისას ამერიკელი მშობლებისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი სტატისტიკაცაა – კერძო სკოლადამთავრებულთა 90 პროცენტი სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს, საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებიდან კი უნივერსიტეტებში მხოლოდ 66 პროცენტი ხვდება.

რა არჩევანი აქვთ ქართველ მშობლებს და რას სთავაზობს მათ დღეს კერძო სკოლების ქართული ბაზარი?

ქართველი მშობლები კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული არჩევნის გაკეთებას მხოლოდ დღეს სწავლობენ. საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს სკოლების ერთიანი საძიებო სისტემა, რომელშიც თითოეული სკოლა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და სტატისტიკის გათვალისწინებით იქნება შეფასებული, რაც თქვენთვის სასურველი სასწავლებლის პოვნას გაგიადვილებთ. ამიტომ ან ნაცნობ-მეგობრების რჩევებს უნდა ენდოთ, ან აიღოთ შვებულება და სასურველი სკოლის ასარჩევად თავად ჩაატაროთ რთული კვლევა.

თბილისში დღეს 200-მდე კერძო სკოლაა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ავტორიზაციას ფლობს. ეს სკოლები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც გადასახადებით, ისე შემოთავაზებული სერვისებით, სასწავლო პროგრამებით, კონცეფციითა და მეთოდიკით.

ამერიკელი მარკ მალენისთვის, რომელსაც თავისი მცირეწლოვანი შვილები თბილისში, „ახალ სკოლაში“ დაჰყავს, კარგი სკოლაა ის, რომელიც ბავშვებს უვითარებს: „ცნობისმოყვარეობას, კითხვების დასმისა და მოსმენის უნარს, პატივისცემას, თანაგრძნობას, ასწავლის დაგეგმვას, თანამშრომლობას, აძლევს ორგანიზატორულ ჩვევებს“. მარკ მალენისთვის ეს გაცილებით უფრო სასარგებლო ცოდნაა, ვიდრე ფაქტების შესწავლა.

რას ეძებენ ქართველი მშობლები კერძო სკოლებში ისეთს, რის პოვნის იმედიც საჯარო სასწავლო დაწესებულებებში არ აქვთ?

ქართული ინტერნეტ-ფორუმი – ეს ის ვირტუალური ადგილია, სადაც შეიძლება, ერთიანად გაეცნოთ მშობლების არგუმენტებსა და შეფასებებს ამა თუ იმ კერძო სკოლის შესახებ. ზოგი საკითხს მარტივად უდგება და კერძო სკოლასაც იმავე პრინციპით არჩევს, რითაც საჯარო სკოლას აირჩევდა – რომელია სახლთან უფრო ახლოს. მათი მოტივია ის, რომ „არ არის ურიგო, როცა ბავშვი სადაც ცხოვრობს, იმავე უბანში დადის

„კავკასიის ფრანგულ სკოლაში“ სასადილოც დახვეწილ ფრანგულ სტილშია გადაწყვეტილი. თბილისი 11 მარტი 2011

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

სკოლაში. ავტობუსით რომ წაიყვანენ ქალაქის მეორე ბოლოში და მერე მოიყვანენ, მგონი, არ არის გამართლებული. ჩემი ყველა მეგობარი ჩემი ყოფილი კლასელი, ან სკოლელი და უბნელია”.

ზოგისთვის განმსაზღვრელი არგუმენტი მაინც ფასია, მოტივი კი ასეთი – „საჯარო სკოლაზე ოდნავ უკეთესი იმით მაინც ხომ იქნება, რომ საცურაო აუზი აქვს და ზამთარში ბავშვს გუდაურში წაიყვანენ!“

ზოგისთვის ფაქტორია „არაგოიმი მასწავლებლები“, ზოგისთვის – „მასწავლებლების განათლებისა და შეგნების დონე”.

„ეს სკოლა მაღლივის გზაზე რომ არის, ისაა? ამის დირექტორზე გავიგე, ბავშვებს ოჯახების წარმომავლობით, შესაძლებლობებით და ფეისკონტროლით არჩევსო. არ ვიცი, რამდენად მართალია“, – ონლაინ ფორუმზე გავრცელებული ეს ჭორი მშობლისთვის ძალიან საგულისხმო დეტალი შეიძლება გახდეს. ასეთ მნიშვნელოვან ნიუანსებს ამა თუ იმ სკოლის შესახებ სწორედ ფორუმებზე, ან ნაცნობ-მეგობრებისგან თუ გაიგებთ. სხვა დანარჩენი ინფორმაციისთვის კი არსებობს ინტერნეტ საძიებო საიტები და სკოლების ოფიციალური გვერდები. ასე რომ, სასურველი სკოლის ძებნაც ისევ შენობიდან გაუსვლელად, ონლაინ რეჟიმში გრძელდება.

ერთი რჩევა მშობლებისთვის – საძიებო საიტებს მაინცდამაინც ნუ ენდობით, რადგან შესაძლოა, ცნობარში მის შესახებ სამი წლის განმავლობაში განუახლებელი ინფორმაცია დაგხვდეთ.

სამაგიეროდ, ძალიან ბევრ ცნობილ და დიდ კერძო სკოლას აქვს საკუთარი ოფიციალური მისამართი და ბევრი მათგანი ცდილობს, გვერდი პოპულარულ სოციალურ ქსელ facebook-ზიც შექმნას. „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში“ ამბობენ იმასაც, რომ მათ facebook-ის გვერდს მოსწავლეები აახლებენ – თანატოლებისთვის უფრო გასაგებ ენაზე რომ ახსნან თავიანთი სკოლის უპირატესობა.

თუმცა, „ბაქსვუდის“ სკოლის ხელმძღვანელები უფროსების მოსაზიდავადაც არანაკლებ ეფექტურ რეკლამას იყენებენ. მათ ბროშურაში წერია: „მწეველთა ოჯახში მეუღლეები დღეში, საშუალოდ, 5 ლარს ხარჯავენ სიგარეტის შეძენაზე, რაც წელიწადში 1825 ლარს შეადგენს. ეს კი ჩვენი წლიური გადასახადის ნახევარზე მეტია“, – ეს სტატისტიკა ბევრ მშობელს დააფიქრებს, განსაკუთრებით მწეველებს.

„ბაქსვუდის“ სკოლას ვებგვერდზე ზუსტად აქვს მითითებული წლიური გადასახადი, თუმცა, ძალიან ბევრი სკოლა ამ ინფორმაციას ასე იოლად არ გასცემს. „ახალ სკოლასა“ და „თბილისის საერთაშორისო სკოლაში“ ამის მიზეზად მშობლებს ასახელებენ, რომელთაც არ სურთ შვილების განათლებაში მათ მიერ გადახდილი თანხის გასაჯაროვება.

თუმცა, ეს საიტები მაინც სასარგებლო ინფორმაციითაა სავსე. მაგალითად, კიკეთში მდებარე იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მისამართზე მშობელი იგებს, რომ იქ სულიერ აღზრდას ისეთივე დიდ ყურადღებას უთმობენ, როგორსაც – აკადემიურ განათლებას. გვერდის გახსნისთანავე, სიახლეების გრაფაში, ორი ასეთი ცნობა დაგხვდებათ: „4 მარტი – იაპონური კულტურის გაცნობა – სკოლას იაპონიის საელჩო ესტუმრა; 4 მარტი – ყველიერის კვირა – მოსწავლეებმა დღეს ყველიერის კვირა აღნიშნეს”. ამ ინფორმაციის წაკითხვა ბევრი მშობლისთვის არჩევნის გაკეთებისას მთავარი ფაქტორი ხდება.

მშობლების კონტინგენტზე ინტერნეტის საშუალებით გასვლა ბევრი სკოლისთვის ყველაზე მოქნილი და იოლი გზაა. თუმცა, არსებობს ისეთი სკოლებიც, რომელთაც თვითრეკლამირების უფრო ეფექტიანი ხერხები იპოვეს. ასეთია, სკოლა „მწიგნობართუხუცესი“, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წლის საუკეთესო კერძო სკოლად დაასახელა. სამინისტროსთან ერთად განხორციელებული პროექტების გამო მინისტრი შაშკინი ამ სკოლას რამდენჯერმე ეწვია. ამ მიზეზით კი „მწიგნობართუხუცესი“ წლის განმავლობაში რამდენჯერმე გახდა სატელევიზიო სიუჟეტების გმირი. სკოლის დირექტორი, დავით კახნიაშვილი ამბობს: „სამინისტრო კერძო სკოლებისადმი ძალიან კეთილგანწყობილია და ძალიან უნდა, რომ კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნას, მარტო ის რად ღირს, რომ ბატონი დიმიტრი შაშკინი ჩვენს სკოლაში ერთი 5-ჯერ, 6-ჯერაა ნამყოფი სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ეს არის კერძო სკოლებისადმი ყურადღების დადასტურება”.

ხშირად ბევრი სკოლის თავმოწონების მთავარი მიზეზი კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა და სპორტული და სახელოვნებო წრეები ხდება. ეს ის არის, რაც მათ საჯარო სკოლებისგან, პირველ

კერძო სკოლა „მწიგნობართუხუცესში“ ფიქრობენ, რომ საკუთარი აუზი ბრენდირების პროგრამაში ვარსკვლავების მოსაპოვებლად დაეხმარებათ. თბილისი, 9 მარტი 2011

ფოტო: თეიმურ ბარძიბაშვილი

■ თუ ზოგისთვის საცურაო აუზი, სპორტული მოედანი, კერამიკის კაბინეტი, კარგი ბიბლიოთეკა და კვლევითი ლაბორატორიები მხოლოდ დამატებით პლუსებია, დანარჩენებისთვის ეს თავმოწონების ერთადერთი საშუალებაა.

რიგში, განასხვავებთ.

თუ ზოგისთვის საცურაო აუზი, სპორტული მოედანი, კერამიკის კაბინეტი, კარგი ბიბლიოთეკა და კვლევითი ლაბორატორიები მხოლოდ დამატებითი პლუსებია, დანარჩენებისთვის ეს თავმოწონების ერთადერთი საშუალებაა.

წლის საუკეთესო კერძო სკოლის დირექტორის თქმით, ერთ-ერთი, რაც თავის სკოლაში ყველაზე მეტად ეამაყება, საცურაო აუზია, მაგრამ სპორტზე არანაკლებ ყურადღებას „მწიგნობართუხუცესში“ ცეკვას აქცევენ. “ჩვენ მოცეკვავეებს არ ვზრდით, ჩვენ გვინდა, რომ ქართველმა კაცმა ქართული ცეკვა იცოდეს, თავის შესაძლებლობის ფარგლებში. თავის ქორწილში ხომ უნდა იცეკვოს ყველამ? რა არის ამაში ცუდი?“ – პრეზიდენტის ცნობილ ციტატას იმეორებს დავით კახნიაშვილი.

„წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლაში“ რომ მიხვიდეთ, დირექტორი, პირველ რიგში, საცოც კედელს, კერამიკის ოთახს და ღვინის მარანს დაგათვალიერებინებთ. იოსებ ხუციშვილი ფიქრობს, რომ მისი სკოლა გამორჩეულად ზრუნავს ბავშვების ფიზიკურ განვითარებასა და ქართული ტრადიციების შენარჩუნებაზე. ამ კონცეფციის ფარგლებში, სკოლაში, კლდეზე ცოცვის გარდა, მოსწავლეებს ღვინის დაყენების ტექნოლოგიებსაც ასწავლიან. საამაყოა ისიც, რომ ბავშვები კვირაში ერთხელ ეკლესიაში წირვაზე დაჰყავთ. უტარდებათ ფეხბურთის, რაგბის, ცურვის, ჭადრაკის გაკვეთილები და დიდ დროს უთმობენ ლაშქრობებსა და ფიზიკურ აღზრდას.

სკოლის დირექტორი ფიქრობს, რომ კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მშობლებს მის სკოლაში მიჰყავთ ბავშვები, სუფთა ჰაერია. სკოლა ბაგებში მდებარეობს და გარშემო ტყე აკრავს. დღეში ერთ საათს მაინც ბავშვები სკოლის ეზოში ატარებენ.

სუფთა ჰაერი ხარისხიანი ინფრასტრუქტურის ნაწილია ქალაქგარეთ გახსნილ სკოლებშიც.

„პირველებმა გადავდგით საკმაოდ გაბედული ნაბიჯი ხუთი წლის წინ და სკოლა ქალაქგარეთ გადავიტანეთ,“ – ამბობს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის“ დირექტორი ლევან ხარატიშვილი, რომელიც წყნეთის მშვიდ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, სკოლის ერთ-ერთ პლუსად მიიჩნევს. „ბაქსვუდში“ კარგ ჰაერსა და ბუნებას სპორტული თამაშებისთვის იყენებენ. იქ სპორტის 6 სახეობიდან 2-ის არჩევა სავალდებულოა და სკოლას საკმაოდ წარმატებული ფრენბურთის გუნდიც ჰყავს.

„თიხით ძერწვა, ხატვა, ხელოვნება, ჭადრაკი, რაგბი, ცეკვა, ბალეტი, კულტურის ისტორია, განმავითარებელი, ფსიქოლოგიური თამაშები და, რა თქმა უნდა, გაკვეთილების მომზადების პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია სწავლის საერთო გადასახადში“, – ამბობს საერთაშორისო ქართული სკოლის დირექტორი თინათინ ცერცვაძე.

თუმცა, ამ სკოლისთვის ისევე, როგორც „ბაქსვუდის“, „ახალი სკოლის“, „გერმანული სკოლისა“ და ამერიკული აკადემიისთვის, წრეები, გამართული ინფრასტრუქტურა და კარგი მომსახურება მხოლოდ დამატებითი პლუსებია. მათი ხელმძღვანელები ამბობენ, რომ უმთავრესი, რაც მათ სასწავლებლებს კერძო სკოლების ბაზარზე გამოარჩევს, დახვეწილი სასწავლო პროგრამა და ორიგინალური კონცეფციაა. ბევრი მათგანისთვის საამაყოა ისიც, რომ მოსწავლეებს საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამით სწავლას სთავაზობს.

ბევრი მათგანისთვის საამაყოა ისიც, რომ მოსწავლეებს საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამით სწავლას სთავაზობს. თბილისში ასევე არის რამდენიმე სკოლა, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი არა, მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის სასკოლო პროგრამით ასწავლიან. მაგალითად – „კავკასიის ფრანგული სკოლა“ (ფრანგული), „გერმანული სკოლა“ (გერმანული), „QSI თბილისის საერთაშორისო სკოლა (აშშ).

„ბავშვი კონტეინერი არ არის, რომელშიც მხოლოდ ცოდნის ჩატვირთვა-

ზე ვზრუნავთ. ჩვენ მას ვუვითარებთ სოციალურ კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებს, ვცდილობთ, სულ იყოს დაინტერესებული, სულ რაღაცას იკვლევდეს“, – ამბობს „გერმანული სკოლის“ ხელმძღვანელი ანდრე ბეტცი, რომელიც დასძენს, რომ მათი სკოლა გერმანიაში ყველაზე თანამედროვე სასწავლო გეგმად აღიარებული პროგრამით ხელმძღვანელობს.

„ჩვენ ბავშვებს იმას ვასწავლით, თუ როგორ უნდა ისწავლონ. ამას სპეციალური ტექნიკით ვახერხებთ. გვინდა, თითოეული ბავშვი ჩამოვაყალიბოთ ინდივიდებად, რომლებიც საკუთარ უნიკალურ თვისებებს გრძნობენ, მაგრამ აგრეთვე თანამშრომლობის უნარიც აქვთ. გვინდა, მოსწავლეებს ჰქონდეთ იდენტიფიკაცია საკუთარ ქვეყანასთან, მაგრამ, ამავე დროს, განვუვითაროთ ყველა ის უნარი, რასაც მათ საერთაშორისო სტანდარტი უწესებს“, – აცხადებს „საერთაშორისო ქართული სკოლის“ დირექტორი, თინათინ ცერცვაძე.

„სწრაფი ადაპტაცია, ინფორმაციის გადამუშავება, ანალიზი და გამოყენება, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების უნარები – ეს ისაა, რაც მოსწავლეს უნდა მივცეთ. ბავშვმა თვითონვე უნდა აღმოაჩინოს ცოდნა ინდუქციური მიდგომით. ამიტომ ჩვენთან მასწავლებელი მუდმივად ეკითხება ბავშვს თუ რატომ და როგორ მოხდა ესა თუ ის ფაქტი და შესაბამისად ბავშვი მუდმივ ად აღმოჩენის პროცესშია“, – ამბობს ნათია ჯანაშია, ბრიტანულ-ქართული აკადემიის დირექტორი.

„ჩვენთან აუცილებელი არაა, დაიმახსოვრო თარიღები და ზეპირად ისწავლო მონაკვეთები ნაწარმოებებიდან. გააზრებული გვაქვს, რომ ჩვენ, მეოცე საუკუნეში დაბადებულები ვასწავლით იმ ადამიანებს, რომლებიც 21-ე საუკუნის შუახანებში იცხოვრებენ. საიდან უნდა ვიცოდეთ, რა დასჭირდებათ მათ? ცხადია, ეს არ ვიცით, სამაგიეროდ, შეგვიძლია, ვასწავლოთ, როგორ მოიძიონ ის, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ“, – გვიყვება „ახალი სკოლის“ დირექტორი, მარინა ჟღენტი და დასძენს, რომ ამ ცოდნის გადასაცემად საჭიროა, ბავშვები მაქსიმალურად თავისუფალ გარემოში იზრდებოდნენ, სადაც სწავლა სახალისო პროცესი იქნება.

ამ დროს დერეფანში ზარის მაგივრად, რიტმული მუსიკა ისმის, რომელიც ბავშვებს გაკვეთილის დაწყებას ატყობინებს. მოსწავლეებიც კლასში ცეკვა-ცეკვით შედიან.

„ახალ სკოლაში“ წინა კვირას რომ მისულიყავით, დერეფანში შესაძლოა, მუმიასავით ჩაცმული მასწავლებელი გადაგყროდათ, ან საღამოს კაბაში გამოპრანჭული მოსწავლე გოგონა. ამ ერთი კვირის განმავლობაში თითოეულ დღეს მოსწავლეები გეგმავდნენ. ორშაბათი, ვთქვათ, „გიჟური დღე“ იყო, როცა ყველას გიჟურად უნდა ჩაეცვა, სამშაბათი – ტყუპების დღე – როცა რამდენიმეს ერთნაირი ტანსაცმელი უნდა შეერჩია, ოთხშაბათი – ჰიპების დღე, ხუთშაბათი – წითელი ხალიჩის, პარასკევი – სპორტის. „ასეთი დღეები სკოლის ცხოვრებას ახალისებს“, – ამბობს დირექტორი და დასძენს, ეს ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებლების მიმართ ბავშვებს აგდებული დამოკიდებულება უჩნდებათ.

„ჩვენს სკოლაში არის წესები, რომელსაც უნდა დაემორჩილო. მაგალითად, უნდა გეცვას ფორმა, არ უნდა დააგვიანო გაკვეთილზე. თუ ასეთი შემთხვევა მოხდა, ბავშვი კლასში რჩება. როცა სხვა ბავშვები ავტობუსებში სხდებიან და სახლებში მიდიან, დასჯილი ბავშვი ყურებჩამოყრილი ზის, თან არც უნდა იმეცადინოს, – ამას ვუკრძალავთ. ხვდება, რომ ასე ყოფნით, უბრალოდ დროს კარგავს და მეცადინეობა სახლში მოუწევს. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი დასჯის ფორმები ბავშვს თავისი შეცდომის გააზრებაში ეხმარება“, – ამბობს დირექტორი, მარინა ჟღენტი.

დასჯის განსხვავებული მეთოდი აქვთ „ბრიტანულ-ქართულ აკადემიაშიც“ – მოსწავლის მიერ სასკოლო წესების დარღვევის შემთხვევაში აკადემია რესტორაციული სამართლის პრინციპებს იყენებს. მოსწავლემ თავად უნდა მოიფიქროს რა სასარგებლო საქმე შეუძლია გააკეთოს სკოლისთვის.

„ჩვენი სანქციები ეტაპობრივია. ჯერ გაფრთხილებით იწყება და შეიძლება, გარიცხვამდეც მივიდეს საქმე. ვიყენებთ ქცევის თვითშეფასების ფორმასაც. ანუ მოსწავლეები თავად განმარტავენ, რა იყო პრობლემა და როგორ შეიძლებოდა, სხვაგვარად მოქცეულიყო“, – ამბობს ბრიტანულ-ქართული აკადემიის დირექტორი, ნათია ჯანაშია.

„ჩვენთან დასჯაა საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში ბავშვის ჩართვა -დასუფთავება, დალაგება“, - ამბობს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის“ დირექტორი. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის რომელიმე წევრი სკოლის განაწესს დაარღვევს, მთელ ჯგუფს აკლდება

თბილისის კერძო სკოლებში სწავლის წლიური ფასი პირველკლასელთათვის	
ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა	1100-1400 ფუნტ სტერლინგი (დამოკიდებულია ტრანსპორტირებაზე)
ბრიტანულ-ქართული აკადემია	5900 ლარი
გერმანული სკოლა	3500 ევრო
თბილისის საერთაშორისო სკოლა (QSI)	18500 დოლარი
კავკასიის ფრანგული სკოლა	4000 ევრო
მომავლის სკოლა	4000 ლარი
საერთაშორისო ქართული სკოლა	6000 ლარი
წმინდა გიორგის სახელოზის საერო სკოლა	5500 ლარი
მწიგნობართუხუცესი	3500 ლარი

**ზოგიერთ სკოლაში უარი გვითხრეს, მათი გადასახადის რაოდენობის გამოქვეყნებაზე.*

ფოტო: მარიას ქორაველი

კერამიკის გაკვეთილი „წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლის“ ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია. თბილისი, 11 მარტი 2011

სკოლების ნაწილში იძულებით მეცადინეობას, როგორც დასჯის ფორმას, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ სწავლა სასიამოვნო პროცესი უნდა იყოს და არა – დასჯის მექანიზმი.

ქულა, კარგი ქმედებისთვის კი – ემატება. „ასე ბავშვებს ჯგუფურ პასუხისმგებლობას ვაჩვევთ“, – დასძენს ის.

არის ისეთი სკოლებიც, სადაც სწორედ ჯგუფური პასუხისმგებლობის გაღვივების მიზნით, მოსწავლეებს სთხოვენ, თუკი თანაკლასელს აკრძალულ ნივთს – მობილურ ტელეფონს ან სათამაშოს დაუნახავენ – ამის შესახებ დაცვას შეატყობინონ.

თუმცა, სხვა კერძო სკოლებში მსგავს ფაქტებს „ჩაშვებას“ უწოდებენ. „გვქონდა ასეთი ფაქტი, როცა ერთმა ბავშვმა სკოლის შინაგანაწესი დაარღვია, მეორემ კი ჩაუშვა. ჩვენ მას ავუხსენით, რომ ის მეგობარს ასე არ უნდა მოქცეოდა“, – ამბობს ამ სკოლის მასწავლებელი.

ცხადია, კერძო სკოლებს, რომლის კონტინგენტიც საჯარო სასწავლებლებზე გაცილებით მცირეა, დისციპლინისა და ბავშვთა შორის ძალადობის პრობლემა მწვავედ არ უდგათ.

სკოლების ნაწილში იძულებით მეცადინეობით დასჯის ფორმას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ სწავლა სასიამოვნო პროცესი უნდა იყოს და არა - დასჯის მექანიზმი.

თუმცა, არის სკოლები, სადაც მეცადინეობით ბავშვის დასჯა მიღებული პრაქტიკაა. „წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლაში“ თუ მოსწავლემ შინაგანაწესი დაარღვია, გაკვეთილების შემდეგ ორი საათით ტოვებენ და ამეცადინებენ. როგორც სკოლის მასწავლებლები ამბობენ, ეს ხერხი ჭრის.

რამდენიმე სკოლაში სტუმრობისას საკლასო ოთახებიდან მასწავლებლის ყვირილის ხმა გამოდიოდა. ბავშვებს, რომლებიც სასადილო ოთახში შედიოდნენ, მასწავლებლები უხეშად სთხოვდნენ წესრიგის დაცვას. მსგავსი სიტუაციები კი ბევრი საჯარო სკოლის რეალობას ჰგავს, სადაც მასწავლებელთა უხეშობა ყოველდღიურობის ნაწილია.

„ჩვენთან ბავშვზე ხელის დაკარება და კივილი არ შეიძლება. მაგრამ არის მომენტები, როდესაც მასწავლებლები მწყობრიდან გამოდიან. თუ ვხედავ, რომ ასეთი მდგომარეობაა, საყვედურს თავს ვარიდებ. ზოგჯერ ბავშვი მართლა გამოგიყვანს მწყობრიდან და ამ

დროს მაქსიმუმი, რაც შეიძლება, გააკეთოს მასწავლებელმა, არის დაყვირება, ოღონდ უკიდურეს შემთხვევაში“, – ამბობს ერთ-ერთი კერძო სკოლის სასწავლო დარგის ხელმძღვანელი.

ბევრი კერძო სკოლა აღიარებს, რომ საქართველოში სასწავლო პროცესის კვალიფიციური მასწავლებლის დიდი პრობლემაა. სრულიად ახალ სასწავლო პროგრამებსა და ღირებულებებს ქართულ საჯარო სკოლებში დაგროვებული გამოცდილების მქონე პედაგოგები ხშირად ვერ ითვისებენ. ამიტომ ბევრ კერძო სკოლაში, სადაც საკითხს სერიოზულად უდგებიან, საკუთარი კადრების გადამზადებაზე თვითონ ზრუნავენ.

„ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში“ ფიქრობენ, რომ არ არსებობს მასწავლებელი, რომელიც კვალიფიციურია კონკრეტული მომენტისთვის და მისი ეს ცოდნა საკმარისი იქნება ერთი წლის შემდეგაც. ამიტომაც ამ სკოლის მასწავლებლები მუდმივად ტრენინგებს გადიან.

მასწავლებლების განვითარებაზე ფიქრობენ „ახალ სკოლაშიც“. იმისათვის, რომ პედაგოგები “საერთაშორისო ბაკალავრიატის“ პროგრამის მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, სხვადასხვა სახის ტრეინინგებს ევროპისა და ამერიკის ქალაქებში გადიან. კავკასიის ფრანგულ სკოლას, ძირითადად, უცხოელი პედაგოგები ჰყავს, ცურვის მასწავლებლის ჩათვლით. „თბილისის საერთაშორისო სკოლაში“ მასწავლებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ, თუ განათლება ამერიკულ, ან ბრიტანულ უნივერსიტეტებში აქვს მიღებული და ამერიკული სტანდარტების მიხედვით დადგენილ მასწავლებლის სერტიფიკატს ფლობს.

საკუთარი სკოლის ბაზაზე მასწავლებლების კვალიფიცირებას „წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლაშიც“ ცდილობენ. თუმცა, განსაკუთრებული მოთხოვნები მასწავლებლის აყვანისას მათ სკოლაში არ აქვთ. ტრეინინგებს მასწავლებლებს სკოლასთან არსებულ საგანმანათლებლო ცენტრში უტარებენ. აქ დასაქმებულთა ნაწილი მანამდე ქართულ საჯარო სკოლაში ასწავლიდა. მასწავლებელთა ასეთივე კონტინგენტს სთავაზობს მშობლებს სკოლა “მწიგნობართუხუცესი“ და “XXI საუკუნე”.

„წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლაში“ ამაყობენ, რომ ბავშვების ფიზიკურ განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

ფოტო: ბარბარა ქურციკიძისა

არიან მშობლები, რომლებიც კერძო სკოლაზე უარს სწორედ მისი ელიტურობისა და ადამიანების მიმართ სელექციური დამოკიდებულების გამო ამბობენ და ურჩევნიათ, ბავშვი საჯარო სკოლაში შეიყვანონ.

„XXI საუკუნის“ მასწავლებელთა დიდი ნაწილი 53-ე სკოლის ყოფილი მასწავლებელია. ისინი „საკუთარი ოცნების სკოლაში“ ლამარა მარგველაშვილმა, წლების განმავლობაში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა და ცნობილმა დირექტორმა, გადმოიყვანა, რომელიც მანამდე 53-ე სკოლას ხელმძღვანელობდა.

ამ სკოლის მასწავლებლები კვალიფიკაციას განათლების სამინისტროს პროგრამებში მონაწილეობით იმაღლებენ. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ წინა წლებთან შედარებით მათი სწავლებისადმი დამოკიდებულება არ შეცვლილა, შეცვალა მხოლოდ ტექნიკური დეტალები.

„მაშინაც გვევალებოდა ხარისხიანი სწავლება და ახლაც იგივეა. მაშინაც გვთხოვდნენ, ბავშვი გვყვარებოდა და კარგად გვესწავლებინა და ეს მოთხოვნა არც დღეს შეცვლილა. თუმცა, გაიზარდა ზოგადი მოთხოვნები, შეიცვალა სასწავლო პროგრამები, ისინი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა. მაშინ არ იყო ის მოთხოვნა, რომ ბავშვს აუცილებლად ინტერნეტიდან მოეძიებინა მასალა. მასწავლებელიც არ იყო ვალდებული, რომ მაინცდამაინც ინტერნეტი გამოეყენებინა მასალის შესატანად. შეიცვალა სახელწოდებებიც, მაგალითად, მე ახლა ადმინისტრაციული სასწავლო მენეჯერი ვარ, ადრე ამას სასწავლო ნაწილი ერქვა“, – ამბობს „XXI საუკუნის“ ადმინისტრაციული სასწავლო მენეჯერი ნანა ამზაშვილი.

სკოლების ნაწილისთვის თავმოწონების მთავარი საბაბი სწორედ განათლების ძველ სისტემაში დაგროვებული გამოცდილებაა. ამ გამოცდილების ნაწილი კი შეიძლება, იყოს ბავშვების წინასწარ შერჩევა მათი მშობლების სოციალური სტატუსის მიხედვით, „კარგ კლასში“ მოსახვედრად ჩაწყობა, მასწავლებლის დასაჩუქრება და ასე შემდეგ.

ონლაინ ფორუმის მომხმარებელი, ერთ-ერთ კერძო სკოლას ასე ახასიათებს: „ეს სკოლა არის „ვინ-ვისი-შვილიას,“ „ვინ-რა-მანქანით-მოჰყავთ“, „ვინ-ყველაზე-ძვირად-იცვამს,“ „ვინ-სად-დაისვენას“ დაუმთავრებელი რეპლიკებისა და ორიენტირების სკოლა, არცთუ ისე ხარისხიანი მასწავლებლებით და, რაც მთავარია, დევიზით: ეს მდიდრების სკოლაა და თუ შენ ფული არ გაქვს, შეგიძლია, მიბრძანდე”.

ზოგადად, კერძო სკოლაში შვილის მიბარება უკვე ნიშნავს გამორჩეულ წრეში მოხვედრას. ეს უცხო არც ერთი ქვეყნის კერძო სკოლისთვის არაა, თუმცა, ზოგჯერ თბილისში მოსწავლეთა სელექცია თითქმის კომიკურ სახეს იღებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა განათლებაზე მეტად მოსწავლეებისთვის ის უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ ვის მშობელს ჰყავს უკეთესი მანქანა და ვის აქვს უკეთესი მობილური ტელეფონი.

„XXI საუკუნეში“ ამბობენ, რომ მოსწავლეებს შორის მსგავსი ნიშნით დაყოფა რომ აეცილებინათ თავიდან, ბავშვებს ტელეფონებს შინ ატოვებინებენ, ამასვე

ხელს უწყობს სასკოლო ფორმაც. „თუმცა, შეიძლება ვინმეს განსხვავებული ნივთი ჰქონდეს, ყველაფერს ხომ ვერ აუკრძალავ ბავშვს“, – დასძენს ნანა ამზაშვილი.

არიან მშობლები, რომლებიც კერძო სკოლაზე უარს სწორედ მისი ელიტურობისა და ადამიანების მიმართ სელექციური დამოკიდებულების გამო ამბობენ და ურჩევნიათ, ბავშვი საჯარო სკოლაში შეიყვანონ, ოღონდ კი მათ ჩვეულებრივ და თანასწორ გარემოში ისწავლონ.

მარკ მალენი ამბობს: „თბილისამდე ჩემი ოჯახი 4 წლის განმავლობაში ლონდონში ცხოვრობდა. იქ ბავშვები საჯარო სკოლაში დამყავდა, სადაც მათი კლასელები იყვნენ, როგორც მდიდარი ბრიტანელების, ბანკირების შვილები, ისე – ბენგალელი ემიგრანტების თუ კოსოვოელი და სომალელი ლტოლვილების. ასე მინდოდა მოვქცეულიყავი თბილისშიც, მაგრამ აქაური საჯარო სკოლების პროგრამა ის არ აღმოჩნდა, როგორიც ჩემი შვილებისთვის წარმომედგინა. ამიტომ, ბავშვები კერძო სკოლაში შევიყვანე”.

ბევრ კერძო სკოლაში ამბობენ, რომ მათთან ბავშვის მიყვანა ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელს შეუძლია. ამერიკულ აკადემიაში კი, თუ ბავშვი მისაღებ გამოცდებს კარგად ჩააბარებს, მაგრამ მშობლები მას სრულად ვერ დააფინანსებენ, შეიძლება, სკოლამ სტიპენდიაც მისცეს. თუმცა, მსგავს შეღავათს დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს სხვა კერძო სკოლები არ სთავაზობენ.

მშობლებისთვის კერძო სკოლის არჩევის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ისიცაა, რომ ზოგიერთი სკოლა მხოლოდ საერთაშორისო სერტიფიკატს გასცემს, რომელსაც ქართული უმაღლესი განათლების სისტემაში ვერ გამოიყენებ. ამიტომ მშობელი, რომელიც შვილს „ახალ სკოლაში“, ანდა „თბილისის საერთაშორისო სკოლაში“ მიაბარებს, წინასწარ უნდა გათვალოს ისიც, რომ 12 წლის შემდეგ შვილის სასწავლებლად გაშვება საზღვარგარეთ მოუწევს.

ქართული კერძო სკოლების ბაზარზე არჩევანი ყველასთვისაა, თუ მშობლისთვის გადამწყვეტი ფაქტორი ფინანსები არ არის. პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს უნივერსალური საზომი, რითაც ქართული კერძო სკოლების შეფასება მოხერხდება და მშობლებს საშუალებას მისცემს, არჩევნის გაკეთებისას მხოლოდ სკოლების მიერ შედგენილ სარეკლამო ბროშურებს და ღია კარის დღეებს არ ენდონ. ამ მხრივ, ბევრი მშობლისთვის სანდო არც განათლების სამინისტროს საუკეთესო სკოლების რეიტინგია – კრიტერიუმები, რითაც მშობლები და სამინისტრო ხელმძღვანელობენ, ხშირად განსხვავებულია. ამიტომ გამოდის, რომ ფულის გადახდით მაღალი ხარისხის განათლების გარანტიას მშობელი ვერ „ყიდულობს“.

Bosch-ის მწვანე ტექნოლოგიები

„პლანეტას მეტის ატანა აღარ შეუძლია. უზრუნველი ცხოვრება ჩვენს ხელშია. შემოგვიერთდები უკეთესი მომავლის შესაქმნელად?“ – ამ სლოგანით შეეგება 2011 წლის გაზაფხულს საოჯახო ტექნიკის მესამე მწარმოებელი მსოფლიოში, კომპანია Bosch. Bosch-მა ე.წ. Eco-friendly, ანუ „მწვანე ტექნოლოგიის“ ფარგლებში დამზადებული ახალი პროდუქცია წარადგინა. Bosch-ის მაცივრები, სარეცხი მანქანები, სამზარეულოს კომბაინები არნახულად ზოგავენ ელექტროენერგიას, წყალს და სხვა ბუნებრივ რესურსებს. ინოვაციური ტექნოლოგიები ამცირებენ წყლის მოხმარებას 58%–ით, ხოლო ელექტროენერგიის —73%–ით.

პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა 8 მარტს. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ღონისძიება ქალთა საერთაშორისო დღეს დაემთხვა. კომპანიამ წლის 80 ყველაზე წარმატებული ქალი დაპატიჟა და მათ სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა. სტუმრებს შორის იყვნენ როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და სხვა გამორჩეული ქალბატონები, რომლებიც გაეცნენ „მწვანე ტექნოლოგიების“ და, მაშასადამე, სტაბილურ მომავალში ინვესტირების შესაძლებლობებს.

Bosch-მა წარმოაჩინა 21–ე საუკუნის პრობლემატიკა, რომელიც მოიცავს გენდერულ უთანასწორობას, ქალთა შრომას და ეკოლოგიურ უკუსვლას (წყლის და ჰაერის დაბინძურება, ოზონის ხვრელის გაფართოება და სხვა). სოციალური პასუხისმგებლობის ეს ინოვაციური პროექტი გულისხმობს საოჯახო ტექნიკის წარმოებას, ტექნიკურ უზრუნველყოფას და გამოყენებას ეკოლოგიურად ჯანსაღი პროცესის ფარგლებში.

„გარდა იმისა, რომ ჩვენმა კომპანიამ გადაწყვიტა 80 წარმატებული ქალბატონისთვის მიელოცა გაზაფხულის დაწყება და ქალთა საერთაშორისო დღე, ჩვენი მიზანია რომ შევახსენოთ საზოგადოებას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ხვალინდელი დღისთვის ის მცირედი ინვესტიცია, რომელიც დაგვეხმარება ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში“, – განაცხადა Bosch-ის მარკეტინგის სამსახურის უფროსმა ოქსანა კარადაშმა.

რეკლამა



დაბეჭდილია ტექნიკურ ბიუროში

სკოლამდელი განათლება

5 წლისა სკოლაში

რა ართულებს მშობლების არჩევანს ბაღის დამამთავრებელ ჯგუფსა და სკოლის პირველ კლასს შორის.

ნათია გულიაშვილი

ნარინჯისფრად მოხატული კედლები, სკამების ნაცვლად ძირს მიმოფანტული ჭრელი ბალიშები, იატაკზე გართხმული, ხატვაში გართული ბავშვები და მასწავლებელი, რომელიც ახალ გაკვეთილს სიმღერით ხსნის – ასეთი არაფორმალური გარემო შეიძლება ბევრი ამერიკული სკოლის პირველ კლასში დაგხვდეთ. იქ დაწყებითი სკოლის პირველი კლასი საბავშვო ბაღს ასე ძალიან იმიტომ ჰგავს, რომ პატარებს სწავლის პროცესი გაუადვილოს. ამიტომ ასეთ კლასებში 5 წლის მოზარდებიც კი, რომლებიც წესით, საბავშვო ბაღში უნდა დადიოდნენ, გაცილებით უმტკივნეულოდ გადადიან დაწყებითი განათლების ფორმალურ და სტრუქტურიზებულ ეტაპზე.

2 წლის წინ, ამერიკის პედიატრიის აკადემიის ჟურნალის კვლევამ გამოავლინა, რომ სწავლების პროცესში კრეატიული ხელოვნების და ფიზიკური აღზრდის ჩართვა პოზიტიურ გავლენას ახდენს კითხვისა და მათემატიკის ათვისებაში. ნიუ-იორკის, აინშტაინის სახელობის კოლეჯის კვლევის თანახმად, კი, დაწყებით კლასებში, ბავშვებს, რომლებიც სასწავლო დღის მანძილზე 15 წუთიანი შესვენებებით სარგებლობდნენ, სოციალური განვითარებისა და ჯანმრთელობის უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ.

2011 წლიდან 5 წლის ბავშვების შეყვანა ქართულ საჯარო სკოლებშიც დასაშვები გახდება, მაგრამ არა სავალდებულო. ეს ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ მშობელი გადაწყვეტს, შვილი საჯარო სკოლაში 5 წლისა მიიყვანოს, თუ კიდევ ერთ წელს დაიცადოს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში „ლიბერალის“ კითხვაზე – როგორ მოარგებენ სექტემბრიდან სასწავლო გარემოს 5 წლის მოზარდის შესაძლებლობებსა და ინტერესებს, ასე პასუხობენ: „პირველ კლასში გაკვეთილები სასურველია, მიმდინარეობდეს განმავითარებელი, როლური, დიდაქტიკური თამაშების ფორმით. გაკვეთილის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ, დრო უნდა დაეთმოს ფიზკულტურის წუთებს (3-5 წუთი) და შემდეგ გაგრძელდეს გაკვეთილი. გაკვეთილის მიმდინარეობა სასურველია, იყოს დინამიკური) აქტიური და პასიური ფორმების მონაცვლეობით“.

”სასურველი“ - კი, მაგრამ რეალურად სექტემბერში, პირველ კლასში მისულ 5 წლის მოზარდებს არც მათი ასაკისთვის შესაფერისი უშუალო გარემო დახვდებათ, – ფუმფულა ბალიშებითა და მხიარული სიმღერებით, და არც სპეციალურად მათთვის გამარტივებული წიგნები. მეტიც, სწორედ 5 წლის პატარების სკოლაში მიღების პარალელურად დაიწყება იმ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოზე მუშაობა, რომელსაც მასწავლებლები წინასწარ უნდა მოემზადებინა ამ ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეებთან ურთიერთობისთვის 6 და 7 წლის ბავშვებთან ერთად.

ამ ინიციატივის კრიტიკოსების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტიც ესაა – რადგან ზუსტად აღარაა განსაზღვრული სკოლებში მისაღები ბავშვების ასაკი, შეიძლება, აღმოჩნდეს, რომ 30-35 ბავშვიან კლასში ერთად დაიწყებენ სწავლას 5,6 და 7 წლის პატარები, ეს კი – მათი განსხვავებული შესაძლებლობებისა და განვითარების გამო – კლასებში არასამართლიან საკონკურსო პირობებს შექმნის.

სპეციალისტების თქმით, 5 წლის ბავშვი ჯერ კიდევ თამაშზე უფროა აწყობილი, ვიდრე სწავლაზე. მისი ნებისყოფა არ არის იმდენად მომწიფებული, რომ დისციპლინას შეეგუოს. ამ უნარის გამომუშავებას პატარები 6-7 წლის ასა-

კიდან იწყებენ, ამიტომაა აუცილებელი დაწყებითი კლასების გარემოც, სახელმძღვანელოებიც და პედაგოგებიც ამ ასაკობრივ ნიუანსებზე იყვნენ აწყობილნი.

რა განაპირობებს ამგვარ მკვეთრ განსხვავებას 5 და 6 წლის მოსწავლეთა შესაძლებლობებს შორის?

სპეციალისტები ამბობენ, რომ თანამედროვე ბავშვის უნარები აქსელირებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ მას 5 წლის ასაკშიც შეუძლია სკოლის პირველი კლასის გაკვეთილების დაძლევა. თუმცა, სკოლისთვის მზაობას ინტელექტუალური მომწიფების გარდა, ფიზიკური და ემოციური მომწიფებაც განსაზღვრავს – ეს კი 5 წლის პატარას ნამდვილად აკლია. ამიტომ ბევრი ემოციურად ვერ უძლებს მასზე დაკისრებულ ახალ პასუხისმგებლობებსა და სტრუქტურიზებულ სასკოლო რეჟიმს.

„5 წლის ბავშვების უმეტესობას არ შეუძლია, მოერგოს იმ მოთხოვნებს, რასაც სკოლა უყენებს და ამის გამო დგება მისი თვითშეფასების პრობლემა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხედავს, რომ მასზე ოდნავ უფროსი თანატოლი კარგად უმკლავდება მასალას, უკეთ წერს და უფრო გამართულად კითხულობს და მოთმინებით ზის გაკვეთილზე“, — ამბობს გამოცდების ეროვნული ცენტრის წევრი თეონა ლოდია.

ფსიქოლოგების აზრით, მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი რთული ტერმინოლოგიის გამო, ზოგჯერ 6 წლის ბავშვისთვისაც კი გაუგებარია. გარდა ამისა, არსებობს დამკვიდრებული მოსაზრება, რომ სკოლაში შესვლამდე ბავშვებმა უკვე უნდა იცოდნენ წერა-კითხვა.

„სკოლები ბავშვებისგან წინასწარ ცოდნას ირიბად მაინც ითხოვენ, დაწყებითი კლასის პროგრამები ისეა აწყობილი, რომ ბავშვს, რომელმაც წესით, პირველ კლასში უნდა დაიწყოს ასოების სწავლა, დამარცვლით კითხვა და წერა, თუ ეს უკვე არ იცის, სასწავლად დრო აღარ რჩება. ეს აქამდე ეხებოდათ 6 წლის ბავშვებს, ახლა კი ეს ორმაგად რთული იქნება 5 წლის პატარებისთვის“, — ამბობს ნეიროფსიქოლოგი თამრიკო გაგოშიძე.

მშობლები ხშირად ვერ ამჩნევენ ან არ იციან, რომ ბავშვები ადრეულ ეტაპზე მხოლოდ კარგი სმენითი და მხედველობითი მეხსიერების „ხარჯზე“ახერხებენ თავიანთი ცოდნით უფროსების გაოცებას. სინამდვილეში კი ასოებს სწავლობენ და სიტყვებს აგებენ ისე, რომ მათი მნიშვნელობა არ ესმით.

პრობლემა ხშირად მე-2-3 კლასიდან იჩენს თავს, როცა ბავშვს სიტყვებთან

თანამედროვე ბავშვის უნარები აქსელირებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ მას 5 წლის ასაკშიც შეუძლია სკოლის პირველი კლასის გაკვეთილების დაძლევა. თუმცა, სკოლისთვის მზაობას ინტელექტუალური მომწიფების გარდა, ფიზიკური და ემოციური მომწიფებაც განსაზღვრავს – ეს კი 5 წლის პატარას ნამდვილად აკლია.

ერთად წინადადებების აგებაც უწევს და აღმოჩნდება, რომ მას ნასწავლი სიტყვის შინაარსი არ ესმის. თამრიკო გაგოშიძის თქმით, ასეთ დროს ბავშვს სპეციალური ტიპის თამაშები სჭირდება. „მაგალითად, თუ ის ჭირვეულობს მარცლების ან სიტყვების შედგენისას და ხატვა ურჩევნია, შეიძლება დავახატინოთ თავი და მერე თამაშით ვკითხოთ, რა ასოზე იწყება სიტყვა, რომელიც დახატა”.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებს განათლების შემდეგი საფეხურისთვის საბავშვო ბაღის დამამთავრებელ ეტაპზე, ანდა სპეციალურ მოსამზადებელ, ე.წ. „ნულ“ კლასში ამზადებენ. თუმცა, მსგავსი კლასები საჯარო სკოლების უმეტესობას არ აქვს, საბავშვო ბაღებში კი ჯერ მხოლოდ ახლა ინერგება ერთიანი სასწავლო სტანდარტი - დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი, რა უნარ-ჩვევების განვითარებაა საჭირო სკოლამდელი ასაკის ბავშვებში. ეს მდგომარეობა კი მშობლებისთვის კიდევ უფრო ართულებს არჩევანს – 5 წლის პატარა ბაღში დატოვოს, თუ საჯარო სკოლაში შეიყვანოს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, სიმონ ჯანაშიას თქმით, 5-წლიანების აღზრდის და განვითარების სტანდარტები, ეროვნულ სასწავლო გეგმებში სათანადოდ ინკორპორირებული არაა.

„სტანდარტების გამოყენება გულისხმობს სკოლებში პრაქტიკის შეცვლას, რაც საჭიროებს სკოლის პერსონალის ტრენინგებს, ინფრასტრუქტურის ცვლილებას. ჯერჯერობით, სასწავლო გეგმის პროექტში, რომელიც დაწყებით საგნების სასწავლო გეგმას მოიცავს საკმარისი ცვლილება ვერ შევამჩნიე“.

პრობლემა ისიცაა, რომ განვითარების და სწავლის სტანდარტებში მითითებული სფეროები ეროვნულ სასწავლო გეგმაში სრულფასოვნად არაა წარმოდგენილი.

„მაგალითად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ჯანმრთელობა არ არის ცალკე მიმართულება. არსებობს მხოლოდ ფიზიკური აღზრდის პროგრამის ნაწილი, რომელიც ჯანმრთელობას ეხება“, – ამბობს ჯანაშია.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2016 წლამდეა გათვლილი, რაც ნიშნავს იმას, რომ წესით, დაწყებითი განათლების საფეხურის მორგება 5 წლის პატარებზე ამ დროისთვის უკვე დასრულებული უნდა იყოს. თუმცა, პასუხი კითხვაზე – რამდენად მზად იქნებიან ქართული საჯარო სკოლები ახალი ასაკობრივი კონტინგენტის ბავშვების მისაღებად უკვე წლევანდელი შემოდგომიდან – რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

საკაბელოების ჩახლართული ქსელი

GMG-ის გამოჩენამ საკაბელო არხების გაძვირება და უცხოური სპორტული არხების გათიშვა გამოიწვია.

ნანა საჯაია

GMG–ის ერთადერთი ალტერნატივა სატელიტური თეფშებია

ფოტო: ლევან ხარხელიანი

თამილა მახარაძე, გლდანის მესამე მიკრორაიონში ცხოვრობს. რამდენიმე დღის წინ მის ბინაში მოსული ინკასატორისგან გაიგო, რომ საკაბელო ტელევიზიის სააბონენტო გადასახადი პირველი მარტიდან 2 ლარით გაიზარდა და 13-ის ნაცვლად 15 ლარი გახდა. მიზეზი ახალი სპორტული არხის „GMG"-ის ჩართვაა, – განუმარტეს მას. „აიეტის" აბონენტმა ქალბატონმა ფასთან ერთად სხვა ცვლილებებიც შენიშნა, მისი ეკრანიდან გაქრა საყვარელი არხი „კინო-ჰიტი" და მისი შვილის ამოჩემებული სპორტული არხი „ევროსპორტი".

„აიეტი" ერთ-ერთია იმ ხუთ კომპანიას შორის, რომლებსაც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის დარღვევაში სდებს ბრალს. 18 თებერვალს ამ კომპანიებს გარკვეული სანქციები დაუწესდათ და ამ ეტაპზე წერილობითი გაფრთხილება მიიღეს.

GMG-ის მიერ საკაბელოებისგან მოთხოვნილი თანხა, დაახლოებით, ხუთჯერ აღემატება იმ ღირებულებას, რომელსაც საკაბელოები წლიურად „ევროსპორტს" უხდიან.

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

საცხოვრებელი კორპუსი აეროპორტის დასახლებაში

„შპს „აიეტი“ საკუთარი საკაბელო ქსელით შემდეგ სამაუწყებლო არხებს ავრცელებდა: RTVI, VH1, Eurosport, National Geographic, Discovery, Eurosport, Премьера, Кинохит, CNN, Cartoon Network, Travel TV5, Euronews, Eurosport2, History, BBC, Animal Planet, TV1000, Россия- Культура. კომპანიას კომისიაში არა აქვს წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სამაუწყებლო არხების, საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი ხელშეკრულებები,“ - ნათქვამია მარეგულირებელი კომისიის საიტზე დადებულ განცხადებაში.

მარეგულირებელი კომისიის მოთხოვნის თანახმად, „აიეტმა“ აღნიშნული არხები ან უნდა გათიშოს, ან მათი ტრანსლაციის უფლება მოიპოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია 10-ათასლარიანი ჯარიმით იმუქრება.

გაფრთხილების მიუხედავად, „აიეტის“ არხების ჩამონათვალში RTVI, Euronews, CNN, BBC, Animal Planet, TV1000, National Geographic, TV5, Cartoon Network, History ისევ შედის. დანარჩენი არხები კი გათიშულია.

„ჩვენმა კომპანიამ მარეგულირებელს მიმართა ოფიციალური წერილით, სადაც ჩამოთვლილი იყო იმ სპორტული ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელთა ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება გვაქვს. ამავე წერილით ჩვენ, კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი საავტორო უფლებების დაცვა მოვითხოვეთ“, – ამბობს GMG-ის დამფუძნებელი და დირექტორი მამუკა გამყრელიძე.

GMG ანუ „გლობალ მედია გრუპი“ ქართულ ბაზარზე ახალი პროდუქტია. იგი პირველად 14 იანვარს გამოჩნდა. GMG მაყურებელს ევროპის ექვსი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციას სთავაზობს,მათ შორის - ინგლისის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატებს.

GMG-ის დამფუძნებელი და დირექტორი მამუკა გამყრელიძე ამბობს, რომ კომპანიამ ყველა მატჩის ექსკლუზიური უფლება შესაბამისი საერთაშორისო კომპანიებისგან შეიძინა. გამყრელიძე არ აკონკრეტებს, რა ინვესტიცია ჩაიდო კომპანიის დაარსებასა და ექსკლუზივების მოპოვებაში: „ეს კომერციული საიდუმლოებაა“, – ამბობს გამყრელიძე.

GMG-ის ლოგოზე ექვსგანყოფილებიანი ფერადი ქოლგაა გამოსახული, თითოეული ფერი ცალკე არხს შეესაბამება: მწვანე ფეხბურთის არხია, წითელი – სპორტული, ნარინჯისფერი – საბავშვო, ცისფერი – ტელესერიალების, იისფერი – კინოგურმანების, ოქროსფერი კი – ჰოლივუდური კინოპროდუქციის. GMG ქართულ ბაზარზე უკვე ოთხი არხით (ფეხბურთი, სპორტი, კინოგურმანი, ჰოლივუდი) შემოვიდა, თუმცა აპრილიდან დანარჩენი სეგმენტების ათვისებასაც გეგმავს.

მაუწყებლობისთვის საჭირო ლიცენზიის მოპოვება GMG ჯგუფმა უპრობლემოდ მოახერხა. GMG–მ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას 2010 წლის 3 დეკემბერს მიმართა თხოვნით შპს „მადის“ კუთვნილი ლიცენზია შპს „გლობალ მედია ჯგუფისთვის“ გადაეცათ, რაზეც კომისიამ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

მარეგულირებელი კომისიისვე გადაწყვეტილებით, „მადის“ კუთვნილი ლიცენზია – საკაბელო საერთო ტელერადიო მაუწყებლობიდან სპეციალიზებულ ტელემაუწყებლობად გადაკეთდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიას მხოლოდ გასართობ-შემეცნებითი მაუწყებლობის უფლება აქვს და, მაგალითად, პოლიტიკური შინაარსის პროდუქციას ვერ გაავრცელებს.

GMG — „გლობალ მედია გრუპი“ 2010 წლის ივლისში შეიქმნა. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანიის დამფუძნებელია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „ვის უნდა ოცი ათასი?“-ის წამყვანი მამუკა გამყრელიძე, რომელიც დაარსების მომენტში კომპანიის ასპროცენტიანი წილის მფლობელი იყო.

იმავე წლის 18 აგვისტოდან, კომპანიის მფლობელები იცვლებიან. გამყრელიძე 85%-ის მფლობელია, 15%-ს კი შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფი“ განაგებს.

შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფი“ 2009 წლის ზაფხულშია შექმნილი და მისი 100%-იანი წილის მფლობელი გიორგი კოღუაშვილია, დირექტორი კი „საზოგადოებრივი არხის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ლევან ყუბანეიშვილი. 2010 წლის მაისში ეს კომპანია 2008 წელს დაარსებულ შპს „ჯი ელ ტვ“-ის შეერწყა, რომლის მფლობელებიც გიორგი გეგეშიძე („რუსთავი2”-ის ამჟამინდელი დირექტორი – 70%) და ზაზა შენგელია (საზოგადოებრივი მაუწყებლის

ყოფილი დირექტორი - 30%) იყვნენ.

GMG-ი თავისი ექსკლუზიური ლიცენზიით, ფაქტობრივად, შუალედური რგოლის ფუნქციას შეასრულებს უცხოურ ტელეკომპანიებსა და ქართულ საკაბელო არხებს შორის. ბევრი უცხოური არხის ტრანსლირებას საკაბელო არხები მხოლოდ GMG-ისთან მოლაპარაკებისა და მასთან კონტრაქტის გაფორმების შედეგად შეძლებენ. ეს კი, საკაბელო არხების ბაზარზე ფასების ზრდას გამოიწვევს.

საქართველოში ყველაზე მსხვილმა საკაბელო კომპანია „აიეტმა", რომელსაც 1 თებერვლიდან სახელწოდება შეეცვალა და უკვე „სუპერ ტვ" ეწოდება, საერთო ენა უკვე გამონახა GMG -ისთან. 1 მარტიდან ამ საკაბელო არხის აბონენტებსაც 2 ლარით გაეზარდათ გადასახადი.

„აიეტი" თავისი სამაუწყებლო პაკეტიდან ზოგიერთი არხის გაქრობას „მცირე ცვლილებას" უწოდებს. კომპანიაში განმარტავენ, რომ მაგალითად, არხი „ევროსპორტი", უბრალოდ, სხვა არხით – „GMG ფეხბურთით" შეიცვალა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკაბელო არხი მანამდეც ხშირად თვითნებურად თიშავდა და ანაცვლებდა არხებს, აბონენტებთან შეთანხმებისა და მათი წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

1987 წელს დაარსებული პირველი ქართული საკაბელო ტელევიზიის „მეშვიდე არხის" დირექტორი დავით წერეთელი ამბობს, რომ GMG-ის გამოჩენამ, შესაძლოა, მისი აბონენტების რაოდენობა გაანახევროს.

„მეშვიდე არხი", რომელიც ვერას, ვაკეს და საბურთალოს მოიცავს, დაახლოებით შვიდი ათასამდე აბონენტს ემსახურება. პაკეტების მიხედვით, საბონენტო გადასახადი თვეში 8-დან 20 ლარამდე მერყეობს და შესაბამისად 36 და 79 არხს სთავაზობს.

წერეთლის თქმით, მის ტელევიზიას GMG-ისთან მოლაპარაკებები ჰქონდა, თუმცა GMG-ის პირობები „მეშვიდე არხისთვის" მიუღებელი აღმოჩნდა და თანამშრომლობაც არ შედგა:

„GMG-მ წელიწადში 18 ათასიდან 30 ათასამდე ლარის გადახდა მოითხოვა ზრდის ტემპით. ჩვენ შევთავაზეთ პაკეტირება, ანუ მომხმარებელს თვითონ აერჩია, ჩართოს თუ არა GMG, რაზეც ისინი არ თანხმდებიან. თუ GMG-ის ჩავრთავ, გამოდის, სააბონენტო გადასახადი ორჯერ უნდა გავზარდო. ამჯერად გადასახადი თუ 8 ლარიდან იწყება და 20 ლარამდე ადის, ჩართვის შემთხვევაში მინიმალური პაკეტი იქნება არა 8, არამედ 15-16 ლარი", – ამბობს წერეთელი.

წერეთელი დასძენს, რომ GMG-ის მიერ მოთხოვნილი თანხა, დაახლოებით, ხუთჯერ აღემატება იმ ღირებულებას, რომელსაც მისი საკაბელო წლიურად „ევროსპორტს" უხდის.

კიდევ ერთი საკაბელო, რომელმაც მარეგულირებელი კომისიისგან გაფრთხილება მიიღო, შპს „ორბიტა 2005" -ია. ეს მცირე საკაბელო არხია, რომელიც აეროპორტის დასახლებაში ვრცელდება, სულ ორ ადამიანს – ინჟინერსა და ინკასატორს ქირაობს და მხოლოდ 300-მდე აბონენტი ჰყავს. "ორბიტა 2005" შვიდ ლარად მაყურებელს 30-მდე არხს სთავაზობს, თუმცა რესურსების სიმცირის გამო კომპანიას არც ერთ უცხოურ არხთან პირდაპირი ხელშეკრულება არ გაუფორმებია. „ორბიტა 2005"-ის დირექტორმა, ნელი წიკლაურმა იცის, რომ შემოწმების შემთხვევაში მის კომპანიას შესაძლოა 10 000 ლარი ჯარიმის გადახდა დაეკისროს.

„საკაბელოებს კანონით მოეთხოვებათ ყველა უცხოურ არხთან პირდაპირი ხელშეკრულების დადება, არადა უცხოური არხები პატარა საკაბელოებს, რომლებსაც ათას აბონენტზე ნაკლები ჰყავთ, არც ელაპარაკებიან. ასეთ პირობებს მხოლოდ დიდი საკაბელოები გაუძლებენ. პატარები თავიდანვე განწირულნი არიან", – ამბობს წიკლაური, რომლემაც მარეგულირებელ კომისიას თხოვნით მიმართა, პატარა საკაბელოების მდგომარეობა გაეთვალისწინებინათ და მცირე და დიდ ბიზნესისთვის განსხვავებული მოთხოვნები დაეწესებინათ. „თავის დროზე ამ ბიზნესის დასაწყებად ბანკიდან 10-ათასდოლარიანი კრედიტი გამოვიტანე და სახლი ჩავდე. გაკოტრება მელის", – ამბობს წიკლაური. მის თხოვნაზე მარეგულირებელ კომისიას რეაგირება არ მოუხდენია.

მფლობელების შესახებ

GMG — „გლობალ მედია გრუპი" 2010 წლის ივლისში შეიქმნა. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანიის დამფუძნებელი „რუსთავი 2-ის" გადაცემა „რა, სად? როდის?-ის" წამყვანი მამუკა გამყრელიძეა, რომელიც დაარსებისას ასპროცენტიანი წილის მფლობელი იყო. იმავე წლის 18 აგვისტოდან კომპანიის მფლობელები იცვლებიან, გამყრელიძე 85%-ის მფლობელია, 15%-ს კი შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფი" განაგებს. შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფი" 2009 წლის ზაფხულშია შექმნილი და მისი 100%-იანი წილის მფლობელი გიორგი კოღუაშვილია, დირექტორი კი "საზოგადოებრივი არხის" ყოფილი გენერალური დირექტორი ლევან ყუბანეიშვილი. 2010 წლის მაისში კომპანია 2008 წელს დაარსებულ შპს „ჯი ელ ტვ"-ის შეერწყა, რომლის მფლობელებიც გიორგი გეგეშიძე (70%) და ზაზა შენგელია (30%) იყვნენ.

წიკლაური იმ აკრძალვებსაც იხსენებს, რომლებმაც მისი ბიზნესი აზარალა: „2008 წლის ომის შემდეგ რუსული არხების აკრძალვით 400-მდე აბონენტი ორ თვეში დავკარგეთ", – იხსენებს წიკლაური.

რუსული არხების აკრძალვის შემდეგ, თბილისში სატელიტური თეფშები მომრავლდა. საკაბელოების არხების წარმომადგენლებიც აღიარებენ, რომ ეს მათი მომსახურების ერთადერთი ალტერნატივაა. სატელიტური თეფშის დამონტაჟება აბონენტს დაახლოებით 120 ლარი უჯდება, რაც ერთჯერადი ხარჯია, თუმცა ხშირ შემთხვევაში საკაბელოების ალტერნატივად 1 თეფში არ კმარა, ამიტომაც ხშირად ერთ აივანზე ორ ან სამ თეფშსაც ნახავთ.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი მედიის განვითარებისათვის

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის 18-თვიანი პროექტი, რომლის მიზანიც დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობა იყო, კონკრეტული შედეგებით დასრულდა.

პროექტის გახსნითი კონფერენცია, 4 ნოემბერი, 2009 წელი.

ირინა ფხოველიშვილმა, რომელიც მდინარე ალაზნის ნაპირას, სოფელ ვაქირში ცხოვრობს, ათი წლის განმავლობაში ალაზნის ჭალებში დაახლოებით ათი ჰექტარი მიწა დაკარგა. მდინარე, რომელიც 200-ჰექტარიან ნათესებს ორი კილომეტრის მანძილზე ესაზღვრება, ყოველი ადიდების შემდეგ რეცხავს მიწას და თან უზარმაზარი ხეებიც მიაქვს.

ადიდებული მდინარე, რომლის დაშრობასაც ორი-სამი თვე სჭირდება და ჩარეცხილი მიწები – ამ პრობლემებს რაიონი წლებია, ებრძვის, თუმცა, თითქმის სრულიად მარტო. ფერმერების თქმით, მათ ბევრჯერ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ – უშედეგოდ, „ასე გვითხრეს, ალაზნის ნაპირების გამაგრება ჯერჯერობით პრიორიტეტი არ არისო".

„ყველაზე ცუდი ისაა, რომ მდინარე ყოველ წელს დიდდება, სპეციალური დამბები და ჯებირები კი არსადაა დამონტაჟებული", – ამბობს გაზეთ „კახეთის ხმის" დირექტორი მაია მამულაშვილი და დასძენს, რომ მისმა გაზეთმა ეკოსისტემის გადანდგურების პრობლემა რამდენიმე თვის წინ სიღრმისეულ ჟურნალისტურ გამოძიებად აქცია.

ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოძიება იყო, რომელიც ამ გაზეთმა ბოლო ორი წლის განმავლობაში დაბეჭდა და გარემოს დაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყურადღებაც პირველად მიიქცია.

ზუსტად ამავე პერიოდში 14 სხვადასხვა მედიასაშუალებაში სტაბილური პერიოდულობით გამოჩნდა ვრცელი და საინტერესო მასალები იმ ჟურნალისტურ ჟანრში, რომლის არსებობაც რამდენიმე წლით ადრე თითქმის დაივიწყა ქართულმა მედიამ.

„ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც ქართულ მედიაში დავინახეთ, იყო სწორედ საგამოძიებო სტატიებისა და რეპორტაჟების ნაკლებობა. შევარდნაძის რეჟიმის დროსაც კი, გაცილებით მეტი საგამოძიებო მასალა იქმნებოდა, ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ პრობლემის მოგვარებაში ჩვენი წვლილი შეგვეტანა", – აცხადებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პრეზიდენტი, ჯორჯ ზარუბინი.

ფონდის გადაწყვეტილებას, ქართულ ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში საგამოძიებო ჟურნალისტიკის დაბრუნებისთვის შეეწყო ხელი, ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირმა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ

აღმოუჩინეს.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მედიის მხარდამჭერი პროექტი საბოლოოდ 18 თვეზე გაიწერა და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ და „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ პარტნიორობით განხორციელდა.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი სხვადასხვა ტიპის ტრენინგები გახდა. ტრენინგები მედია სამართალში ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის იურისტებმა ჟურნალისტებსა და იურისტებს ჩაუტარეს. ქართული მედია სამართლის მიმოხილვა, ასევე ევროპული და ამერიკული გამოცდილების შესწავლა – ტრენინგების მთავარი ფოკუსი ეს იყო.

ცალკე ტრენინგები საგამოძიებო ჟურნალისტიკაში საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ჟურნალისტებისათვის ჩატარდა. ფაქტებზე დაფუძნებული მსჯელობა, ინფორმაციის გადამოწმება და გადამუშავება, ვარაუდებზე უარის თქმა კონკრეტული არგუმენტების სასარგებლოდ, ინფორმაციის მოპოვების სამართლებრივი და ტექნიკური დეტალები – სხვადასხვა რეგიონის ჟურნალისტებს ეს აუცილებელი ცოდნა გადასცეს.

ტრენინგების გავლისა და პროექტის დასრულების შემდეგ, ტელეკომპანია „გურჯაანის“ აღმასრულებელი დირექტორი, ლევან ალექსიშვილი ამბობს, რომ მისმა ტელევიზიამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მონიტორინგი დაიწყო და ამ თემაზე 4 სიუჟეტიც მოამზადა. მასალაზე მუშაობის დროს კი ჟურნალისტებმა ათას გვერდზე მეტი საჯარო ინფორმაცია გამოითხოვეს და დაამუშავეს. „ამიტომ რაზეც ჩვენს სიუჟეტებში ვლაპარაკობდით, ეყრდნობოდა მხოლოდ ფაქტებს. შესაბამისად, გამოხმაურებაც მწვავე გვქონდა, რადგან, როცა რეპორტაჟი მხოლოდ მხარეთა კომენტარებზეა აგებული, თავის მართლება იქ იოლია, მაგრამ როცა ეყრდნობი ფაქტებს – მაშინ მასალა მისაღებად მართლაც მწარეა“, – აცხადებს ალექსიშვილი.

„ჩვენ დავიწყეთ იმ თემების გამოძიება, რომლებიც შეიძლება, ლოკალურია, მაგრამ ადგილობრივი გლეხებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის – მნიშვნელოვანი. სტატიების მომზადებისას ჩვენი ჟურნალისტები ცდილობდნენ, ინფორმაცია კონკრეტული ფაქტებითა და არგუმენტებით გაემყარებინათ. ასე მოვიქეცით, მაგალითად, უხარისხო შხამ-ქიმიკატების შესახებ წერილის მომზადების დროსაც, რომლებიც კახეთის სოფლებში ვრცელდება“, – ამბობს მაია მამულაშვილი და დასძენს, რომ თუკი 18 თვის წინ „კახეთის ხმა“ ჟურნალისტურ გამოძიებებზე თითქმის არ მუშაობდა, ბოლო პერიოდში მათ ექვსი გამოძიება გამოაქვეყნეს.

გაზეთის ჟურნალისტებმა ფაქტებით დაადასტურეს, რომ არალიცენზირებული სასუქის გამოყენების შემდეგ ფერმერები დაბალ მოსავალს იღებენ და ნათესები უფუჭდებათ. სამინისტრო კი მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლება და ფერმერებს ეუბნება, რომ არ შეიძინონ ულიცენზიო სასუქები, თუმცა მათი იმპორტის პროცესს არ აკონტროლებს. პროდუქტების შემოწმება მხოლოდ იმ კომპანიებს ევალებათ, რომლებიც საქონელს ჰყიდიან, მაგრამ ეს იმის გარანტია არ არის, რომ ბაზარზე უხარისხო პროდუქტი არ მოხვდება.

პროექტის დასრულების მიუხედავად, ტრენინგგავლილი ჟურნალისტები საგამოძიებო მასალებზე მუშაობას მომავალშიც აპირებენ. მათ ისევე, როგორც მომავალ ჟურნალისტებს, ამ საქმეში ახალი სახელმძღვანელოც დაეხმარებათ.

„გამომძიებელ ჟურნალისტთა სახელმძღვანელო“ (Brant Houston and IRE, Inc. The Investigative Reporter's Handbook: A Guide to Documents, Databases and Techniques) – ასე ჰქვია ახალ წიგნს, რომელიც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროექტის ფარგლებში ითარგმნა და მალე უსასყიდლოდ გადაეცემა როგორც საჯარო ბიბლიოთეკებს, ასევე ყველა იმ უმაღლეს სასწავლებელს, რომელშიც ჟურნალისტიკა ისწავლება.

„ხარისხიანი განათლება აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ შემდეგ ერთკვირიან ტრენინგზე არ მოგვიწიოს ჟურნალისტებისთვის იმის ახსნა, თუ

„საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ოპერატორების ტრენინგი „ინტერნიუსში“, 25-28 თებერვალი, 2011 წელი.

პროექტის შუალედური შედეგების შემაჯამებელი კონფერენცია, 22 ნოემბერი, 2010 წელი.

რას ნიშნავს ეთიკის ნორმები, ან თუ როგორ უნდა ჩატარდეს ჟურნალისტური გამოძიება – სამწუხაროდ, ქართულ მედიაში განათლებისა და გამოცდილების ნაკლებობაა“, – მიიჩნევს პროექტის მენეჯერი, თამარ ზურაბიშვილი.

თუმცა, ინფორმაციისა და უნარ-ჩვევების ნაკლებობა არაა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ჟურნალისტები საგამოძიებო თემებით იშვიათად ინტერესდებიან. ხშირად, ინფორმაციის მოპოვებაში დაბრკოლებას მათ ბიუროკრატიული პროცედურები და საჯარო ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობაც უქმნის.

იურისტები და ჟურნალისტები თანხმდებიან, რომ ეს ბოლო დროს, დამაფიქრებელ ტენდენციად იქცა.

„ყველა საჯარო შეხვედრაზე ინფორმაციის გამჭვირვალობაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ მდგომარეობას გაუმჯობესება არ ეტყობა. 2003 წლიდან ეტაპობრივად მძიმდება ეს თემა, სწორედ რომ მედიისა და ამ ცენტრის ერთობლივმა საქმიანობამ განაპირობა ის, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, აღიაროს, რომ პრობლემაა საჯარო ინფორმაციის გაცემაში”, – ამბობს ქართული მედიის სამართლებრივი ცენტრის იურისტი თამარ კორძაია.

ამიტომ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის თვრამეტთვიანი პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა სწორედ ჟურნალისტებისთვის სამართლებრივი დაცვის ცენტრის შექმნა გახდა. ცენტრი, რომლის შექმნაზეც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ სპეციალისტები მუშაობდნენ, პროექტის დახურვის შემდეგაც დაიცავს ჟურნალისტების უფლებებს და ამის შემდეგ ის IREX-ის პროექტ G-Media-ს ფარგლებში დაფინანსდება. ”ჩვენი ცენტრი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ჟურნალისტებს უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს”, – განმარტავს თამარ კორძაია.

სამართლებრივი დაცვის ცენტრს წარმომადგენლობები საქართველოს 7 რეგიონში აქვს გახსნილი, 2009 წლის ნოემბრიდან კონსულტაციების რაოდენობამ 700-ს გადააჭარბა, სულ განსახილველად სასამართლოში 35-მდე სარჩელი შევიდა.

„ერთ-ერთი მთავარი პრობლემა რაც ჟურნალისტს შეიძლება საგამოძიებო სფეროში შეექმნას, სამთავრობო სტრუქტურებთან ურთიერთობაა. ამიტომ აუცილებელია, დავიცვათ ის ჟურნალისტები, რომლებიც ძალიან რთულ და სარისკო საქმეებს ეჭიდებიან“, – ამბობს ჯორჯ ზარუბინი.

გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტებს მსგავსი პრობლემა რამდენიმე თვის წინ სარფის საბაჟოზე შეექმნათ, როცა ჟურნალისტები წესრიგის დარღვევის ბრალდებით 1000-1000 ლარით დააჯარიმეს. თუმცა, საკანონმდებლო მუხლი, რომელიც ჟურნალისტს საბაჟოზე მუშაობას აუკრძალავდა, ოფიციალურად არ არსებობს. თამარ კორძაიას თქმით, საქართველოში სასამართლოს არცერთმა ინსტანციამ ჯარიმის გაუქმების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამიტომ სამართლებრივი დაცვის ცენტრი, ჟურნალისტების სახელით, სტარსბურგში ჩივილს აპირებს.

ხშირად ირღვევა ჟურნალისტების შრომითი ხელშეკრულებებიც, თუმცა ამის გამო თავად ჟურნალისტები იშვიათად ჩივიან. ბევრ მედია საშუალებაში კი ასეთი ხელშეკრულებები საერთოდ არ არსებობს. ამ უფლებებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი სწორედ სამართლებრივი დაცვის ცენტრის საქმიანობას უკავშირდება. Georgian Business Week-ის ხუთ თანამშრომელს, რომლებსაც ოთხი თვის ხელფასს არ აძლევდნენ, საბოლოოდ დამქირავებელმა თანხა აუნაზღაურა, ორი მათგანის საქმე კი სასამართლომ განიხილა და მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

„როცა ცენტრი შეიქმნა, მყარი კრიტერიუმი არ ჩამოგვიყალიბებია, ვის უნდა დავხმარებოდით, ჟურნალისტს თუ მედიასაშუალებას. ამიტომ ყველას ვეხმარებოდით“, – ამბობს კორძაია. მომავალში რა მიმართულებით გააგრძელებს ცენტრი მუშაობას, ჯერ გარკვეული არ არის. კორძაიას თქმით, იმისათვის, რომ ცენტრმა განსაზღვროს სამომავლო პრიორიტეტები, ის კონსულტაციებს გამართავს მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან.

პროექტის ერთ-ერთი მიზანი რეგიო-

ნული მედიის დახმარებაც იყო. ამიტომ ცალკე დაფინანსდა ღონისძიებები, რომლებიც რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია GARB-ს განვითარებაში დაეხმარა.

ასოციაცია 26 რეგიონულ ტელერადიო მაუწყებელს აერთიანებს. მათთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თანამშრომლობის დაწყება რეგიონული ტელევიზიის ევროპულ ასოციაცია CIRCOM Regional-თან. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და ინსტიტუციურ განვითარებაშიც დაეხმარნენ.

პროექტის ფარგლებში რეგიონული მაუწყებლების ჟურნალისტები ხორვატიაში ჩავიდნენ და გაეცნენ ადგილობრივი ტელერადიომაუწყებლობის მუშაობის სპეციფიკას.

„ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც ქართულ მედიაში დავინახეთ, იყო სწორედ საგამოძიებო სტატიებისა და რეპორტაჟების ნაკლებობა“

– ჯორჯ ზარუბინი.

გარდა ამისა, „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ოპერატორებს ჩაუტარდათ ტექნიკური ხასიათის ტრენინგები. ტრენინგები ფონდების მოზიდვასა და მენეჯმენტში კი „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მენეჯმენტის წარმომადგენლებმა გაიარეს. პირველად ჩატარდა ასოციაციის ინსტიტუციური შეფასება და წევრი კომპანიების საჭიროებათა კვლევაც. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, ეს კვლევა მათ შემდგომი განვითარებისთვის კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვაში დაეხმარება.

„საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე, მარინა კუპატაძე ამბობს, რომ კვლევის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც აუცილებლად მოსაგვარებელია: „ტელევიზიებში მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მცირე სარეკლამო ბაზარი, პროფესიონალი კადრების ნაკლებობა, ღარიბი პროგრამირება – და ეს ყველაფერი მაშინ, როცა 4 წელიწადში ციფრულ მაუწყებლობაზე უნდა გადავიდეთ.

კუპატაძე დასძენს, რომ „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“ დახმარებით შეიმუშავეს განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი პუნქტიც ფინანსური მდგრადობის გაძლიერება გახდა – ეს პროექტის ერთ-ერთ დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

ამ მრავალმხრივი პროექტის შედეგად, რომელიც ევროკავშირისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსდა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა განახორციელა, საქართველოში შეიქმნა ახალი ინსტიტუციური პირობები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში შეუწყობს ხელს მედიის განვითარებას, თუმცა ეს პროცესი უფრო ეფექტიანი რომ გახდეს, ჟურნალისტების მხრიდან მეტი ძალისხმევაა საჭირო.

„ეს მხოლოდ დასაწყისია, – აცხადებს ევროკავშირის დელეგაციის თავმჯდომარე, ელჩი ფილიპ დიმიტროვი, – რაც იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტებს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, დღეში 24 საათი და კვირაში შვიდი დღე მუშაობა მოუწევთ. ჩვენ მხოლოდ შანსი მოგეცით, რომ საქმე ადგილიდან დაგეძრათ, დანარჩენი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული“.

მრგვალი მაგიდა „საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, 23 თებერვალი, 2011 წელი.

სტატია დაიბეჭდა „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ შეკვეთით.

სამარშრუტო ტაქსები

უპასუხო ჯითხვები

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა გაფიცვა შეწყვიტეს, თუმცა რა პირობებში მოუწევთ მუშაობა, დღემდე არ იციან.

ნინო რობაქიძე

58 წლის ამირანი, სამ წელზე მეტია, სამარშრუტო ტაქსის მძღოლია და საბურთალოდან ვარკეთილში და უკან დღეში რამდენიმე რეისს ასრულებს. კვირაში მხოლოდ ერთი დღით ისვენებს. დანარჩენ დღეებში ცდილობს, ადრე გამოვიდეს სამუშაოდ და შინ გვიან დაბრუნდეს — ასე მეტ რეისს მოასწრებს და ფულიც მეტი დარჩება.

სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერებასთან „დისპეტჩერი“ ტაქსების გასვლას შორის წუთებს ითვლის და თითოეულ მძღოლს რეისზე 50 თეთრს ართმევს. „დღეში მისთვის დაახლოებით 5-6 ლარის გადახდა გვიწევს,“ — ამბობს ამირანი. მძღოლების კიდევ ერთი ხარჯი სამარშრუტო ტაქსის შეკეთებაა. „ჩვენი მანქანების უმეტესობა სულ შესაკეთებელია, სულ ხელოსანი სჭირდება. კარგი მანქანების საყიდლად ყველას არ ჰქონდა ფული“, — ამბობენ სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერებაზე შეკრებილი მძღოლები. მძღოლების შემოსავალს მნიშვნელოვნად ამცირებს საწვავის გაძვირებაც: „50 თეთრზე მეტად ვერ ვაძვირებთ მგზავრობას. ეგ კი არა, ხალხი ამასაც ვერ იხდის. ამიტომ, რაც ბენზინი გაძვირდა, სულ უფრო ცოტა ფული მრჩება“, – ამბობს ერთ-ერთი მძღოლი.

ამირანის 1991 წლის „ფორდიც“ ამორტიზირებულია. „ეს არის უცხოეთიდან ჩამოყვანილი სატვირთო მინიავტობუსები და მერე აქ კუსტარულად გადააკეთეს „მარშრუტკებად“, – ამბობს ამირანი. ავტომანქანაში სამგზავრო სკამების რაოდენობა დასაშვებზე მეტია, სავარძელზე

ფოტო: ეთერ ბაჩარიშვილი

ბობდა „ლიბერალთან“ საუბარში სამარშრუტო ტაქსის გაფიცული მძღოლი.

„ჩემთვის სულაც არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება სამარშროტო ხაზის მფლობელი და ვინ მოიგებს ტენდერს. მთავარია, მუშაობის პირობები თუ არ გამიუმჯობესდება, არ გამიუარესდეს მაინც“, — აცხადებს სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, რომელიც აქციის აქტიური მონაწილე იყო და გაფიცვის გაგრძელებას ემხრობოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მძღოლების არცერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, გაფიცვა მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა.

გაფიცვის შემდეგ რამდენიმე მძღოლი

მძღოლები, რომელთა სამარშრუტო ტაქსები შედარებით კარგ მდგომარეობაშია, აპირებენ საკუთარი ავტომობილები გაყიდონ და ამ ფულით ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ჩამოყვანილი ახალი ავტომობილები გამოისყიდონ.

თავისუფლად დაჯდომა შეუძლებელია. ამირანი ამბობს, რომ ამ მანქანაში სამი წლის წინ მთელი მისი ოჯახის დანაზოგი გადაიხადა და მას შემდეგ მისი დღიური შემოსავალი დაახლოებით 20-25 ლარია.

„გვითხრეს, რომ ახალი კომპანიები, რომლებმაც ტენდერი მოიგეს, ყოველდღიურ გადასახადს დაგვიწესებდნენ – 20 და 40 ლარამდე. ამის გადახდას ვერავინ შეძლებდა და ამიტომ გავიფიცეთ“, – განმარტავს ამირანი.

გაფიცული მძღოლები 25 თებერვალს ელბაქიძის დაღმართსა და ვარდების მოედანზე შეიკრიბნენ. „ჩვენი მოთხოვნაა, არ გაგვიძვირონ ფასები და ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა ხაზები არ წაგვართვან. ჩვენ ვერ გავზრდით მგზავრობის ფასს. მეც მყავს ოჯახი და ჩემი ოჯახის წევრებიც მგზავრობენ „მარშუტკით“. ერთი ჯიბიდან თუ ამოვიღებ და მეორეში ჩავიდებ, რა აზრი აქვს?“ — ამბობს ამირანი.

„ჩვენ ამ ფულს ბანკიდან ავიღებ, ავიღებ ბანკიდან, ავიღებ ბანკიდან, ავიღებ ბანკიდან

გაუპატიურება

სექსი სიამოვნების გარეშე

გაუპატიურებისა და სექსუალური ზეწოლის რისკს კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარების საზღვრები ვერ აჩერებს.

ნათია გულიაშვილი

სიტყვა, რომელიც 20 წლის გაელმა ევროპის საბჭოს კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე წარმოთქვა, ორგანიზაციის ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და შთამბეჭდავი იყო.

შეხვედრა ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას ეძღვნებოდა. ტრიბუნასთან მდგომი ახალგაზრდა იხსენებდა, თუ როგორ აუპატიურებდა მამა 2 წლიდან. თუმცა, გაელის სიტყვაში აშკარად ჩანდა, რომ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტრავმებზე არანაკლებ მტკივნეულად განიცდიდა იმ პერიოდს, როცა გამოსავალს ეძებდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა – ვის უნდა ვუთხრა, ვინ დამიჯერებს, ვინ დამეხმარება?

გაელს გაუმართლა – ტრაგიკული მოგონებების დავიწყებაში ჯერ დედა, შემდეგ კი ფსიქოლოგები და ფსიქიატრები დაეხმარნენ, სამართლებრივი მხარის მოგვარებაში კი გამოძიება და სასამართლო ჩაერთო.

სწორედ იმ პერიოდში, როცა 16 წლის გაელს დედა ამოუდგა მხარში, საქართველოში, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის (ძდექ) ბენეფიციარი ქალი, პირობითად, მარი, დედამ 17 წლისა ძალით გაათხოვა. მშობლის ვარაუდით, ასე უნდა დაეფარა ტრავმის კვალი გოგონას, რომელიც 9 წლის იყო, როცა მეზობელმა მამაკაცმა ძალა იხმარა მასთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად.

მარიმ ბავშვობის ტრაგედიაზე საუბარი მხოლოდ ზრდასრულ ასაკში მოახერხა – მაშინ, როცა უკვე 2 შვილის დედა იყო. პრობლემაზე მანამდე არც ქმართან უსაუბრია არასდროს, მხოლოდ დაჟინებით და უშედეგოდ ითხოვდა მისგან, გაეყიდათ სახლი, რომელიც მოძალადე მეზობლისგან სულ ერთი კედლით ჰყოფდა.

„დღემდე მამაკაცების მიმართ უარყოფითი რეაქცია აქვს და მიუხედავად იმისა, რომ 2 შვილი ჰყავს, საკუთარ ქმართანაც ნებით არასოდეს ჰქონია კავშირი“, — ამბობს ფსიქოლოგი მანანა სოლოღაშვილი, — „ამის გამო მასთანაც პრობლემები ჰქონდა. ქმარი, ცხადია მიზეზს ვერ ხვდებოდა.”

მსოფლიოს ქვეყნების სტატიტიკა გვეუბნება, რომ გაუპატიურების და სექსუალური ზეწოლის რისკს და შემთხვევებს კულტურული, სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების საზღვრები ვერ აჩერებს, განსხვავება ოჯახის და საზოგადოების დამოკიდებულებასა და იმ სახელმწიფო ინსტრუმენტებშია, რომელიც ძალადობის მსხვერპლს ტრავმის დაძლევაში ეხმარება.

გაეროს სტატისტიკა გაუპატიურების რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ, 63 ქვეყნის ჩამონათვალში, საქართველოს მონაცემებს არ შეიცავს. ორგანიზაციის მონაცემებით, 2009 წელს ოფიციალურად რეგისტრირებული სექსუალური ძალადობის შემთხვევა მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში 19 და 25 იყო, რუსეთში — 6000-ზე ოდნავ მეტი, იაპონიაში — 1500-მდე, საფრანგეთსა და გერმანიაში — დაახლოებით 1000 და 7000, დიდ ბრიტანეთში — 13 000-მდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — 89 000.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზე კი, ბოლო 2006 წლის მონაცემებით, რეგისტრირებული გაუპატიურების 167 შემთხვევაა.

მონაცემები, რომელიც მსოფლიო რუკის დასავლეთის მიმართულე-



გაეროს სტატისტიკა გაუპატიურების რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ, 63 ქვეყნის ჩამონათვალში, საქართველოს მონაცემებს არ შეიცავს. ორგანიზაციის მონაცემებით, 2009 წელს ოფიციალურად რეგისტრირებული სექსუალური ძალადობის შემთხვევა მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში 19 და 25 იყო, რუსეთში — 6000-ზე ოდნავ მეტი, ბრიტანეთში — 13 000-მდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — 8900.

ბით იზრდება, სინამდვილეში არ გულისხმობს, რომ პრობლემა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და ამერიკას უფრო აწუხებს, ვიდრე ვთქვათ, აღმოსავლეთ ევროპას, სადაც დანაშაულის მაჩვენებელი 100-დან 1000-მდე მერყეობს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დღევანდელი მონაცემებით, გაუპატიურება ორ წუთში ერთხელ ხდება, მოძალადესთან ურთიერთობის პრევენციის მიზნით, შექმნეს საიტი, სადაც მომხმარებელს, საკუთარი რეგიონის კოდის მითითებით შეუძლია გაიგოს, რამდენი მეორე და მესამე ხარისხის სექსუალური მოძალადე ცხოვრობს მის მახლობლად, ნახოს მათი ფოტო და მიიღოს ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ამ კატეგორიაში შედიან ისინი, ვისაც ჰქონდა მცდელობა, ან გააუპატიურა 17 წლამდე ადამიანი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

ევროპის საბჭოს ის შეხვედრა, სადაც ფრანგი გაელი საკუთარ ტრაგედიას მოჰყვა, დამოკიდებულების შეცვლის მიზნით დაწყებული ერთ-ერთი კამპანიის ფარგლებში შედგა. „5-დან ერთი“ ამ კამპანიის სახელი და ის რეალური ციფრია, რომელმაც UNICEF-ის კვლევების შედეგად დაადასტურა, რომ ევროპის ქვეყნებში 5-დან 1 ბავშვს სექსუალური ზეწოლის რომელიმე ფორმა მაინც განუცდია, იქნებოდა ეს სხეულის ინტიმურ ადგილებზე ხელის შეხება, თუ უფროსების მიერ ინტერნეტით შიშველი ფოტოების ჩვენების მოთხოვნა. 30-წამიანი ანიმაცია „Underwear Rule“ საბჭომ ამ კამპანიის ფარგლებში დაამზადა, რომელმაც მთავარი გმირის, კიკის დახმარებით, ბავშვს ადრეული ასაკიდანვე უნდა ასწავლოს გარჩევა, როდისაა უფროსის თხოვნა, შეეხოს მისი სხეულის რომელიმე ნაწილს, მისაღები და როდის — არა.

თანამედროვე სამყაროს ბევრი ქვეყანა არათუ ქალის, ბავშვის სხეულსაც პორნოგრაფიული მოხმარების საგნად იყენებს. ასეთი ვიდეორგოლი კი უფრო უსუსურ ნაბიჯს ჰგავს, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებს ისღა დარჩენიათ, მარტივი გამოსახულებების საშუალებით, თავად ბავშვების გაფრთხილება დაიწყონ. თან იმაზეც უწევთ ფიქრი, ამ გზით თავად არ მიაყენონ ტრავმა.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის ხელმძღვანელი ეკა აღდგომელაშვილი ამბობს, რომ მსგავს პრევენციულ ნაბიჯებს სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული ეფექტი აქვს:

„ამერიკაში იყო შემთხვევა, როცა მეზობელმა პოლიციაში დარეკა იმის გამო, რომ ფანჯრიდან დაინახა, როგორ სვამდა მამა თავის პატარა ქა-

ლიშვილს ღამის ქოთანზე. მან ჩათვალა, რომ ის გოგონას არასწორად შეეხო. წარმოიდგინეთ ეს სიტუაცია საქართველოში, როცა დედები ხშირად 12-13 წლის ვაჟებს თავად აბანავებენ."

რაც მეტია კულტურაში ბავშვის, როგორც საკუთრების აღქმა, მით ნაკლებად უსმენენ მის აზრს უფროსები. ბავშვთა უფლებათა დამცველები კი მიუთითებენ, რომ ხშირად სწორედ უგულისყურო დამოკიდებულება ხდება იმის მიზეზი, რომ მშობელი შვილის სერიოზულ პრობლემას ვერ ამჩნევს. ასეთ დროს კი შეიძლება, სექსუალური ძალადობის შემთხვევაც გამოგვეპაროს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდმა კვლევა UNICEF-ის მეთოდით 2007—08 წლებში ჩაატარა. მაშინ აღმოჩნდა, რომ ქართულ სკოლებში გამოკითხული 1300 მოსწავლიდან 95 სექსუალური ზეწოლის რაიმე ტიპის გამოცდილებას ადასტურებდა. თუმცა მათი უმრავლესობა მსგავს შემთხვევაში თანატოლთან ურთიერთობის შედეგად აღმოჩენილა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვზე ზრუნვის სამმართველოში კი გასულ წელს სექსუალური ზეწოლის შესახებ მხოლოდ 4 შეტყობინება შევიდა და მოგვიანებით მათგან 3 არ დადასტურდა. ერთ შემთხვევაში მოძალადეები ოჯახის უახლოესი წევრები აღმოჩნდნენ. ბავშვზე ინცესტური ძალადობის შემთხვევებს იხსენებენ „ძდექ"-სა და ტრეფიკინგის ფონდშიც.

სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრის ხელმძღვანელი ანა არგანაშვილი ამბობს, რომ მაჩვენებელი, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ბავშვთა სექსუალური ძალადობის შესახებ აქვთ, წარმოუდგენლად დაბალია. გარდა თემის მკაცრად ტაბუირებისა, ეს ხშირად ბავშვის მონაყოლისადმი დაუდევარი მიდგომითაცაა გამოწვეული.

2010 წელს, როცა ჯანდაცვის, განათლების და შს მინისტრებმა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები დაამტკიცეს, დაკონკრეტდა იმ პროფესიონალების წრეც, რომლებსაც ბავშვთან უშუალო შეხება აქვთ — ექიმები, მასწავლებლები, ვისაც უკვე პირდაპირ ევალებათ ბავშვის სხეულზე დაზიანების ნიშნების, ნაკაწრების, საეჭვო ქცევის შემჩნევისას, შეატყობინონ პოლიციას და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

თუმცა, არგანაშვილი აქვე მიუთითებს, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონში ძალადობის დეფინიცია არასრულყოფილია და სკოლის კომპეტენციაში რეაგირება მხოლოდ მაშინ შედის, თუ საქმე ვერბალურ ან ფიზიკურ შეურაცხყოფასთან გვაქვს.

ამას გარდა, ქვეყანაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვისთვის, სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრი არ არსებობს, ერთადერთი ალტერნატივა ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა და ბავშვთა სახლში გადაყვანაა.

„ეს, რა თქმა უნდა, ნონსენსია. ამგვარ სახლში რეაბილიტაციის გავლა, თანაც მაშინ, როცა ბავშვს დამატებითი სტრესი აქვს, წარმოუდგენელია", — ამბობს არგანაშვილი.

2008 წელს ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა, ესტონელ ექსპერტებთან ერთად კვლევა ორსულების და ექიმების ჯგუფებში ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ოჯახში სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა 50%, ძირითადად, 14-18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფშია მოქცეული, 14 % კი — 13 წლამდე ბავშვები არიან. გამოკითხულ ექიმთა 11 %-მა აღნიშნა, რომ პრაქტიკაში შეხვედრია პედოფილიის მსხვერპლ გოგონებს, 4 % კი - ინცესტის მსხვერპლებს. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთა 35%-ს მამაკაცთან კონტაქტი 18 წლამდე ასაკში ჰქონდა. მათ შორის, ყოველი მეხუთე 18 წლის ასაკამდე დედა ხდება.

გამოდის, რომ ქალების ნახევარზე მეტს, სექსუალური ძალადობა 18 წლამდე განუცდიათ, ხოლო მისგან მიღებულ ტრავმას ხშირად წლების შემდეგ ფსიქოლოგთან კონსულტაციამდე ვერც აცნობიერებენ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მხოლოდ სექსუალური ძალადობის გამო მომართვა თითქმის არასოდეს ხდება და ამის გაცნობიერებას ქალები მაშინ იწყებენ, როცა ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე საუბრობენ. ეს ლოგიკური მაჩვენებელია UNFPA—ს კვლევის შედეგების ფონზე. პუნქტი, რომელშიც ქალებს სთხოვდნენ, მიეთითებინათ მიზეზი, რის გამოც ისინი კაცისგან ცემას გამართლებულად ჩათვლიდნენ, ქალების ნაწილმა სექსუალურ კონტაქტზე უარის თქმა დაასახელა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდმა კვლევა UNICEF-ის მეთოდით 2007—08 წლებში ჩაატარა. მაშინ აღმოჩნდა, რომ ქართულ სკოლებში გამოკითხული 1300 მოსწავლიდან 95 სექსუალური ზეწოლის რაიმე ტიპის გამოცდილებას ადასტურებდა. თუმცა მათი უმრავლესობა მსგავს შემთხვევაში თანატოლთან ურთიერთობის შედეგად აღმოჩენილა.

ბავშვზე სექსუალურ ძალადობას კანონმდებლობით და მორალით მხარდაჭერილი საზოგადოება, აფიშირებულად მაინც, დანაშაულად, გარყვნილებად, ან ფსიქოლოგიურ პრობლემად აფასებს, თუმცა ქართული ფორუმებისა თუ სოციალურ ქსელებში განხილვის საგნად რამდენჯერმე ქცეულა ქართულ პორნოსაიტებზე ინცესტისა და გაუპატიურების შემცველი ვიდეოების განთავსებაზე

დიდი მოთხოვნა, რაც არც საერთაშორისო ტენდენციისგანაა შორს.

ქალზე ძალადობის შემთხვევებში საზოგადოება გაცილებით მკაცრია მსხვერპლის მიმართ. ეს პირდაპირი შედეგია იმისა, რომ პატრიარქალური კულტურა კაცს „თმენის ვალდებულებას“ არ აკისრებს და ძალადობის ლეგიტიმაციას ახდენს. მსგავს ანდროცენტრულ განწყობას კი მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებიც ვერ აღწევენ თავს.

ეგვიპტური რევოლუციის დროს, ტაჰრირის მოედანზე 200 დემონსტრანტის მიერ CSB-ის რეპორტიორის, ლარა ლოგანის გაუპატიურების შემდეგ, ამერიკული გამოცემების ნაწილი წერდა, რომ ქერათმიანი, თეთრი ქალი რევოლუციის გასაშუქებლად არ უნდა გაეშვათ, და რომ ეს მათი დანაშაულია, ვინც მათთვის კარგად ნაცნობ აღმოსავლური ძალადობრივი კულტურის ქვეყანაში ეს ქალი მოვლენების გასაშუქებლად გაგზავნა.

ორიოდე კვირის წინ სწორედ ამგვარი აზრის წინააღმდეგ გამოვიდნენ თურქეთის ქალაქ კონში ჩადრიანი ქალები, აქციის მონაწილეებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს მათ, ვისაც ქუჩაში მოკლე კაბის ტარება სურს. მათი გამოსვლა თურქი თეოლოგის ორჰან ჯეკერის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც განაცხადა, რომ „ქალებს, რომლებიც დაუფიქრებელი ჩაცმულობით ქუჩაში გამოდიან, არ უნდა გაუკვირდეთ, თუკი სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდებიან.“ აქციის მონაწილეთა თქმით, ისეთი მოკრძალებული სამოსი, როგორიც მუსლიმური ჩადრია, ვერც მათ იცავს სექსუალური ზეწოლისგან.

„გავიხსენოთ, ყოველთვის, როცა მსგავსი შემთხვევა ხდება, საზოგადოებისგან ამას მოყვება რეპლიკები: თუ წესიერი ქალია, რა უნდოდა იმ ადგილას? თვითონ მოახდინა პროვოცირება! პატრონი არ ჰყავდა? მარტო რატომ იყო და ა.შ. საზოგადოების კრიტიკა ყოველთვის ქალისკენაა მიმართული და არასოდეს საუბრობენ თვითონ მოძალადეზე. გამოდის, რომ მამაკაცი განიხილება არსებად, რომელიც ვერ ახდენს თავის ინსტინქტების და სექსუალური ქცევის კორექციას და ასეთ პირობებში, ქალად ყოფნა, უკვე რისკია“, — ამბობს ეკა აღდგომელაშვილი.

მისი შეფასებით, გაუპატიურების ფენომენი, ძალაუფლების პრიმატს უკავშირდება, რომლის დემონსტრირებასაც მამაკაცისგან საზოგადოებაც მოითხოვს. ეს ხდება სწორედ სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე დამკვიდრებისთვის და, ფაქტობრივად, დაცლილია სექსუალური სურვილისგან. მაგალითად ციხეში, ერთსქესიანი ძალადობა ჰომოსექსუალობასთან არაა გაიგივებული და მოძალადე მას მსხვერპლის „დასჯის“, დამცირების მიზნით იყენებს.

სპეციალისტები ადასტურებენ, რომ ქართული კვლევების შედეგად მიღებული მაჩვენებლები ოჯახში და ბავშვზე სექსუალური ძალადობის შესახებ, სინამდვილისგან საკმაოდ შორსაა. ამას ემატება ფაქტობრივად აღურიცხავი სექსუალური ზეწოლის (sexual harrasment) შემთხვევები, რასაც ქალები სამსახურში, დამქირავებლისგან განიცდიან. ამ უკანასკნელს დღეს არც შრომითი ხელშეკრულება არეგულირებს და არც ოჯახში ძალადობაზე ორიენტირებულ არასამთავრობოებს აქვთ მათ შესახებ ინფორმაცია.

მსოფლიოში დღესაც უამრავი კვლევა ტარდება სექსუალური ძალადობის გამომწვევ ფაქტორებთან დაკავშირებით. გამოიყო ცალკეული ტიპებიც — ინცესტური, ჯგუფური, ბავშვზე ძალადობა, ძალადობა ციხეში და ომის დროს ძალადობა, რომელსაც საერთაშორისო კრიმინალურმა სასამართლომ სპეციფიკური ომის დანაშაულის სტატუსიც მიანიჭა. თუმცა, მიუხედავად ამისა, პატრიარქალური აზროვნების მოდელი მამაკაცის მხრიდან აგრესიის გამოვლენას ამართლებს და ამას მის ევოლუციურ ბუნებას უკავშირებს. ამ პირობებში კი, სექსუალური ძალადობისგან თავის არიდებაზე პასუხისმგებლობა ისევ ქალზე გადადის, რომელმაც „მამაკაცის ბუნების“ გათვალისწინებით, საკუთარი ქცევა უნდა გააკონტროლოს.

განათლების ეკონომიკა

ყველა იმ ქვეყანამ, რომელთა ეკონომიკაც სწრაფად განვითარდა, თავის დროზე განათლებაში ინვესტიციები დრამატულად გაზარდა. ჩინეთი, სინგაპური, სამხრეთ კორეა – ამ ქვეყნების მთავრობებმა შემოსავლის დიდი ნაწილი განათლებაში, ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში დააბანდეს და დიდი მოგებაც მიიღეს.

ინტერვიუ **ფრანცისკო რივერა-ბატიზთან,** კოლუმბიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და განათლების პროფესორთან

ფოტო: ლევან ხარბედილაძე

საქართველოში ისევე, როგორც ბევრ სხვა განვითარებად ქვეყანაში, ხშირად დავობენ, თუ რომელი გზა აირჩიონ განვითარებისთვის. ბევრს მიაჩნია, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაცია, მინიმალური სახელმწიფო ჩარევა და დაბალი გადასახადები არის განვითარების უნივერსალური გზა. როგორ ფიქრობთ, რამდენად რელევანტურია „ნეოლიბერალური“ მოდელი დღეს, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისის შემდეგ?

ეკონომიკური ლიბერალიზმი ნიშნავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ცალკეულ ადამიანებს, ბიზნესს და სხვადასხვა ინსტიტუტს საშუალებას მისცემს, სამთავრობო რეგულაციებისგან დამოუკიდებლად განვითარდნენ. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანია. თუმცა არ ვეთანხმები, რომ ესაა განვითარების ერთადერთი გზა.

აუცილებელია ინვესტიციების ჩადება ადამიანური კაპიტალის შექმნაში. ასეთი ინვესტიციები, ძირითადად, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს. ასევე, აუცილებელია ინვესტიციების ჩადება ფიზიკურ კაპიტალში, ინფრასტრუქტურაში. მესამე სფერო, სადაც მთავრობა აქტიურად უნდა ჩაერიოს, არის კვლევები. პოლიტიკა, რომელიც იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, გასცემს გრანტებს ახალი

აუცილებელია ინვესტიციების ჩადება ადამიანური კაპიტალის შექმნაში. ასეთი ინვესტიციები, ძირითადად, სახელმწიფოს მიერ უნდა განხორციელდეს. ასევე, აუცილებელია ინვესტიციების ჩადება ფიზიკურ კაპიტალში, ინფრასტრუქტურაში. მესამე სფერო, სადაც მთავრობა აქტიურად უნდა ჩაერიოს, არის კვლევები.

ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიების შექმნისთვის, წაახალისებს ახალი იდეების წარმოებას, ინოვაციებსა და პროგრესს.

გარკვეული წინააღმდეგობა მართლაც არსებობს: იმისთვის, რომ განვითარებას შეუწყო ხელი, ბიზნესები და ინდივიდები ნებაზე უნდა მიუშვა. ხოლო კრეატიულობისა და ინოვაციის წასახალისებლად სახელმწიფოს აქტიურობაა საჭირო.

შეიძლება, არსებობდეს საუკეთესო განზრახვები და იდეები, მაგრამ თუ მათ არ აქვთ სახელმწიფო მხარდაჭერა, ვერასდროს განხორციელდება. არსებობს პოლიტიკური ნაბიჯების მთელი წყება, რომელიც მთავრობამ უნდა გადადგას იმისთვის, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი რეალურად აამუშაოს. ლიბერალიზმის არსებობას მთავრობის აქტიურობა განაპირობებს. ეს ორი ასპექტი ერთმანეთს ავსებს.

მნიშვნელოვანი თემაა დამოკიდებულება დემოკრატიასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. როგორ უწყობს ხელს დემოკრატია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას? არსებობს პოზიტიური კავშირი დემოკრატიასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის?

კვლევები აჩვენებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, ძლიერ დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის პოზიტიური კავშირი არსებობს. მიზეზი მარტივია – დემოკრატიულ სახელმწიფოში, შეგიძლია დაითხოვო მთავრობა, რომელიც ცუდად ფუნქციონირებს.

თუმცა შესაძლებელია, ქვეყანას მართავდეს ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც აქვს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, მაგალითად, სინგაპურში, ჩინეთში. თუმცა აქ ყველაფერი გამართლებაზეა – შემთხვევითია, რომ ამ ქვეყნების ხელისუფლებაში სწორი მთავრობა მოვიდა. უფრო ხშირად შემთხვევითობას ცუდი შედეგი მოაქვს – დიქტატორების არსებობა ქვეყნისთვის კატასტროფულად საზიანო ხდება. ჩინეთი ტიპური მაგალითია. ის დღეს კარგად ვითარდება, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მაო გარდაიცვალა. 1949-1976 წლებში ჩინეთში ეკონომიკური კატასტროფა იყო. 1976 წელს, პოლიტიკურ ბრძოლაში შემთხვევით დენ სიაოპინმა გაიმარჯვა, შეიცვალა პოლიტიკა და მმართველობა, რეფორმების ნაწილმა ნაყოფი გამოიღო, სიღარიბე შემცირდა და ეკონომიკამ განვითარება დაიწყო. თუმცა ეს მოხდა შემთხვევით, ხალხს ეს არ გაუკონტროლებია.

თქვენ ახსენეთ ადამიანური კაპიტალი, როგორც განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ეს კი დაკავშირებულია განათლების სისტემასთან. რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ განათლების სისტემამ უპასუხოს გლობალური ეკონომიკის გამოწვევებს?

თითქმის ყველა ქვეყანაში განათლების სექტორში ინვესტიციების დიდი ნაწილი მოდის სახელმწიფოსგან. ყველა იმ ქვეყანამ, რომელთა ეკონომიკაც სწრაფად განვითარდა (თუნდაც, სინგაპურმა, ჩინეთმა და ა.შ.), თავის დროზე, განათლებაში ინვესტიციები დრამატულად გაზარდა. მათ უზრუნველყვეს განათლების ისეთი დონე, რომ ხელი შეეწყოთ ეკონომიკური ზრდისთვის.

თუ განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის არ დახარჯავ ფულს, მნიშვნელობა არ აქვს რამდენ მოსწავლეს ან სტუდენტს მოემსახურები. მაგალითად, საქართველო დაწყებითი და საშუალო განათლების სფეროებში საკმაოდ ბევრ მოსწავლეს ემსახურება, მაგრამ განათლების დონე და ხარისხი საკმარისი არ არის და არც იზრდება. ეს არის პრობლემა. საქართველოს სჭირდება მეტი ინვესტიციები განათლების სექტორში.

და ეს ინვესტიციები საიდან უნდა მოვიტანოთ?

ამას ხშირად მეკითხებიან. ბევრ ქვეყანაში ვმოგზაურობ, უფრო ღარიბ ქვეყნებშიც, ვიდრე საქართველოა. როდესაც ინვესტიციებს ვახსენებ, მეუბნებიან, ჩვენ ღარიბები ვართ, არ გვაქვს ფული ინვესტიციისთვისო.

ჩემი პასუხი ასეთია – ჩინეთი, სინგაპური, სამხრეთ კორეა – არცთუ დიდი ხნის წინ ეს ღარიბი, ძალიან ღარიბი ქვეყნები იყო. 50-იან წლებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი სამხრეთ კორეაში იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე ახლა საქართველოს აქვს. სინგაპურში რამდენიმე მეთევზეთა სოფელი იყო და ეკონომიკური აქტივობები საერთოდ არ შეინიშნებოდა. ჩინეთში ხალხი შიმშილობდა. ამ ქვეყნების მთავრობებმა შემოსავლის დიდი ნაწილი ჩადეს განათლებაში, ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში, და ამ ყველაფერმა მათ მოგება მოუტანათ.

რა არის ის სპეციფიკური უნარები ან დისციპლინები, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ?

მთავრობამ საგანმანათლებლო ინსტიტუტებს უნდა მიაწოდოს რესურსები და შემდეგი გაფართოება მათვე უნდა მიანდოს. ისინი თავისით განავითარებენ კურიკულუმს უკეთესი განათლების შესათავაზებლად. რა თქმა უნდა, მათემატიკური უნარები, სამეცნიერო უნარები და ინგლისური ენა მნიშვნელოვანია გლობალიზებულ ეკონომიკაში ინოვაციების საწარმოებლად.

პრობლემა ხშირად ისაა, რომ ადგილობრივი ცოდნა და გამოცდილება არ არის განვითარებისთვის საკმარისი. რის გაკეთება შეუძლია, ამ მხრივ, მთავრობას?

სამი ძირითადი ფაქტორია, რომელიც პროგრესს განაპირობებს: (1) სწორი გარემოს შექმნა (ინტელექტუალური საკუთრების კანონის მიღება, სამთავრობო დაფინანსება და ა.შ.); (2) ადამიანური კაპიტალი (იმისთვის, რომ გამოიგონო რაიმე ახალი, უნდა გქონდეს უახლესი უნარები, უახლესი ცოდნა); და (3) გახსნილობა (საერთაშორისო ვაჭრობისადმი, საერთაშორისო ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფერის მიმართ).

ესაუბრა **გიორგი ცხადაია.**

პოლიციელები ტაქსიში

მარკ მალენი

როდესაც უცხოელები ინტერესდებიან საქართველოს მთავრობის მიერ კორუფციასთან ბრძოლით (კერძოდ კი, იმ კორუფციასთან, რომელიც ძველ პოლიციურ სტრუქტურებში იყო გამეფებული), მათ ძალიან უკვირთ, თუ სად წავიდა შევარდნაძისდროინდელი პოლიცია. რა დაემართათ ამ ადამიანებს? დღეს ცოტა ძნელი გასახსენებელია, მაგრამ 2004 წელს აქტიური დისკუსია მიმდინარეობდა იმაზე, თუ რა უნდა ექნათ ძველი პოლიციისთვის: ეს იყო შეკრული, კარგად შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც ინფორმირებული იყო შესაძლო შემცირებების შესახებ. შეუქმნიდნენ ისინი სახელმწიფოს საფრთხეს?

შევარდნაძისდროინდელ ყოფილ პოლიციელებს რამდენჯერმე ტაქსის მძღოლების ამპლუაში წავაწყდი. ტაქსით ბოლო მგზავრობისას ძალიან გავოცდი, რომ მძღოლმა ზუსტად იცოდა ჩემი საცხოვრებელი მისამართი. როგორც აღმოჩნდა, წლების მანძილზე ჩემი უბნის ინსპექტორი ყოფილა. ვისაუბრეთ, ჩემ მიმართ მეგობრულად იყო განწყობილი ისევე, როგორც სხვა მისი კოლეგები. რა თქმა უნდა, ისინი ამ მთავრობის დიდი მხარდამჭერები არ არიან. ჩემთან საუბარში კი ახლანდელ მთავრობას ყოველთვის მოიხსენებენ როგორც, „შენი გუნდი“. თითქოს საქართველოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობა 2003 წლის ცვლილებებს მხარს არ უჭერდა. ისინი შეგუებული არიან ცვლილებებს – იშოვეს ახალი სამსახური, რომელსაც მათი წინა სამსახურისგან განსხვავებით, გარკვეული საზოგადოებრივი სიკეთე მოაქვს.

მთავრობა პოლიციაში განხორციელებული ცვლილებებით კმაყოფილია და ასეც უნდა იყოს. ბევრი ადამიანია დაინტერესებული იმით, თუ როგორ უნდა

თავისი ყველა ნაკლოვანებით, საქართველოს პოლიცია თანამედროვე პოლიციაა, რომელიც განვითარებული ქვეყნების პოლიციას ჰგავს.
საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც მსგავს შედეგებს მიაღწია.

განახორციელონ მსგავსი რეფორმა: გვატემალადან დაწყებული ყირგიზეთით დამთავრებული. რუსეთიც კი ჩუმად აკვირდება და რაღაცებს სწავლობს. რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობ, რომ ახლანდელი პოლიცია სრულყოფილია. პოლიცია არჩევნების ადმინისტრირებაში ზედმეტად არის ჩართული და არც ის არის ძნელი გასარკვევი, თუ ვის მხარეზე მუშაობს. მარტო მე არ მეპარება ეჭვი იმაშიც, რომ ზოგიერთ ადამიანს, რომელიც ციხეში ნარკოტიკების შენახვისთვის ზის, სინამდვილეში ნარკოტიკები არ ჰქონია.

თავისი ყველა ნაკლოვანებით, საქართველოს პოლიცია თანამედროვე პოლიციაა, რომელიც განვითარებული ქვეყნების პოლიციას ჰგავს. საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც მსგავს შედეგებს მიაღწია. მთავრობა, ამ მხრივ, შექებას იმსახურებს. მე კი მადლობა მინდა, გადავუხადო პოლიციის ყოფილ ოფიცრებსაც.

პოლიციის ოფიცრების უმრავლესობა შევარდნაძის პერიოდში საშინელ საქმეებს აკეთებდა, ბევრ მათგანს ადამიანების ცხოვრების დანგრევა აწევს ტვირთად. პოლიციის ოფიცრობა მნიშვნელოვანი თანამდებობაა იმის მიუხედავად, თუ როგორი ოფიცერი ხარ – კორუმპირებული და არაკომპეტენტური, თუ პატიოსანი და პროფესიონალი. უმრავლეს შემთხვევაში, ეს პოლიციელები, უბრალოდ, კორუმპირებული სისტემის ნაწილი იყვნენ. უმრავლესობამ სამსახური ფულით იყიდა. ისინი ქრთამებს აგროვებდნენ, რომ ვალები გადაეხადათ და მაღალი თანამდებობის პირები მოექრთამათ. შესაძლოა, ეს ყველაფერი თვითონაც არ სიამოვნებდათ. მახსოვს, როგორ უხაროდათ, როდესაც წითელ შუქზე გადავიდოდი და დამიჭერდნენ. მათთვის კანონდამრღვევი

უცხოელისთვის ფულის მოთხოვნა ნაკლებად უხერხული იყო, ვიდრე სხვებისთვის. ეს მართლაც სულის წარმწყმედი სამუშაო იყო.

ახლა მათ უკვე ნათელი შედარების საშუალება აქვთ. მათთვის ცხადი გახდა, რომ ძველი მეთოდი ჩაფლავდა და სხვა საქმის კეთებაზე უნდა გადაერთონ. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ძველი პოლიცია და ახალი პოლიცია ერთად ცხოვრობს, ერთმანეთს ხედავენ და ესმით, თუ რას ნიშნავს ცვლილება.

სხვა ჯგუფები მსგავს სიტუაციაში არ იმყოფებიან. ზოგიერთ ადამიანს საბჭოთა სისტემაში მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მათ ჰქონდათ საჭირო კავშირები, საბჭოთა სისტემა კი ჩაკეტილი იყო და დანარჩენ მსოფლიოსთან კონკურენცია არ არსებობდა. ეს ადამიანები ძალიან მიეჩვივნენ თავიანთ სტატუსს, რომლის შენარჩუნებასაც გამალებით ცდილობენ. ამავე დროს, იმის აღიარება უჭირთ, რომ კონკურენტუნარიან და საერთაშორისო კავშირების მქონე საზოგადოებაში, ისინიც უნდა შეიცვალონ. ზოგიერთი ძალიან გამწარებულია ცვლილებებზე, რადგან საქართველოში რეალური ინსტიტუციური ცვლილებების ნათელ მაგალითს ვერ ხედავს. ამ საწინააღმდეგო მაგალითის არარსებობა მათ საშუალებას აძლევს, რომ თავიანთი ძველი სტატუსი 100 %-ით გაამართლონ. ბევრმა ახალი რეალობა მაინც მიიღო და განვითარდა, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ ფარისევლობაში ცხოვრობს და ცდილობს, დაბლოკოს კონკურენცია, რომელიც მათ სისუსტეებს გამოაჩენს.

პოლიციას ასეთი ფუფუნება არ აქვს. საქართველოს ახლანდელ პოლიციაზე ბევრ ადამიანს გარკვეული საჩივრები ნამდვილად აქვს, მაგრამ არც ერთი პატიოსანი ადამიანი არ იტყვის იმას, რომ შევარდნაძისდროინდელი მილიცია სჯობდა. ამას ის პოლიციელებიც არ ამბობენ, ვისაც დაველაპარაკე. ამ გულწრფელობისთვის მე მათ ვაფასებ. თავად გადაწყვიტეს ცვლილება თუ დააძალეს, სხვა საკითხია, მაგრამ მთავარია, რომ საზოგადოება და ისინიც ახლა უკეთეს მდგომარეობაში არიან.

„სავარძლის ეკონომისტი: ეკონომიკა და ყოველდღიური ცხოვრება“

ეკონომიკა საინტერესო მეცნიერებაა, რომელიც ადვილია, მოსაწყენად ასწავლო და ეს ბევრს მასწავლებელს ძალიან კარგად გამოსდის. აი, სტივენ ლანდსბურგს კი შეუძლია, ამ მშრალი გრაფიკებით სავსე მეცნიერებაში სწრაფად და პირდაპირ თავით ჩააყუდოს მსმენელი.

სტივენ ლანდსბურგი



სტივენ ლანდსბურგის წიგნი „სავარძლის ეკონომისტი: ეკონომიკა და ყოველდღიური ცხოვრება“ პირველივე გვერდიდან ახდენს მკითხველის პროვოცირებას. იმდენად, რომ გინდება, მეტი წაიკითხო ამ საკითხებზე, ან სულაც, გადაწყვეტ, რომ პოლიტიკა საინტერესო საქმეა, ან თავიდან გადაიკითხავ მენქიუს, კრუგმანსა თუ ობსტფელდს (თუკი ბოლო ორი ვარიანტი ერთად მოხდება, უმჯობესია).

ეკონომიკა ცხოვრების მეცნიერებაა, რომელიც ადამიანის ქცევას ხსნის. საუნივერსიტეტო ლიტერატურაში ეს მთავარი თემა ძალიან ხშირად იკარგება. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ წიგნში, რომელიც ეკონომიკას ეძღვნება, ეს საკითხი შესავალში მაინც ვრცლად არის ხოლმე განხილული. ლანდსბურგს აქვს უნარი, არ მოსცილდეს მთავარ თემას და მთავარ ვარაუდს: „ადამიანი რეაგირებს მოტივაციებზე“ და ამ თემის გარშემო ატრიალოს ეკონომიკური თეორია და მისი ინტერპრეტაციები.

წიგნი ისეთი აქტუალური თემით იხსნება, რომ მისი მიმოხილვის ცოტა ადრე გამოქვეყნების შემთხვევაში, ალბათ, მრავალ ქართველ მძღოლსა თუ კანონშემოქმედს მოუწევდა ახალ, უცნაურ არგუმენტებზე დაფიქრება. წიგნის პირველი თავი განიხილავს, თუ რამდენად საშიშია ავტომობილის უსაფრთხოების ღვედები ადამიანის სიცოცხლისთვის. ზოგიერთი ავტორიტეტული გამოკვლევის თანახმად, მეტი უსაფრთხოება იწვევს მძღოლების მხრიდან უფრო სახიფათო მოძრაობას — რაც უფრო დაცულად გრძნობს თავს მძღოლი, უფრო სახიფათოდ მართავს ის საჭეს. შესაბამისად, იზრდება ფატალური შემთხვევები ქვეით მოსიარულეებს შორის.

ასეთი, ყოველდღიური თემებით არის

სავსე ეს პატარა წიგნი, რომელიც თავებად, მოკლე და საინტერესო მოთხრობებად ანაწილებს ეკონომიკის ძირითად საკითხებს. აი, მაგალითად: რატომ არის „კარგი“ სიკვდილით დასჯა? რატომ არის „ცუდი“ თქვენი მცდელობა, რაც შეიძლება ნაკლები გვერდი დაბეჭდოთ და ამით დაიცვათ გარემო? რა დადებითი შედეგი მოაქვს იმას, რომ არსებობენ მწეველები? რატომ არ აქვს მნიშვნელობა, ბიუჯეტი დეფიციტურია თუ არა? როგორ შეიძლება, ხორბლის თავთავმა ავტომობილები მოისხას? რით ჰგავს ამერიკის ორპარტიული პოლიტიკური სისტემა ბიზნეს-კარტელს?

ყოველდღიური თემებით ლანდსბურგი ინტერესს აღვივებს. წიგნში ერთ-ერთი მთავარი კითხვაა – „ვინ ხეირობს“ ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი, უფრო სწორად, ანალიზისათვის საჭირო კითხვების ჩამოყალიბება და მათი დახმარებით გავარჯიშება ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. მაგალითად, ასეთი „სავარჯიშო“ კითხვებია: კარგია თუ არა ინფლაცია დასაქმებისათვის და უნდა მოახდინოს თუ არა მთავრობამ ინფლაციით მანიპულირება უმუშევრობის შესამცირებლად? რა უარყოფითი შედეგი შეიძლება, მოიტანოს სუფთა ჰაერმა ჩვენს ქალაქებში?

საჯარო პოლიტიკა და მორალი კიდევ ერთი საინტერესო საკითხია, რასაც წიგნში შეხვდებით. როგორ გავიგოთ, რომელი პოლიტიკა სჯობს: რომელიც ახალგაზრდებს ეხმარება და ხანდაზმულებს აზარალებს თუ – პირიქით? რითაა ცუდი დაბალი საპროცენტო განაკვეთები საბანკო სესხებზე? ვინაიდან არ არსებობს „უფასო ლანჩი“, პოლიტიკის რეალური კითხვა ხშირად ისაა, თუ ვისი ჯიბიდან უნდა ამოვიღოთ ფული და ვის ჯიბეში ჩავდოთ. ეკონომისტებისათვის ამ კითხვებზე პასუხები შედარებით ნათელია, სხვა პროფესიის მიმდევართათვის კი ხშირად ეკონომიკური და ღირებულება-ეფექტიანობის ანალიზი გზას პოლიტიკას, ლობიზმსა და სტერეოტიპებს უთმობს. ეკონომიკა საჭირო მეცნიერებაა ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, რომელთა პოლიტიკურ, მორალურ თუ ეთიკურ მხარეზე მრავალი მოსაზრებაა, ხოლო მისი საჭიროებისა თუ შედეგიანობის შესახებ შეთანხმება რთულია. ასეთ შემთხვევაში, წონად არგუმენტს სწორედ ეკონომიკა გვთავაზობს: ყველა გადაწყვეტილება უნდა შეფასდეს მისი ეკონომიკური ღირებულება-ეფექტიანობით, ვინაიდან არ არსებობს სხვა, უფრო უკეთესი და უფრო უნივერსალური საზომი.

■ წიგნში ერთ-ერთი მთავარი კითხვაა – „ვინ ხეირობს“ ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი, უფრო სწორად, ანალიზისათვის საჭირო კითხვების ჩამოყალიბება და მათით გავარჯიშება ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

თუკი თქვენ ეკონომიკას ასწავლით, ეს წიგნი პირველი ლექციების საკითხავ მასალად ნამდვილად გამოგადგებათ. თუ ჟურნალისტი ხართ და მსგავს თემებზე წერთ, ან ხშირად გიწევთ ამ თემებზე მსჯელობა და დისკუსია, თქვენც ნამდვილად იხეირებთ. თუკი უბრალოდ ცნობისმოყვარე ადამიანი ხართ და გაინტერესებთ პასუხები საინტერესო შეკითხვებზე, ეს წიგნი კარგი ზომა-წონისაა, როგორც მოცულობით, ასევე შინაარსით: არც ძალიან რთულია და არც ძალიან დიდი. რაღაც გაგებით, ეს წიგნი ცნობილი Freakonomics-ის წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ.

ბოლოს კი, აი, ჩემთვის ყველაზე საინტერესო შეკითხვა ამ წიგნიდან: „რატომ აქვთ დიდი კორპორაციების ხელმძღვანელებს ასე მცირე ხელფასი?“ ამბობენ, ეკონომისტებს გული არ აქვთო, თუმცა, როგორც ჩანს, ირონია საკმარისი აქვთ.

მუსიკა

პროტესტის ანთოლოგია

ვახო ხვიჩია

1939 წელი, ჩრდილოეთ კაროლინა, ქალაქი ტროა. 6 წლის კეიტი სკოლიდან სახლში მეტად აღგზნებული დაბრუნდა და სამზარეულოში მოფუსფუსე მშობელს ეძგერა: „დედა, ჩვენს კლასში ერთი შავი გოგონა გადმოვიდა... ჩემ გვერდით დასვეს. იუნისი ჰქვია. შესვენებებზე მღერის ხოლმე, ისეთი ლამაზი ხმა აქვს! შეიძლება, მასთან ერთად ვიმღერო?“

დედას თეფშები ხელიდან გაუვარდა. გონს რომ მოეგო, შვილს მკაცრად, მარტივი არგუმენტით უპასუხა: „No... may be she is gifted…but black!“ (ნიჭიერია, მაგრამ შავიო).

„Black“ გოგო იუნის ქეთლინ ვეიმონი გახლდათ, იგივე ნინა სიმოუნი, რომელიც ჩვენში მხოლოდ 2-3 „გაბაზრებულ“ სიმღერასთან ასოცირდება. მაგალითად, სულ ახლახან აღმოვაჩინე, რომ "I Put a Spell On You" („მე შენ მოგაჯადოვე“, 60-იანი წლების „მერლინ მენსონის“ — სკრიმინ ჯეი ჰოუკინსის შედევრი) ქართული სუპერმარკეტების ფონური მუსიკის პლეილისტშიცაა, კლიენტის „მოსაჯადოვებლად“. ბელგიელი ჟაკ ბრელის "Ne Me Quitte Pas" („ნუ მიმატოვებ“) კი წლების მანძილზე გააოხრეს ქართულმა რადიოებმა, ვინმე მაგდუშა ბანცარაშვილისა და ქეთუსიკა ნასრალაიასადმი გაუთავებელი მიძღვნებით. სწორად გამიგეთ, ეს სიმღერებიც გენიალურია და არც ვინმეს პირადი ინტიმური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვერჩი, უბრალოდ, ის მიკვირს, ნინა სიმოუნის (ასევე სხვა პატივცემული ხალხის) მხოლოდ რამდენიმე სიმღერის უაზრო ამოჩემება რომ გვჩვევია და სხვა არ გვაინტერესებს. არადა, მელოდიით მიღებულ სიამოვნე-

ბასთან ერთად მათ ისტორიასაც რომ გავცნობოდით, არსის პოვნა არ დაგვზარებოდა და შესაბამისი დასკვნებიც გამოგვეტანა, გაცილებით თავისუფალ საზოგადოებაში ვიცხოვრებდით. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

ნინა სიმოუნის ბიოგრაფიის თხრობას არ ვაპირებ, მხოლოდ ერთ ალბომს გავიხსენებ, რომელსაც „Protest Anthology“ ჰქვია. ის 2008 წელს გამოიცა, ნინა სიმოუნის გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავზე. ამ დისკს ერთ დიდ რეცეპტს უფრო დავარქმევდი, ვიდრე ალბომს. მასში შესული სიმღერები უებარი წამლებია, ხოლო ნინასთან სხვადასხვა დროს ჩაწერილი ინტერვიუები — ამ წამლების მიღების წესები.

„Old Jim Crow“ (ასე უწოდებდნენ კანონთა კრებულს რასობრივი სეგრეგაციის შესახებ, რომელიც ზოგიერთ შტატში მოქმედებდა სამოციან წლებამდე) – ამ სიმღერის კონცერტებზე შესრულების წინ, მუსიკოსი ყოველთვის იმ დღეს იხსენებდა, როდესაც 6 წლის ასაკში პირველად წარდგა მსმენელის წინაშე. მისი მშობლები კი, როგორც შავკანიანები, პირველი რიგებიდან აივანზე გადასვეს, სექტორში “for coloured“. (სიმღერას აქვს რასისტული შეტევის საწინააღმდეგო ეფექტი, ბოჭავს მისგან გამოწვეულ უეცარ დაბნელებას თვალებში და უსიამოვნო ჟრუანტელს კიდურებში);

„Mississipi Goddam“ — სიმღერა, რომელიც 1963 წელს, ბირმინგემში (ალაბამა) კუ-კლუქს-კლანის მიერ ბაპტისტური ეკლესიის აფეთქების შედეგად დაღუპული ოთხი შავკანიანი ბავშვის ხსოვნას მიეძღვნა. (გამოიყენება ისტორიული მეხსიერების აღდგენის, ლოგიკური აზროვნებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების მოშლის შემთხვევებში);

„Young, Gifted and Black“ — პარიზში გამართულ ერთ-ერთ ჯაზფესტივალზე, ამ ბლუზს ნინამ ყმაწვილქალობის ამბავიც მოაყოლა, თუ როგორ არ მიიღეს კონსერვატორიაში ფორტეპიანოს კლასში. ამით დათრგუნულმა, უნიჭო ვარო, იფიქრა და ხელი ჩაიქნია მუსიკაზე. რუსმა პროფესორმა, ვინმე სოკოლოვმა შემოაბრუნა თურმე და დაარწმუნა, რომ გამოცდებზე „ჩაჭრა“ კანის პიგმენტაციის ბრალი იყო და არა უხეირო შესრულების (უმკლავდება უსარგებლობის, უიმედობისა და სიცარიელის განცდას);

„Why? The king of Love is Dead“ — „თუ ადამიანმა არ იცის, რისთვის ღირს თავის გაწირვა, ის არც არის სიცოცხლის ღირსი!“ — მარტინ ლუთერ კინგის სიტყვებია, ხოლო ეს სიმღერა ნინა სიმოუნის პასუხია კითხვაზე, თუ რისთვის მოკვდა „სიყვარულის მეფე“, რომელსაც ჰქონდა ოცნება (გააჩნია ძალადობის პრევენციის ეფექტი, აძლიერებს ტოლერანტურ იმუნიტეტს. ასევე, უნიკალური საშუალებაა სიძულვილის ენაზე მეტყველების კორექციისათვის);

და ბოლოს, „I Wish I Knew How It Would Feel To Be Free“ — ეს სიმღერა ამერიკელმა ჯაზ-პიანისტმა და კომპოზიტორმა ბილი ტეილორმა დაწერა, ნინა სიმოუნმა კი ისე შეასრულა, რომ თავისუფლების თემაზე შექმნილ ერთ-ერთ საუკეთესო სიმღერად იქცა კაცობრიობის ისტორიაში. 1970 წლის ინტერვიუში მუსიკოსს ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა თავისუფლება მისთვის... პასუხიც მარტივი აღმოჩნდა: „To be free means to have no fear!“ (ქსენოფობიური თუ ჰომოფობიური ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო საშუალება, უმკლავდება ნებისმიერი ხასიათის შიშებს, განსაკუთრებით, ცვლილებებისა და ყოველივე განსხვავებულის მიმართ, შევძლებთ მოდუნებას, სუნთქვისა და პულსის დამოუკიდებლად მართვას).

P.S. დასახელებული მედიკამენტების მოხმარებას არანაირი უკუჩვენება არ ახასიათებს, მათი მოხმარება დასაშვებია დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ნებისმიერი დოზითა და ნებისმიერი ფორმით, განურჩევლად ასაკისა თუ სქესისა. მკურნალობის წარუმატებლობის შემთხვევაში კი... როგორც იტყვიან, მედიცინა უძლურია.

FACEBOOK თვითმკვლელობის და ქორწინების წინააღმდეგ

Facebook-ი თვითმკვლელობის საწინააღმდეგო კამპანიას იწყებს. უმსხვილესი სოციალური ქსელი ახალ სისტემას ამზადებს, რომელიც მომხარებლებს მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი მეგობრების დახმარების და თვითმკვლელობისგან გადარჩენის საშუალებას მისცემს.

ახალი სერვისის მეშვეობით, ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება ექნება ე.წ. სუიციდური კონტენტის ან მძიმე მდგომარეობაში მყოფი მეგობრის აღმოჩენის შემთხვევაში, სპეციალური ფორმა შეავსოს და პროფილის მისამართი მიუთითოს.

ყველა ფაქტს რესურსის ადმინისტრატორი დეტალურად შეისწავლის, რის შემდეგაც მონაცემებს ფსიქოლოგებს გადასცემს. მათი დახმარება მომხმარებლებისთვის უფასო იქნება. განსაკუთრებით მწვავე სიტუაციებში, ქსელის ადმინისტრაცია პოლიციაში დარეკავს.

დასავლურ პრესაში ხშირად იწერება ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ადამიანები ამის შესახებ Facebook-ზე წერდნენ, თუმცა ამის მიუხედავად, მათ დასახმარებლად არავინ გამოჩნდა. სოციალურ ქსელში აცხადებენ, რომ ახალმა ინოვაციურმა სისტემამ თვითმკვლელობების რაოდენობა უნდა შეამციროს.

თვითმკვლელობაში „ხელისშეშლის“ გარდა Facebook-ს კიდევ ერთი ჰუმანიტარული ეფექტი აღმოაჩნდა. ამერიკელი იურისტების კვლევის შედეგებით, ქვეყანაში დაფიქსირებული ყოველი მეხუთე განქორწინების მიზეზი სწორედ ცუკერბერგის ქმნილებაა. სოციალურ ქსელს პარტნიორის პოვნისთვის სულ უფრო მეტი ამერიკელი მიმართავს და ხშირ შემთხვევაში ონლაინ სივრცეში სიყვარულს დაოჯახებულები ეძებენ.

ამერიკელი ფსიქოლოგების თქმით, ინტერნეტი სავსეა ისტორიებით, როგორ დაინგრა ერთ დროს ბედნიერი ოჯახი Facebook-ში დაწყებული სასიყვარულო ინტრიგებით. მეუღლეები ერთმანეთის პროფილებში ხშირად პოულობენ სასიყვარულო წერილებს, რომელთა ციტირებასაც გაყრისას სასამართლო სხდომებზე ახდენდნენ.

გავლენის პროპორციულად, იმატებს Facebook-ის საბაზრო ფასიც. რამდენიმე დღის წინ სოციალურმა ქსელმა კიდევ ერთი ფინანსური რეკორდი დაამყარა: მისი ღირებულება ერთ დღეში 10 მილიარდი დოლარით გაძვირდა და 75 მილიარდი დოლარი გახდა. Facebook-ი ამერიკულ ინტერნეტ-კომპანიებს შორის ღირებულებით მეორე ადგილზეა და პირველობას მხოლოდ Google-ს უთმობს.

SKYPE + FACEBOOK = ?

ინტერნეტ-ტელეფონის პოპულარული სერვისი Skype არსებობის ისტორიაში ყველაზე მსხვილ სარეკლამო კამპანიას იწყებს. იგი ამერიკის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ბაზრებზე ერთდროულად დაიწყება. რეკლამა გრაფიკული და მულტიმედიური ხასიათის იქნება. Skype-ის განცხადებაში ნათქვამია,რომ მისი პირველი სარეკლამო პარტნიორები Groupon, Nokia, Universal Pictures და Visa იქნება. მეორე ეტაპზე კომპანია სოციალურ ქსელებს Twitter-სა და Facebook-საც გამოიყენებს, ევროპაში კი სერვისი Meebo-სთან, Ad2One-თან და Stroer-თან ითანამშრომლებს.

Facebook-Skype-ის პარტნიორობის ფარგლებში Facebook-ის მომხმარებლებს ერთმანეთთან ვიდეოზარის განხორციელების საშუალება მიეცემათ. სოციალური ქსელი კონკურენციას

Apple-ის Facetime-ს და Google Gmail-ის ვიდეოშესაძლებლობებს გაუწევს. ამჟამად Skype-ით ყოველთვიურად დაახლოებით 145 მილიონი მომხმარებელი სარგებლობს, მის ფასიან მომსახურებებს კი მხოლოდ 8,8 მილიონი იყენებს.

RESEARCH IN MOTION ახალ ინტერნეტ სერვისს ამზადებს

Research in Motion-მა ახალი უფასო ინტერნეტ-სერვისის BlackBerry Protect-ის ტესტირება დაიწყო. სერვისი BlackBerry-ს მომხმარებლებს დაკარგული ან მოპარული სმარტფონების პოვნის და ტელეფონში არსებული ყველა მონაცემის დისტანციურად წაშლის საშუალებას მისცემს. ჯერჯერობით წარმოდგენილი ბეტა-ვერსია მხოლოდ აშშ-ს, კანადისა და ლათინური ამერიკის ტერიტორიაზე მუშაობს.

BlackBerry Protect-ის მუშაობის სქემა ასეთია: ტელეფონის დაკარგვის შემთხვევაში, მომხმარებელი BlackBerry Protect-ის პორტალზე შედის და სპეციალური რუკის დახმარებით სმარტფონის ადგილმდებარეობას იგებს. პორტალის დახმარებითვე მას ტელეფონის დაბლოკვა, მონაცემების წაშლა და სმარტფონის დასაბრუნებლად საკუთარი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებაც შეუძლია.

ქორწინება SKYPE-ით

კალიფორნიელმა სამუელ კიმმა და ჰელენ ომ ჯვარი Skype-ის დახმარებით დაიწერეს. ოჯახის შექმნისთვის ონ-ლაინ-სივრცის გამოყენება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც 27 წლის სამუელი საავადმყოფოში მოხვდა და ეკლესიაში საკუთარ ჯვრისწერაზე დასწრება ვერ შეძლო. კიმის თქმით, იგი შეეცადა საცოლე ქორწინების თარიღის გადადებაში დაერწმუნებინა, თუმცა ჰელენი ცერემონიალის ჩატარებას დაჟინებით მოითხოვდა. ამის შემდეგ წყვილი Skype-ით ჯვრისწერაზე შეთანხმდა. ვიდეკონფერენციის მოწმე ეკლესიაში შეკრებილი 500 სტუმარი იყო.

ახლად შერთულ მეუღლესთან მიმართვის დროს კიმმა განაცხადა, რომ ძალიან წუხს მომხდარის გამო: „თუმცა ეს მხოლოდ ერთი დღეა, ჩვენ კი წინ ბევრი ბედნიერი წელი გველოდება“, – დასძინა მან სადღესასწაულო სიტყვის ბოლოს.

ამერიკელი წყვილის შემთხვევა Skype-ით პირველი ქორწინება არ არის. 2010 წლის გაზაფხულზე დუბაის ერთ-ერთ სასტუმროში ახალდაქორწინებული ევროპელების მონაწილეობით სადღესასწაულო ვიდეოკონფერენცია მოეწყო. წყვილს ბრიტანეთში საქორწინო წვეულება ჰქონდა დანიშნული, თუმცა ვულკანის ამოფრქვევის გამო გამგზავრება ვერ შეძლო. ცერემონიამ მათ გარეშე ჩაიარა, თუმცა ქორწილის სტუმრებს ისინი Skype-ით მიესალმნენ.

რეკორდსმენი ჩარლი შინი

მსახიობმა ჩარლი შინმა Twitter-ზე რეკორდი დაამყარა. ერთ დღეში მისმა გვერდმა მილიონი ადამიანი დაიმატა. შინი პირველი მომხმარებელია, რომელმაც ასეთ მოკლე დროში ამდენი ადამიანის ყურადღება მიიპყრო. ამ მიღწევისთვის მსახიობი გინესის რეკორდების წიგნში შევა.

ჩარლი შინის თქმით, ექაუნთის შექმნის მიზეზი თაყვანისმცემლებთან პირდაპირი და უშუალო ურთიერთობის დამყარების სურვილი იყო. პირველი ჩანაწერის გაკეთების შემდეგ მისი ბლოგის მკითხველების რიცხვმა 1,9 მილიონს მიაღწია.

ამჟამად მსახიობი საკუთარ სახლში ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის საწინააღმდეგო სამკურნალო კურსს გადის.

პერსონალური კომპიუტერების ხანა სრულდება

„პლანშეტები პერსონალური კომპიუტერების გაყიდვებს შეამცირებს“, – აცხადებს კომპანია Gartner-ის დირექტორი ჯორჯ შიფლერი. მისი აზრით, 2011-2015 წლებში ბაზრის ამ სეგმენტ-

ზე მხოლოდ 10%-იანი ზრდა დაფიქსირდება. Gardner-ის ანალიტიკოსების წინასწარი შეფასებით, 2011 წელს მსოფლიოში 387,8 მილიონი პერსონალური კომპიუტერი გაიყიდება, რაც 10,5%-ით აღემატება 2010 წლის მაჩვენებელს.

ანალიტიკური კომპანია: eMarketer-ის ცნობით, მომდევნო წელს 82 მილიონამდე პლანშეტი გაიყიდება, JPMorgan Securities-ის სპეციალისტები კი აცხადებენ, რომ 2012 წელს ამ მოწყობილობების ბაზრის მოცულობა 35 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.

BLACKBERRY-ის პლანშეტის PLAYBOOK-ის გაყიდვა აპრილში დაიწყება

BlackBerry PlayBook - ახალი პლანშეტი ბაზარზე მიმდინარე წლის აპრილში

გამოჩნდება. წინასწარი ინფორმაციით, BlackBerry PlayBook 7-დიუმიანი სენსორული დისპლეით და ორბირთვიანი პროცესორითაა აღჭურვილი. მოდელს Wi-Fi-სა და Bluetooth-ის მხარდაჭერა აქვს, ფიჭური ქსელში მუშაობის საშუალება კი მის მომდევნო ვერსიებს ექნება. ცნობილია ისიც, რომ მიმდინარე წელს BlackBerry PlayBook Wi-Fi + WiMax, Wi-Fi + LTE da Wi-Fi + HSPA+ ვერსიებიც გამოვა.

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

მშვიდობიანი „ომობანა“ მოსკოვში

ლაშა ბუღაძისა და ბასა ჯანიკაშვილის ახალი პიესები „ტეატრ.დოკ“-ის კამერულ სივრცეში

დავით ბუხრიკიძე

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ამ დღეებში გამოსცა ბასა ჯანიკაშვილის ირონიულ-პოლიტიკური პიესა „ომობანა“, რომელიც ავტორმა მოგვიანებით ზომიერად განავრცო, ცოტათი გაართულა კიდეც და თითქმის სრულმეტრაჟიან რომანად აქცია. წიგნადქცეული პიესა-რომანის, „ომობანას“ ვრცელი და ხალხმრავალი პრეზენტაცია კი მაღაზია „სანტა ესპერანსაში“ გაიმართა.

„ომი დაიწყო, შენ კიდე მურაბას ჭამ! – გამოსცრა ბოლოს ვერამ, – არ გინდა, სახლში წავიდეთ? რუსთავში წესით არ შემოვლენ. რა უნდათ იქ? თბილისში გაჩერდებიან, ჩამოაგდებენ მთავრობას და მორჩებიან...“ ეს არის ბასა ჯანიკაშვილის პიესის ფრაგმენტი, რომელსაც რუსი მსახიობები, რეჟისორები თუ თეატრის კრიტიკოსები მოსკოვში, დაახლოებით სამი კვირის წინ, „დოკ.თეატრში“ ისმენდნენ. ვერ გეტყვით, დაეხმარება თუ არა ბასა ჯანიკაშვილის „ომობანა“, ლაშა ბუღაძის პიესა „კავკასიოლოგი“, ან ნესტან-ნენე კვინიკაძის „ფრანგულის გაკვეთილი“ თუნდაც ოპოზიციურად განწყობილ რუს თეატრალებს ქართულ-რუსული ომის „მხატვრულ გააზრებაში“, მაგრამ თავად ფაქტი უდავოდ მნიშვნელოვანია.

ახალი თაობის რუსმა რეჟისორებმა და დრამატურგებმა, მიხეილ უგაროვმა, მაქსიმ კურიჩკინმა, ლენა გრემინამ, საშა ვართანოვმა და სხვებმა „ტეატრ. დოკის“ პატარა და მყუდრო დარბაზში შეკრებილ პუბლიკას პროექტი სახელწოდებით „პერეზაგრუზკა“ გააცნეს. თუმცა ამ პროექტის ავტორი და შეხვედრის ინიციატორია მოსკოვში მცხოვრები ქართველი თეატრმცოდნე მაია მამალაძე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ქართველი დრამატურგების პიესებს თარგმნის. თავის დროზე სწორედ მისი ინტერპრეტაციით გაიცნეს რუსეთში ბუღაძის „მცირე პიესები“, რომლებიც რეჟისორმა მაქსიმ უგაროვმა „მხატის“ თეატრსტუდიაში დადგა. პროდიუსერი და თეატრალური ფესტივალის დირექტორი, ედუარდ ბოიაკოვიკი დამოუკიდებელ სცენებზე ამ პიესების დადგმას აქტიურად ლობირებდა.

მართალია, „თეატრალური გადატვირთვის“ ავტორს, მაია მამალაძეს, ისევე, როგორც თავად დრამატურგებს, განსაკუთრებული ინფორმაციული გარღვევის იმედი არც ჰქონიათ მოვლენის მცირე მასშტაბის გამო, მაგრამ „დოკ. ტეატრი“ მნიშვნელოვანი კულტურული სივრცეა მოსკოვში. ახალი პროექტი რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ორი ქვეყნის კულტურული კავშირის აღდგენას ისახავს მიზნად. ეს პიესები 2008 წლის ომის შესახებ ზემოაღნიშნული ავტორების გარდა, ნენე კვინიკაძემ, თამარ ბართაიამ, ზაზა ბურჭულაძემ პროექტის ავტორის თხოვნით დაწერეს. პიესების კითხვა გასული წლის ზაფხულში, მარჯანიშვილის თეატრის „სხვენში“ არცთუ მრავალრიცხოვანი მსმენელის თანდასწრებით გაიმართა. მოგვიანებით ყველა მათგანი რუსულ ენაზე თავად მაია მამალაძემ თარგმნა, ხოლო პროექტს ლამის პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვა „პერეზაგრუზკა“ („გადატვირთვა“) ეწოდა.

რუსეთ-საქართველოს ომის თემაზე შექმნილი პიესების გაცნობის გარდა, მაყურებელმა მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმი „სიხარულის სახლი“ და დავით გუჯაბიძის „ქეთოსა და კოტეს ძიებაში“ იხილა. რამაც ამ პოლიტთეატრალურ აქციას უფრო მხატვრულად „გამთბარი“ და რუსებისთვის გასაგები ისტორიული აქცენტი შესძინა.

გაზეთ „კომერსანტის“ მიმომხილველი, თეატრის კრიტიკოსი რომან დოლჟანსკი განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ლაშა ბუღაძის „კავკასიოლოგსა“ და ბასა ჯანიკაშვილის „ომობანაზე“ ამახვილებს. პირველს „ძალიან სასაცილო და მახვილგონივრული ხერხებით დაწერილ პიესას“ უწოდებს, ხოლო მეორეს – „პარადოქსულ ტრაგიკომედიას, რომელშიც ქართული არქეტიპული სტუმართმოყვარეობა გადაჯაჭვულია ომის სისატკიკესთან“. სტატიის ფინალში კი დასძენს, რომ „ამ ფილმებმა თითქოს დაგვაბრუნეს დროში, როცა ქალაქ თბილისის სახელწოდება უკავშირდებოდა არა სირცხვილის, შიშის, დანაშაულის, ან უძალობის შეგრძნებას, არამედ ცხოვრების ზეიმს და მისით ტკბობის საოცარ უნარს“.



რეჟისორი მიხაილ უგაროვი

ჯესი და ბუ

გიო ახვლედიანი

წინა კვირის ამბავს შეიტყობდით: კოლუმბიის ჩემპიონატის მატჩში „ხუნიორსი“ ხვდებოდა „პერეირას“.

მოედანზე მოულოდნელად შემობანცალდა ბუ, რომელიც მთლად ჯანმრთელად ვერ ყოფილა. საბრალო ბუ მოედნის კიდეზე იჯდა დაბნეული, როცა ბურთი მოხვდა, რამაც კიდევ უფრო დააბურბუსალა.

მოთამაშეებმა ბუ სწორედ ამ მომენტის შემდეგ შეამჩნიეს. სანამ მსაჯი სათამაშო ამბებს არკვევდა, პერეირას ფეხბურთელი, ტომით პანამელი ლუის მორენო ბუსთან მივიდა, ფეხი ამოჰკრა და მოედნიდან გაისროლა, აქაოდა, თამაშში ხელს გვიშლისო.

ამან აღაშფოთა „ხუნიორსის“ გულშემატკივრები. ბუ მათი კლუბის თილისმა გამოდგა, რომელიც მოედნის კიდეზე ჰყავდათ ჩამოსკუპებული.

მორენომ მოიბოდიშა, სულაც არ ვიცოდი, რომ თქვენი თილისმა იყოო.

ბუ საავადმყოფოში გარდაიცვალა მეორე დღეს, როგორც გადმოსცეს, უფრო მიყენებული შოკისგან ვეღარ მოიხედა: ჯერ ბურთი მოხვდა, მერე კი ფეხი.

ბურთის მომრტყმელი არავის გაუკიცხავს, რახან მას ბუ არ დაუნახავს, მორენოს კი გვარიანად მოხვდა, როგორც უხეშ კაცს.

საბოლოო ჯამში, კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიო მასების დაწოლას ვერ გაუძლო (კადრები მილიონობით ადამიანმა ნახა და კომენტარებიც არ დაიშურა) და თვითონაც გულწრფელად აღშფოთდა. მორენო ხუთასი დოლარითა და ორი მატჩის გამოტოვებით დააჯარიმეს.

იმავ კვირის ბოლოს ინგლისში ასეთი ამბავიც მოხდა:

ერთ-ერთი სამოყვარულო ლიგის მატჩში, რომელშიაც „დორჩესტერი“ „ჰავანტ ენდ ვოტერლოვილს“ მასპინძლობდა, მოედანზე სტრიკერი გადმოხტა.

მოგეხსენებათ ვინც არიან სტრიკერები, ადამიანები, რომლებსაც უყვართ მოედანზე ტიტვლად გადმოხტომა და ამით ყურადღების მიქცევა. თუმცა, არიან სხვანაირებიც, რომლებიც ნაძლევისთვის ხტომიალობენ ტიტვლად.

სწორედ ასეთი გამოდგა „ჰავნატის“ გულშემატკივარი ალან იანგი, რომელიც დედიშობილა გადმოეშვა მოედანზე და მოჰყვა იქ სირბილს. თურმე წინა კვირას პაბში უთქვამს, აგე ნახავთ, თუ არ გადავხტებიო.

როცა დიდ სტადიონებზე ასეთი რამ ხდება, დაცვა წამსვე დაეტაკება ხოლმე დედიშობილას და სწრაფად გაარიდებს. „დორჩესტერის“ სტადიონზე კი დაცვა დიდად ხალხმრავალი და სწრაფი არ იყო და იანგმა გაილაღა, მოედანზე ფინტების კეთებაც კი დაიწყო.

დიდად ვერც ვერავინ გამოეკიდა.

ჰოდა, ამანც ვერ მოიფიქრა, რომ საქმე მოემთავრებინა და ირბინა და ირბინა. აღარ დაწყნარდა. რახან პოლიცია აღარ გამოჩნდა, იანგს დაეტაკა „დორჩესტერის“ მწვრთნელი, კაპიტანი და იმწუთს მოთამაშეც ეშლი ვიკერსი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამოსულიყო მოედანზე, რომ გუნდში ფეხბურთელები აკლდა, და თვითონ მოსწეოდა მეთერთმეტეკაცობა.

ვიკერსმა ისე წამოაქცია იანგი, რომ ძლივს აკრიფეს. ეგ ნამდვილად მორაგბე იქნებოდაო, – აღნიშნა შიშველმა.

სრულიად მოულოდნელად, მსაჯმა ვიკერსი გააძევა, რამაც „დორჩესტერელთა“ გამწარება გამოიწვია. ისინი აიჭრენ და მალე მსაჯმა კიდევ ორი ფეხბურთელი მიაყოლა მწვრთნელ-კაპიტანს. „დორჩესტერმა“ წააგო.

ბუს ამბავი გასაგებია. მაგრამ რატომ გააძევეს ვიკერსი?

ნეხილი ვის?

კახა თოლორდავა

შენ უცხოეთში სწავლობდი, არა? საფრანგეთში, ან გერმანიაში, ან იტალიაში, ან სულაც შეერთებულ შტატებში. რამდენი წელი? სამი? ხუთი? თექვსმეტი წლიდან იქ ხარ? ბოლო ათი წელი მილანში გაატარე? ჰო, ვიცი, გეტყობა ლაპარაკზე, მიხვრა-მოხვრაზე, ჩაცმულობაზე. ჰო, იქ გატარებულ წლებს ვერაფერს უზამ; ის წლები შენშია და მგონი, მეც ვხედავ იმ დახვეწილი ადამიანების, სახელგანთქმული პროფესორების სახეებს, შენ რომ გასწავლიდნენ. შენს ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ, ბელგიელ, იტალიელ, იაპონელ, ნიგერიელ, ბრაზილიელ, ავსტრალიელ, არგენტინელ და შვედ მეგობრებსაც ვხედავ, ყოველ დღე დროს ერთად რომ ატარებდით. რამდენი რამ გასწავლეს მათ! ჰო, რა თქმა უნდა, ვიცი – შენც ბევრი ასწავლე იმ ხალხს, ისინიც მადლიერები უნდა იყვნენ. კიდევ იცი, რას ვხედავ შენში? ყველა იმ ქუჩას, შენ რომ გივლია ფლორენციაში, ჩიკაგოში, ლონდონში, ტოკიოში, სტოკჰოლმში, პარიზში, ნიუ-იორკში, ე ლ - ე ი შ ი, ბარსელონაში. აჰ, ის საოცარი ზაფხულის საღამოები ბრუკლინში „ბრაუნსთონებს“ რომ მიუყვები ვინმესთან ერთად და რეცესიაზე საუბრობთ; ან ყავის და ახლად გამომცხვარი კრუასანის სუნით გაჟღენთილი დილა ჟენევის რომელიმე „გესთჰაუსში“; ან კიდევ წვიმიანი საღამოები სანტა მარია დელ ფიორეს წინ ფლორენციაში, ან ის სისავსის შეგრძნებით გაჟღენთილი დღეები თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ნიუ-იორკში ან ლუვრში, ან უფიცაში ან სადმე სხვაგან! ოჰ, ის ჯექსონ პოლოკები და ის დემიენ ჰირსტები და ის გერჰარდ რიჰტერები და ის ჯეფ კუნსები და ის კარავაჯოები და ის ბრეიგელები და ის პიკასოები და ის მატისები და ის ბილ ვიოლები! როგორ აგავსეს, როგორ დაგხვეწეს, როგორ დ ა გ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ს! ვიცი, შენ ამაზე მეტი გინახავს და შეგიგრძვნია, მე ხომ მხოლოდ ტურისტული დესტინაციები ჩამოვთვალე?! იმ ყველაფერს ხომ ლამის ყველა იქ ჩასული ეზიარება?! არა, შენ უფრო მეტი მიგიღია იქ ყოფნით, დრო, რომელიც მხოლოდ შენი შ ე ვ ს ე ბ ი თ იყო დაკავებული სახელგანთქმული უნივერსიტეტების და არანაკლებ სახელგანთქმული კოლეჯების აუდიტორიებში და ბიბლიოთეკებში, ულამაზესი ქალაქების ქუჩებში, კონცერტებზე, კლუბებში, ფესტივალებზე, ან მეგობრის რანჩოზე. ეს რაა, შენ კარგად იცნობ ნიუ-იორკს, იქაურ ქუჩებს, ავენიუებს, სკვერებს, პარკებს და რაც მთავარია, ადამიანებსაც. შენ იცი, როგორ გაიგნო გზა გრინვიჩ ვილიჯში. უფრო მეტიც, ვიღაც გზააბნეულ უცხოელებსაც კი შეგიძლია, მიასწავლო, თუ როგორ გაიგნონ გზა ნიუიორკულ ლაბირინთებში. შენში ვხედავ ყველაფერ იმას, რისთვისაც და ვისთვისაც

თვალი შეგივლია, არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს რემ კოლჰასის მიერ აშენებული სახლი თუ რობერტ დე ნირო დაბნეული ღიმილით სახეზე თავისივე „ნობუში“. სიმართლე რომ გითხრა, ვერ ვხვდები, რატომ გადაწყვიტე საქართველოში დაბრუნება! შენ ხომ კარგი სამსახური გქონდა კიოლნში? თუ ლონდონში? თუ ამსტერდამში? რას აკეთებ თბილისში? ამას წინათ დაგინახე ლესელიძეზე. მინდოდა, მოვსულიყავი და გამარჯობა მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე, ვიცოდი, რასაც მეტყოდი, ვიცოდი, ისევ წუწუნს დაიწყებდი აქაურ მეგობრებზე, აქაურ მ ე ნ ტ ა ლ ი ტ ე ტ ზ ე, თბილისზე, ზოგადად, აქაურობაზე, შენი მოწყენილი სახე კიდევ უფრო მოწყენილი გახდებოდა, შენ ამოოხვრას სხვა ჟღერა მიეცემოდა და მაშინ მე გამახსენდებოდა ირაკლის და კოტეს ერთი ლექსი და იქვე, იმავე წამს გეტყოდი იმას, რის გაგონებასაც შენ ნამდვილად არ ისურვებდი, – იცი, რა? შენ ზუსტად ისეთივე სირი ხარ, როგორიც წასვლამდე იყავი! რატომ? იმიტომ, რომ თბილისს შენი არც წასვლა დატყობია და არც დაბრუნება. იმიტომ, რომ ვერაფერს სთავაზობ ვერც სხვას და ვერც საკუთარ თავს! შენ მხოლოდ ტრაკანებ აქაურ მოწყენილობაზე, აქაურ დათრგუნულობაზე, აქაურ პ ე ს ი მ ი ზ მ ზ ე. ჰო, შენ აქაურობას ვერაფერს სთავაზობ, მხოლოდ ტრაკანებ და ტრაკანებ, ტრაკანებ და ტრაკანებ!

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE